


ANIMAL FARM

GEORGE ORWELL.



ჯორჯ ორუელი - ცხოველების ფერმა

თავი I

ფერმა „მამულის“ მეპატრონემ ბ-ნმა ჯოუნსმა შებინდებისთანავე მიხურა საქათმეების კარები, მაგრამ გვარიანად მთვრალი იყო და ჩარაზვა არ გახსენებია. ხელში ლაპრით, რომლის ციმციმა შარავანდიც გამეტებით დახტოდა აქეთ-იქით, ბ-ნმა ჯოუნსმა ბარბაცით გადაჭრა ეზო. სახლის უკანა კართან ყელიანი ფეხსაცმელი ფეხიდანვე მოისროლა, სამზარეულოში ერთი ჭიქა ლუდიც დაცალა და საძილე ოთახს მიაშურა, სადაც კარგა ხანია ხვრინავდა ქ-ნი ჯოუნსი.

ჩაქრა თუ არა შუქი საძილე ოთახში, ეზოში ერთი წრიალი და ჩოჩქოლი ატყდა. ჯერ კიდევ დღისით დაირხა ხმა - „მიდღ უაითის“ ჯილდოს მფლობელ ბებერ ტახ მეიჯერს უცნაური სიზმარი ენახა და მისი გაზიარება სურდა სხვა ცხოველებისათვის. გადაწყდა, როგორც კი ბ-ნ ჯოუნსს დაძინებულს დაიგულეზდნენ, ბელელში მოეყარათ თავი. ბებერ მეიჯერს (ეს იყო მისი ნამდვილი სახელი, თუმცა გამოფენაში უილინგდონისტურფას“ სახელით მონაწილეობდა) ყველა დიდ პატივს სცემდა და მზად იყვნენ ერთი საათის ძილიც კი მოეკლათ და მისთვის მოესმინათ.

ბელლის ერთ ბოლოში ბაქნისებურ ამალეზებზე მოთავსებულ ჩალის საგაზე უკვე მოეკალათებინა მეიჯერს. იგი 12 წლისა გახლდათ, თუმცა ბოლო ხანს ზედმეტად ჩასუქებულიყო, მაგრამ დიდებული იერი მაინც შერჩენოდა და მიუხედავად იმისა, რომ ეშვები მისთვის არასდროს წაუჭრიათ, გონიერი და კეთილმოსურნე გარეგნობით გამოირჩეოდა. მალე სხვაცხოველებმაც იწყეს თავმოყრა. ყველა ისე ეწყობოდა, როგორც მისთვის იყო მოსახერხებელი. კოჭზე ჩამოკიდებული ლამპრის შუქზე ჯერ სამი ძაღლი - ბლუბელი, ჯესი და ფინჩერი გამოჩნდა. შემდეგ ღორები შემოვიდნენ და მოსვლისთანავე ბაქნის წინ ჩალაზე გაგორდნენ. ქათმები ფანჯრის რაფაზე შემოსხდნენ, მტრედები ძელზე შემოსკუპდნენ, ცხვრები და ძროხები ღორების უკან გაწვნენ და ცოხნას შეუდგნენ. ორი ზორბა ცხენი - ბოქსერი და ქლოუვერი ერთად შემოვიდნენ, ვეება ბალნიან ჩლიქებს ფრთხილად აბიჯებდნენ, რომ შემთხვევით ჩალაში მიკუნჭული რომელიმე პატარა ცხოველი არ გაეთელათ. ქლოუვერი ფაშფაშა, გულკეთილი გარეგნობის ფაშატი გახლდათ, რომელსაც მეოთხე კვიცის მოგების შემდეგ თავისი ადრინდელი აღნაგობა ვერ დაებრუნებინა. ბოქსერი უშველებელი პირუტყვი იყო, ღონით ერთად აღებულ ორ ცხენს უდრიდა. თეთრი ზოლი ცხვირის გასწვრივ ცოტა არ იყო, სულელურ გამომეტყველებას ანიჭებდა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც გამოირჩეოდა განსაკუთრებული ჭკუით. ისე კი ყველა დიდ პატივს სცემდა მტკიცე ხასიათისა და იშვიათი შრომისმოყვარეობისათვის. ცხენებს თეთრი თხა მურიელი და ვირი, ბენჯამენი მოჰყვნენ. ბენჯამენი ყველაზე მხცოვანი და ყველაზე მძიმე ხასიათისა გახლდათ. იშვიათად ლაპარაკობდა და, თუკი ოდესმე ამოიღებდა ხმას, მხოლოდ რაიმე ორაზროვანი შენიშვნის გასაკეთებლად.

მაგალითად, იტყვოდა, რომ ღმერთმა კუდი ბუზების მოსაგერიებლად უბოძა, მაგრამ მას უთუოდ ერჩინა არც ეს კუდი ჰქონოდა და არც ბუზებს შეეწუხებინა. იგი ერთადერთი იყო ცხოველებს შორის, ვინც არასოდეს გაიცინებდა. თუ ამის მიზეზს ჰკითხავდით, გეტყვოდათ სასაცილოს ვერაფერს ვხედავო. ერთადერთი, ვისკენაც გული მიუწევდა (მართალია ამაშიც არასდროს არ გამოტყდებოდა) ბოქსერი იყო. როგორც წესი, კვირა დრეებს მასთან ერთად ატარებდა - ბოსტნის მიღმა პატარა სამოვარზე გვერდიგვერდ ძოვდნენ ბალახს, თუმცა სიტყვას არ ეუბნებოდნენ ერთმანეთას.

ცხენები ის-ის იყო მოეწყვნენ, რომ ბელელში ცოტა ხნის წინ დაობლებული ჭუჭულები შემობაჯბაჯდნენ. მწკრივად დაწყობილნი, საცოდავი წრიპინით ისეთ ადგილს ეძებდნენ, სადაც ფეხს არავინ დაადგამდა. ქლოუვერმა უკანა ფეხით ბუდისმაგვარი პატარაადგილი შემოუღობა. ჭუჭულები ამ შემოღობილში ჩაძვრნენ და იმწასვე ჩაეძინათ. ამასობაში მოხდენილი ნაბიჯითა და შაქრის ლეჭვით მოლიც შემოვიდა, - ლამაზ-ლამაზი ფუქსავატი თეთრი ფაშატი. მან ადგილი წინა რიგში დაიკავა და თეთრი ფაფარი კეკლუცურად აათამაშა, აქაოდა ფაფარში ჩაწნილი წითელი ბაფთები გამომიჩნდესო. დასარულს კატა შემოვიდა, იქაურობას თვალი მიმოავლო - ჩვეულებისამებრ ყველაზე თბილ ადგილს ეძებდა. ბოლოს ბოქსერსა და ქლოურს შორის მოკალათდა; ვიდრე მეიჯერი ლაპარაკობდა, კმაყოფილი კრუტუნებდა, თუმცა ნათქვამიდან ერთი სიტყვაც არ მოუსმენია.

ამგვარად ყველა ცხოველმა მოიყარა თავი, მოშინაურებული ყვავის, მოსეს გარდა, რომელსაც კარებს უკან ქანდარაზე ეძინა. როდესაც მეიჯერი დარწმუნდა, რომ ყველა კარგად მოეწყო ჩაახველა და დაიწყო:

„მეგობრებო, თქვენ გაიგებდით რა უცნაური სიზმარი მესიზმრა წუხელ. მაგრამ ამაზე მოგვიანებით მოგახსენებთ, ჯერ სხვა რამ მაქვს სათქმელი. კარგა ხნისა ვარ, მეგობრებო, ცალი ფეხი სამარეში მიდგას. ჰოდა, სანამ იმქვეყნად გავემურებოდე, თავს მოვალედ ვთვლი იმ სიბრძნეს გაზიაროთ, მთელი ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე რომ მიგროვებია. თავლაში ყოფნისას, მარტო რომ ვიწექი ხოლმე, ბევრი დრო მქონდა ფიქრისთვის და, ვგონებ, უფლება მაქვს განვაცხადო, რომ ჩავწვდი როგორც ცხოვრების, ასევე ყოველი სულდგმულის არსს. აი, სწორედ ამაზე მინდა გესაუბროთ.

მეგობრებო, რაში მდგომარეობს ჩვენი ცხოვრების არსი? მოდით, თვალი გავუსწოროთ სიმართლეს და ვაღიაროთ, რომ ჩვენი ცხოვრება დუბჭირი, დამქანცველი და ხანმოკლეა. ვიბადებით, გვამლევენ იმდენ საკვებს, რომ შიმშილით სული არ გაგვძვრეს, მუშაობით კი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გვამუშავებენ, ხოლო როგორც კი გამოუსადეგარნი გავხვდებით, არნახული სისასტიკით გვხოცავენ. მთელ ინგლისში ვერ ნახავთ ცხოველს, რომელმაც, წამოიზრდება თუ არა, ან ბედნიერება იცოდეს, ან მოცალეობა. არცერთი ცხოველი ინგლისში არ არის თავისუფალი. ტანჯვა და მონობა: აი სინამდვილე, აი ჩვენი ხვედრი!

მაგრამ იქნებ ესბუნებრივიც იყოს ჩვენი სამყაროსთვის? იქნებ დედამიწა არ არის ესოდენ მდიდარი, რომ ყველა სულდგმული წესიერი ცხოვრებით უზრუნველყოს? არამც და არამც, მეგობრებო, ათასჯერ არა! ნიადაგი ინგლისში მოსავლიანია, ჰავა მშვენიერი. ამ მიწა-წყალს შეუძლია გამოკვებოს ცხოველთა ჩვენზე გაცილებით მეტი რაოდენობა. მარტო ჩვენს ფერმას, „მამულს“, თავისუფლად შეუძლია არჩინოს უთვალავი ცხენი, ძროხა, ასობით ცხვარი... ყველას ბედნიერი და ღირსეული ცხოვრების საშუალება მისცეს, რისი წარმოდგენაც კი შეუძლებელია ამჟამად ჩვენთვის. მაშ რატომ ვიმყოფებით ასეთ სიღუბჭირეში? იმიტომ რომ თითქმის მთელს ჩვენს ნაშრომს ადამიანები ითვისებენ. აი, რაშია, მეგობრებო საქმე. ადამიანია თავი და თავი ჩვენი უბედურებისა. იგია ჩვენი ერთადერთი ნამდვილი მტერი. გაყარეთ ადამიანები და შიმშილისა და ჭაპანწყვეტის ძირეული მიზეზიც სამუდამოდ მოისპობა.

ადამიანი ერთადერთი ქმნილებაა, რომელიც მხოლოდ შტანთქავს და არ ქმნის. იგი არ იძევა რძეს, არ დებს კვერცხს, არ ეზიდება გუთანს, რადგან სუსტია, ვერ იჭერს კურდღელს, რადგან სწრაფად სირბილი არ შეუძლია. და მაინც, ადამიანია ყველა ცხოველის მბრძანებელი. იგი იძულებით გვამუშავებს და ზუსტად იმდენს გვიტოვებს, რომ შიმშილით სული არ ამოგვძვრეს, დანარჩენს კი თვითონ ითვისებს. ჩვენი შრომით მუშავდება ნიადაგი, რომელიც ჩვენივე ნაკელით ნოყიერდება. ჩვენ კი საკუთარი თავის გარდა არაფერი გვაბადია. აი, თქვენ, ძროხებო, ჩემ წინ რომ სხედხართ, რამდენი რძე გაეცით ამ წელს? სად გაქრა ის რძე, რომლითაც ჯანმრთელი ხბოები უნდა გამოგეზარდათ? სად და, ყოველი წვეთი ჩვენმა მოსისხლე მტერმა შთანთქა. თქვენ, ქათმებო? თქვენ რამდენი კვერცხი დადეთ წელს და მათგან გაანა ბევრიდან გამოიჩეკა წიწილა? ყველა კვერცხი ბაზრობაზე გაიგზავნა, რათა ჯოუნსსა და მის სახლეულს ფული შემოსვლოდათ. ქლოუერ, სად არის ის შენი ოთხი კვიცი, სიბერის ნუგეშად რომ გეგულეობდა? ვინ იქნება შენი პატრონი სიბერეში? როგორც კი წამოიზარდნენ, ხომ ოთხივე გაყიდეს? და ვერც ერთმათგანს ვერ იხილავ ვერასოდეს. შენი ოთხი მშობიარობისა და მინდორში გაწეული ჯაფის სანაცვლოდ, განა მიიღე რამე, გამოზომილი ულუფის გარდა?

მაგრამ ამ გამწარებული ცხოვრების დღეებსაც რომ ძალით გვიმოკლებენ და ბუნებრივ სიკვდილსაც რომ არ გვაცლიან! მჩემ თავს როდი ვჩივი, მე კიდევ სხვებზე იღბლიანი გამოვდექი. თორმეტი წლისა ვარ და ამ ხნის განმავლობაში ოთხასი გოჭი დავყარე. ასეთია ღორის სიცოცხლის ბუნებრივი ხანგრძლივობა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ვერცერთი ცხოველი ვერ დაუძვრება უღმობელ დანას. თქვენ, ახალგაზრდა ბურვაკნო, ჩემსწინ რომ სხედხართ, განა თქვენც ჯალათის კუნძზე არ გააფრთხოვთ სულს ერთ წელიწადში. ეს საზარელი დასასრული უკლებლივ ყველას ხვედრია, - ძროხები, ღორების, ქათმების, ცხვრების, ყველასი! არც ცხენებს და ძაღლებს ელის უკეთესი ბედი. ბოქსერ, რა წამსაც ეგ ძალ-ღონით სავსე კუნთები დაგისუსტდება, ჯოუნსი იმ ბებერ ვაჭარს მიგყიდის, ყელს რომ გამოგჭრის და შენგან ინგლისურ მწვერებისათვის საჭმელს დაამზადებს, ხოლო რაც შეეხება ძაღლებს, როგორც კი

დაბერდებიან და კბილები დასცვივით, ჯოუნსი მათ ყელზე აგურს შეაბამს და უახლოეს გუბეში ჩაახრჩობს.

ამგვარად, მეგობრებო, განა დღესავით ნათელი არ არის, რომ ამ ქვეყნდა ყოველგვარი ბოროტების სათავე ადამიანის ტირანიაა? განვთავისუფლდეთ ადამიანისაგან და ჩვენი ნაშრომი ჩვენვე დაგვრჩება. თითქმის ერთ ღამეში შეიძლება გავხვდეთ მდიდრებიც და თავისუფლებიც. მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ? როგორ და, დღე და ღამე შრომაში გავასწოროთ და მთელი არსებით ვეცადოთ დავამხოთ ადამიანთა მოდგმა! ჯანყი! აი, ჩემი მოწოდება! არ ვიცი როდის მოხდება ეს, ერთ კვირაში, თუ ასი წლის შემდეგ, მაგრამ, როგორც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ ახლა ჩემ ფეხქვეშ ჩალა ყრია, ზუსტად ისე ვიცი, ადრე თუ გვიან სამართლიანობა გაიმარჯვებს, ამას უნდა მივუძღვნათ მთელი ჩვენი დარჩენილი ხანმოკლე ცხოვრება, მეგობრებო, და რაც მთავარია, ეს ჩემი მოწოდება იმათაც გადაეცით, ვინც თქვენს შემდეგ მოვა, რათა მომავალმა თაობამ გამარჯვებამდე განაგრძოს ბრძოლა.

ოღონდ გახსოვდეთ თქვენი სიმტკიცე ვერაფერმა ვერ უნდა შეარყიოს. ვერანაირმა მოსაზრებამ ვერ უნდა აგაცდინოთ გზას. არ დაიჯეროთ, თუ ვინმე გეტყვით, რომ ადამიანსა და ცხოველს საერთო ინტერესები მოეპოვებათ, რომ ერთის სიმდიდრე მეორის კეთილდღეობას ნიშნავს. ეს სიცრუეა! ადამიანი მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობას ემსახურება. დაე ჩვენში, ცხოველებში, სრული ერთობა სუფევდეს ბრძოლის გზაზე. ნებისმიერი ადამიანი, უკლებლივ ყველა, ჩენი მტერია, ნებისმიერი ცხოველი კი - ჩვენი მოყვარე“.

უცებ საშინელი აყალ-მაყალი ატყდა: ვიდრე მეიჯერი ლაპარაკობდა, სოროდან ოთხი მოზრდილი ვირთხა ამომძვრალიყო და ჩაცუცქულნი ყურს უგდებდნენ მას. სწორედ ამ დროს მათ თვალი შეასწრეს ძაღლებმა და ელვისებური სისწრაფით რომ არ შევარდნილიყვნენ სოროში, ვირთხებს კარგი დღე არ დაადგებოდათ. მეიჯერმა ჩლიქის აწევით სიჩუმისკენ მოუწოდა საზოგადოებას:

„მეგობრებო, - თქვა მან, - უნდა გადავწყვიტოთ, ველური არსებანი, როგორიცაა ვირთხა, ან თუნდაც კურდღელი, ჩვენი მეგობრები არიან თუ მტრები? აი, ამ კითხვით მივმართავ კრებას: არიან ვირთხები ჩვენი ძმები? მოდით კენჭი ვუყაროთ ამას“.

კენჭისყრა იმწამსვე ჩატარდა და ხმის დიდი უმრავლესობით შეთანხმდნენ, რომ ვირთხები მეგობრები არიან. მხოლოდ ოთხი იყო წინააღმდეგი: სამი ძაღლი და კატა. როგორც მოგვიანებით გამოირკვა ამ უკანასკნელს ორივე წინადადებისათვის მიუცია ხმა. მეიჯერმა განაგრძო:

„ცოტალა დამრჩა სათქმელი. უბრალოდ გავიმეორებ, რომ ადამიანისა და მისი გარემოსადმი დაპირისპირება ჩვენი ვალია. ეს ყოველთვის უნდა გახსოვდეთ, რომ ვინც ორ ფეხზე დადის, მტერია, ხოლო ვინც ოთხ ფეხზე დადის ან ფრთები აქვს -

მოყვარეა. და ისიც უნდა გახსოვდეს, რომ ადამიანთან ბრძოლისას არ უნდა დავემსგავსოთ მას.

მაშინაც კი, როდესაც დაამხოვთ ადამიანს, არ გადმოიღოთ მისი მანკიერი თვისებები. არასდროს არც ერთმა ცხოველმა არ უნდა იცხოვროს ბინაში, არ უნდა დაიძინოს საწოლში, არ უნდა ატაროს ტანისამოსი, არ უნდა დააკაროს პირი ალკოჰოლს, არ უნდა მოწიოს თამბაქო, არ უნდა შეეხოს ფულს და არ უნდა ჩაებას ვაჭრობაში. ადამიანის ყველა ჩვევას იმთავითვე ბოროტება უდევს საფუძვლად. და რაც მთავარია არც ერთმა ცხოველმა არ უნდა დაჩაგროს თავისი თანამომძმე. სუსტი თუ ღონიერი, გონიერი თუ უგუნური, ყველანი ძები ვართ. არასდროს არც ერთმა ცხოველმა არ უნდა მოკლას მეორე ცხოველი. ყველა ცხოველი თანასწორია.

ახლა კი, მეგობრებო, გიამბობთ ჩემი წინა ღამის სიზმარს. მე მიჭირს გადმოგცეთ იგი. ეს იყო დედამიწა, რომელზეც აღარ არსებობდა ადამიანი. ამ ქვეყანამ მომაგონა რაღაც, დიდი ხნის წინათ რომ ვიცოდი. მაშინ, როდესაც ერთი ციცქნა გოჭი ვიყავი, დედაჩემი და სხვა ღორები რაღაც ძველისძველ სიმღერას მღეროდნენ ხოლმე, რომლის მხოლოდ მელოდია და ორიოდე სიტყვა ახსოვდათ. პატარაობისას ვიცოდი ეს სიმღერა, მაგრამ დროთა განმავლობაში გამიქრა მეხსიერებიდან და აი, წინა ღამით, სიზმარში გამახსენდა იგი. მაგრამ, რაც ყველაზე უცნაურია, აღმიდგა სიმღერის სიტყვებიც, რომლებზეც, ამაში დარწმუნებული ვარ, ეს სიმღერა იმღერებოდა დიდი ხნის წინათ და რომლებიც გადავიწყებოდათ წინა თაობებს. ახლა, მეგობრებო, გიმღერებთ ამ სიმღერას. ხმა კი ჩახრინწული მაქვს, რას იზამ, მაგრამ, როდესაც მელოდიას გასწავლით, თქვენ უკეთესად იმღერებთ. სიმღერას ჰქვია „ინგლისის ცხოველები“.

ბებერმა მეიჯერმა ჩაახველა და ამღერდა. ხმა მართლა ჩახლეჩილი ჰქონდა, მაგრამ საკმაოდ კარგად მღეროდა და მელოდიაც ერთობ გულისშემძვრელი იყო, რაღაც „კლემენტინასა“ და „კუკარაჩას“ შორის. სიმღერაში ნათქვამი იყო:

ინგლისის ცხოველნო,

ამერ იმერნო,

გიამბობთ ახალ ქვეყანაზე,

მომავალ ოქროს ხანაზე.

აღრე თუ გვიან, დადგება ჟამი,

ადამიანის ტირანიის გადავა ხანი,

და ჩვენ სამშობლოს მადლიან მიწით

მხოლოდ პირუტყვი გაიხარებს, ეს ზუსტად ვიცით.

აღარ გვექნება სამარცხვინო ჯილავი ცხვარში,
გადავარდება უნაგირი ჩვენი ზურგიდან,
აღარ მოგვეჩავეს ლაგამი პირში
აღარ გვაჭმევენ საერთო ჭურჭლიდან.

გავძლებით თივით, დავტკბებით შვრიით,
ხორბლით აივსება ჩვენი ბელლები,
სამყურა, ქერი ულევია გვექნება,
უზომოდ მდიდრები ვიქნებით, ვიცით.

და სხვანაირად იკიაფებს მაშინ მზე ცაში,
კამკამა წყლებში სულ სხვა ოცნება აირეკლება,
ოდეს შეწყდება ადამიანის ურცხვი პარპაში
და გაიმარჯვებს საყოველთაო თავისუფლება!

სიმღერამ ცხოველები ლამის გადარია. მეიჯერს ჯერ დამთავრებულიც არ ჰქონდა, რომ სიმღერა მთელმა საზოგადოებამ აიტაცა. მელოდია და ორიოდე სიტყვა ყველაზე ჩლუნგებსაც კი დაემახსოვრებინათ, ხოლო ნიჭიერთ რაც შეეხებათ, ღორებს და ძაღლებს, მათ ხომ წამში დაისწავლეს იგი. სულ მალე არე-მარე გააყრუა ერთხმად აგუგუნებულმა სიმღერამ. ისმოდა ძროხების ღმუილი, ძაღლების წკმუტუნი, ცხვრების ბლავილი, ცხენების ხვიხვინი, ბატების ყიყინი. ცხოველები იმდენად იყვნენ აღფრთოვანებულები, რომ მიყოლებით ხუთჯერ მაინც იმღერეს და კაცმა არ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა ეს, რომ ისინი რაღაცას არ დაეფრთხო.

სამწუხაროდ, ღრიანცელმა ბ-ნი ჯოუნსი გამოაღვიძა. დარწმუნებული, რომ ეზოში მელაა შემოპარული, ლოგინიდან წამოხტა და ხელი დაავლო თოფს, რომელიც ყოველთვის საძილე ოთახის კუთხეში ჰქონდა ხოლმე მიყუდებული. მან ექვსჯერ გაისროლა სიბნელეში. ტყვიები ბელლის კედლებს მოხდა და კრება სასწრაფოდ დაიშალა. ყველამ თავის სადგომს მიაშურა. ფრინველებმა ქანდარაზე ცამოსკუპდნენ, ცხოველები ჩალაში მოეწყვნენ და ერთ წუთში მთელი ეზო ძილმა მოიცვა.

სამი დღის შემდეგ ღამით ბებერმა მეიჯერმა სული განუტევა. იგი ბაღის ბოლოში დაასაფლავეს.

მარტის დასაწყისი იყო. მომდევნო სამი თვის განმავლობაში, ცხოველებს საიდუმლო საქმიანობა ჰქონდათ გაჩაღებული. მეიჯერის სიტყვამ შედარებით გონიერ ცხოველებს სულ სხვანაირად დაანახა ცხოვრება. მათ არ იცოდნენ, როდის მოხდებოდა მეიჯერის მიერ ნაწინასწარმეტყველები აჯანყება, არც იმის საფუძველი გააჩნდათ, ეფიქრათ, რომ თვითონ მოესწრებოდნენ ამ დროს, მაგრამ იმაში კი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ამ აჯანყებისათვის მზადება მათი მოვალეობა იყო. სწავლებისა და საორგანიზაციო საკითხები, ბუნებრივია, ღორებს დაევაღათ, ვინაიდან ისინი საყოველთაოდ აღიარებულნი იყვნენ ყველაზე ჭკვიან ცხოველებად. ამათში გამოირჩეოდა ორი ახალგაზრდა ტახი, სნოუბოლი და ნაპოლეონი, რომელთაც ბ-ნი ჯოუნსი გასაყიდად ამზადებდა. ნაპოლეონი მოსული, ერთობ მრისხანე გარეგნობის ბერკშირელი ტახი გახლდათ (სხვათაშორის ის ერთადერთი ბერკშირელი იყო), რომელსაც ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა და დამოუკიდებელი ხასიათით გამოირჩეოდა. მართალია, სნოუბოლი ნაპოლეონთან შედარებით უფრო გონებამოქნილი და მკვირცხალი იყო, მაგრამ მიაჩნდათ, რომ ხასიათის სიმტკიცით მას ვერ შეედრებოდა. დანარჩენ ტახებს დასაკლავად ასუქებდნენ. ამათ შორის ცნობილი იყო პატარა ჩასუქებული ღორი სახელად სქუილერი - მრგვალლოყიანი, თვალეხამხამა, ცქვიტი მიხვრა-მოხვრითა და მკივანა ხმით. ენაწყლიანი იყო და კამათისად კუდის ქიციანი და ფეხიდან ფეხზე გადახტომა ჰქონდა ჩვევად, რაც დიდ დამაჯერებლობას ანიჭებდა მის ნათქვამს. ამბობენ, სქუილერს შეუძლია დაგიმტკიცოს, რომ შავი თეთრიაო.

ამ სამეულმა მეიჯერის ნააზრევი კარგად შეისწავლა და მწყობრ მოძღვრებად ჩამოაყალიბა. მოძღვრებას ენიმალიზმი* (ენიმალიზმი - ნაწარმოებია ინგლისური სიტყვისგან „ენიმალ“ (animal), რაც ცხოველს ნიშნავს) უწოდეს. ყოველდღე, ერთი კვირის განმავლობაში, დაიძინებდა თუ არა ბ-ნი ჯოუნსი, ცხოველები მალულად იკრიბებოდნენ ბელელში და სახვა ცხოველებს აცნობდნენ ენიმალიზმის პრინციპებს. დასაწყისში დიდ უგუნურებასა და აპათიას აწყდებოდნენ. ვიღაც-ვიღაცეები ბ-ნი ჯოუნსისადმი ერთგულებაზე, მის წინაშე ვალდებულებებზე ლაპარაკობდნენ და თავად ჯოუნსს „პატრონს“ ეძახდნენ. ამბობდნენ ბ-ნი „ჯოუნსი რომ არა შიმშილით დავიხოცებით. ეგ არის ჩვენი მარჩენალიო“. სხვებს აჩემებული ჰქონდათ: „რატომ უნდა გვაწუხებდეს ჩვენს შემდეგ რა იქნებაო“, ან „თუ ეს აჯანყება გარდაუვალია, რა აუცილებელია ჩვენი გარჯაო?“ და მეტად ძნელი გამოდგა მათი დარწმუნება, რომ ამგვარი ეჭვები ეწინააღმდეგებოდა ენიმალიზმის სულისკვეთებას. ყველაზე სულელური კითხვებით მაინც მოლი გამოირჩეოდა, თეთრი ფაშატი. პირველი, რაც მან იკითხა იყო: „იქნება თუ არა შაქარი აჯანყების შემდეგო“?

„არა, - მკაცრად უპასუხებდა ხოლმე სნოუბოლი, - ჩვენ არავითარი საშუალება არ გაგვაჩნია აქ შაქრის საწარმოებლად, გარდა ამისა, რაღად დაგვჭირდება შაქარი, როდესაც თავზე საყრელად გვექნება თივა და შვრია“.

„და ბაფთების ტარების უფლება ისევ გვექნება?“ - არ ცხრებოდა მოლი.

„ამხანაგო, - უხსნიდა სნოუბოლი, - ეს ბაფთები, რომელიც ეგზომ გიზიდავთ, მონობის ნიშანია. ნუთუ არ გესმით, რომ თავისუფლება ბაფთებზე ძვირფასია?“

მოლი ჩუმდებოდა, მაგრამ ეძინოდა, რომ ეს ყველაფერი ნამდვილად არ ესმოდა.

ღორებს კიდევ უფრო მძიმე ბრძოლა უწევდათ სიცრუესთან, რომელსაც მოსე ყორანი ავრცელებდა. მოსე ბ-ნ ჯოუნსის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა და, თუმცა ჯამში და მატყუარა იყო, ლაპარაკი ეხერხებოდა. ის ამბობდა, რომ არსებობდა ქვეყანა, რომელსაც „შაქრის მთა“ ჰქვია და ყველა ცხოველი სიკვდილის შემდეგ იქ მოხვდება. ეს ქვეყანა ცაში მდებარეობსო, ღრუბლების ოდნავ მიღმა. ამ „შაქრის მთის“ ქვეყანაში მუდამ უქმეა, განუწყვეტლივ ყვავის სამყურა, ხოლო შაქარი და ნამცხვარი ზედ ბუჩქებზე იზრდებაო. ცხოველებს აღიზიანებდათ მოსე, რომელიც მხოლოდ ლაყბობდა და ხელს არ ანძრევდა. მაგრამ ზოგიერთს მაინც სჯეროდა „შაქრის მთის“ არსებობსა. ამიტომ ღორებს ხშირად უწევდათ კამათი, რათა ეს ცხოველები დაერწმუნებინათ რომ ამგვარი ქვეყანა ნამდვილად არ არსებობდა.

ღორების ყველაზე ერთგული მოწაფეები ცხენები იყვნენ, - ბოქსერი და ქლოუერი. ამათ ძალიან უჭირდათ დამოუკიდებლად აზროვნება. მაგრამ რაკი ერთხელ და სამუდამოდ ღორები თავიანთ მასწავლებლებად დაიგულეს, მათ ყველაფერს უჯერებდნენ და ცდილობდნენ, მათი ნათქვამი სხვა ცხოველებისათვის განემარტათ უბრალო ენით. ერთიც და მეორეც გულმოდგინედ ესწრებოდნენ ყველა საიდუმლო კრებას და თავყრილობის დასასრულს როგორც წესი, პირველები წამოიწყებდნენ ხოლმე სიმღერას - „ინგლისის ცხოველებს“.

დიდი ხნის ნანატრი რევოლუცია სრულიად მოულოდნელად, იმაზე გაცილებით ადრე და უმტკივნეულოდ მოხდა, ვიდრე ამას ცხოველები იფიქრებდნენ.

ბ-ნი ჯოუნსი მართალია ზედმეტი სიმკაცრით გამოირჩეოდა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სამეურნეო საქმეებში ბრწყინვალედ ერკვეოდა და ფერმასაც დიდი ცოდნით განაგებდა. ასე იყო მთელი ცხოვრება, ვიდრე ერთხელაც ბედმა არ უმტყუნდა და სასამართლოში შეტანილი სარჩელი არ წააგო, რის გამოც დიდძალი თანხა დაკარგა. ამ ამბავმა ისე მოტეხა ჯოუნსი, რომ ყველაფრის ხალისი დააკარგვინა. დღენიადაგ სვამდა და უინძორულ სავარძელში ჩასვენებული ან გაზეთის კითხვით ერთობოდა, ან საყვარელ ყორან მოსეს ლუდში დამბალი ფინჩხებით უმასპინძლდებოდა. მისი შემყურე მსახურებიც სულ გათაღლითდნენ. სარეველა ბალახი მოედო უპატრონო მინდვრებს, სახურავიდან წყალი ჟონავდა, ღობეები გადაწოლილ-გადათელილი იყო. უჭმელ-უსმელი ეყარა საქონელიც.

ამასობაში ივნისიც დადგა - თიბვის დრო. ერთ შაბათ დღეს ბ-ნი ჯოუნსი უილინგდონში გაემგზავრა და ისე გამოთვრა, რომ შინ მხოლოდ კვირას შეძლო დაბრუნება, ნაშუადღევს. დილით მსახურებმა მოწველეს ძროხები და ისე, რომ ცხოველებისთვის ელი ნამცეციც არ უჭმევიათ, კურდღლებზე სანადიროდ გაცვივდნენ. ჯოუნსი კი დაბრუნებისთანავე ტახტზე გაგორდა და სახეზე გაზეთწაფარებულს მკვდარივით ჩაეძინა. ისე მოსაღამოვდა, რომ ცხოველებისთვის ლუკმის მიმწოდებელი არავინ გამოჩნდა. ბოლოს, როდესაც მეტის ატანა უკვე აღარ შეიძლებოდა, ერთ-ერთმა ძროხამ რქებით გაარღვია გომურის კარი და დამშეული ცხოველები საჭმელს დააცხნენ. ხმაურმა ბ-ნი ჯოუნსი გამოაღვიძა. ოთხი კაცის თანხმლებით იგი მათრახის ქნევით ბოსელში შევარდა. ამან საბოლოოდ გადარია ცხოველები და, თუმცა არაფერი ამდაგვარი არ ჰქონდათ მანამდე განზრახული, გამწარებული დაერივნენ თავიანთ მწვალებლებს და ყველა მხრიდან აუტეხეს ბაგა-ბუგი. ზოგი ურქენდა, ზოგი წიხლებს აზელდა პატრონსაც და მის მსახურებსაც, ასეთი რამ პირველად დატრიალდა ფერმაში. იმათმა ამბოხმა, ვინც მხოლოდ დამცირებასა და მორჩილებას იყო ჩვეული, ბ-ნი ჯოუნსსაც და მის სახლისკაცებსაც თავზარი დასცა. შიშისგან გულგახეთქილები ერთხანს კი იცავდნენ თავს, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომამ ვითარებაში ვერაფერს გახდებოდნენ და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გაქუსლეს. ცხოველები საზეიმო ყიჟინით კარგა ხანს მისდევდნენ უკან.

ქ-ნმა ჯოუნსმა, დაინახა თუ არა ფანჯრიდან, რაც ხდებოდა, სწრაფად ჩაყარა ჩანთაში რისი ჩაყრაც კი მოასწრო და უკანა კარიდან გაიპარა. მას ხმამარალი ჩხავილით გამოედევნა ყორანი მოსე. ამასობაში ცხოველებმა ჯოუნსი და მისი მსახურები გზაზე გარეკეს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ზურგს უკან ჭიშკარი მიუხეთქეს.

ამგვარად, მოხდა გადატრიალება, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა. ჯოუნსი გააძევეს და ფერმა „მამულს“ ცხოველები დაეპატრონენ.

რამდენიმე ხანს ვერავინ ვერ იჯერებდა ამ ბედნიერებას. პირველ რიგში ყოველი კუნჭული შემოირბინეს, უნდოდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ ყველა ადამიანი გაძევებულია და არსად არავინ არ იმალება. შემდგომ ეზოში დაბრუნდნენ და ჯოუნსის საძულველი ბატონობის ყოველგვარი კვალი მოსპეს. წიხლებით შეანგრის პატარა ოთახის კარი, სადაც ცხენების აკაზმულობა ინახებოდა და ჭაში გადაუძახეს ლაგმებს, ჯილვებს, ძაღლების ჯაჭვებს და დაუნდობელ დანებს, რომლებითაც ღორებსა და ცხვრებს კოდავდნენ ხოლმე. სადავეები, თვალსაფრები, ავშრები და დამამცირებელი თოფრები, ყველაფერი ნაგვისაგან გაჩაღებულ კოცონში ჩაყარეს. იგივე ბედი ეწია შოლტებსაც. სიხარულით ყირას გადადიოდნენ იმის შემხედვარე, თუ როგორ ქრებოდა ეს ყველაფერი ცეცხლის ალში. სნოუბოლმა ცეცხლში ჩააგდო ბაფთებიც, რომლებითაც ბაზრობის დღეებში ცხენების ფაფარს რთავდნენ ხოლმე.

„ბაფთები, - გამოაცხადა მან, - უნდა განვიხილოთ, როგორც ტანსაცმლის ნაწილი, ტანსაცმელი კი ადამიანის ატრიბუტია. ყოველი ცხოველი ამიერიდან შშველი ივლის“.

ამის გაგონებაზე ბოქსერმა პატარა ჩალის ქუდი მოარბენინა, რომლითაც ზაფხულობით თავს იცავდა ბუზებისაგან და სხვა ნივთებთან ერთად ცეცხლს მისცა.

მცირე ხანში ცხოველებმა მოსპეს ყველაფერი, რაც ბ-ნ ჯოუნსს მოაგონებდათ. შემდეგ მათ ნაპოლეონი გაუძღვა საწყობში და მარცვლეულის ორმაგი ულუფით გაუმასპინძლდა ყველას. ძაღლებს ორ-ორი ბისკვიტიც კი ერგოთ. მერე „ინგლისის ცხოველები“ დააგუგუნეს შვიდჯერ და დასაძინებლად მიმოიფანტნენ.

მეორე დღეს ჩვეულებისამებრ გამთენიისად გამოეღვიძათ და როცა გაახსენდათ მოპოვებული დიადი გამარჯვება, სულმოუთქმელად საძოვრებისაკენ გავარდნენ. იქვე, ახლო-მახლო ბორცვაკის წვერიდან მათი მთელი ადგილ-მამული იშლებოდა. ცხოველები მარდად ავიდნენ ბორცვაკის წვერზე და იქიდან გამტერებით ათვალიერებდნენ ცისკრის გამჭვირვალე შუქით მოფენილ მიდამოს. დიახ, ეს ყველაფერი მათი იყო, ყველაფერი, რასაც ხედავდნენ, მათ ეკუთვნოდათ. ამ ფიქრით ალტკინებულებმა გამეტებით დაიწყეს ხტუნვა. კუნტრუმობდნენ, ცვრიან ბალახზე გორაობდნენ, ტკბილი ზაფხულის ბალახით იტენიდნენ პირს, ხარბად ყნოსავდნენ და ჰაერში ისვროდნენ ბელტებს. შემდეგ მთელ კარ-მიდამოს შემოუარეს. გასუსულები აღფრთოვანებით უცქედნენ ხნულებს, მდელოებს, ბაღს, გუბურას, ტყეს. თითქოს პირველად ხედავდნენ ამას, ვერ დაეჯერებინათ, რომ ყოველივე ამის პატრონი თვითონ იყვნენ.

მერე დაეწყვნენ და ჯოუნსის სახლს მიაშურეს, მაგრამ კართან შეეკვნდნენ. ეს სახლიც მათი საკუთრება იყო ამიერიდან, მაგრამ შესვლას მაინც ვერ ბედავდნენ. ბოლოს ისევ ნაპოლეონმა და სნოუბოლმა მხრით შეაღეს კარი და ცხოველები დაწილიკებული შევიდნენ შენობაში. ძალიან ფრთხილად დაიოდნენ ოთახიდან ოთახში - ეშინოდათ, რამე არ გაეფუჭებინათ. შეცბუნებულები ჩურჩულით ლაპარაკობდნენ და ერთგვარი მოწიწებით ათვალიერებდნენ არნახულ სიმდიდრეს: ბუმბულის ლეიბებიან საწოლებს, სარკეებს, ცხენის ძუისაგან დაწულ სავარძლებს, ბრუსელურ ხალიჩებს, ბუხრის თავზე ჩამოკიდებულ დედოფალ ვიქტორიას ლითოგრაფიულ გამოსახულებას. კიბეზე ეშვებოდნენ, როდესაც შეამჩნიერ, მოლი არ იყო მათ შორის. როცა აბრუნდნენ, იგი ქ-ნი ჯოუნსის საძინებელ ოთახში აღმოაჩინეს - სარკის წინ ტრიალებდა და კმაყოფილი კარადის უჯრიდან ამოდებულ ბაფთასისინჯავდა, რისთვისაც სასტიკად გაკიცხეს. ბოლოს ყველანი ერთად გარეთ გამოვიდნენ. თან სამზარეულოში ჩამოკიდებული ღორის ბარკალი წამოიღეს მიწაში ჩასაფლელად. სხვა რამეს არავინ არ მიჰკარებია (მხოლოდ ბოქსერმა შემთხვევით წამოსდო ფეხი კასრს და გახვრიტა). იქვე ერთხმად გადაწყდა, რომ ჯოუნსის სახლი მუზეუმად გადაექციათ. შეთანხმდნენ, რომ არცერთი ცხოველი არასოდეს არ იცხოვრებდა მასში.

ცხოველებმა ისაუბრეს და ნაპოლეონმა და სნოუბოლმა კვლავ მოუხმეს მათ.

„ამხანაგებო, - თქვა სნოუბოლმა, - ახლა შვიდის ნახევარია და წინ გრძელი დღე გვაქვს. დღეს თიბვა უნდა დავიწყოთ, მაგრამ ჯერ სხვა რამ გვაქვს მოსაგვარებელი.“

ღორებმა მხოლოდ ახლა გაამხილეს, რომ გასული სამი თვის განმავლობაში წერაკითხვა უსწავლიათ ჯოუნსის უმცროსი შვილის სახელმძღვანელოდან, რომელიც ნაგავში აღმოაჩინეს.

ნაპოლეონმა განკარგულება გასცა შავი და თეთრი საღებავები მოეტანათ და ცხოველებს მთავარ გზაზე გამავალი ჭიშკრისაკენ გაუძღვა. შემდეგ სნოუბოლმა (მას უკეთ შეეთვისებინა მართლწერის საკითხები) ფუნჯი ორ ჩლიქს შორის დაიჭირა და ჭიშკარზე გაკეთებული წარწერა „მამული“ წაშალა, მის ნაცვლად კი „ცხოველები სფერმა“ დააწერა.

ამიერიდან ასე უნდა რქმეოდა ბ-ნ ჯოუნსის ყოფილ ფერმას. ამის შემდეგ ყველა დაბრუნდა ეზოში, სადაც სნოუბოლმა და ნაპოლეონმა განკარგულება გასცეს, ხის კიბე მოეტანათ და ბელლის კედელზე მიედგათ. ირგვლივ მყოფთ განუმარტეს, რომ ღორებმა ამ სამ თვეში ენიმალიზმის პრინციპები წარმატებით დაიყვანეს შვიდ მცნებამდე, რომ ამ შვიდ მცნებას ახლა კედელზე დაწერდნენ, რომ ეს იქნება მკაცრი კანონები და სწორედ ამ კანონებით იცხოვრებდნენ „ცხოველების ფერმის“ ბინადარნი აწ და მარადის.

სნოუბოლი ცოტა არ იყოს გაჭირვებით აძვრა კიბეზე (მოგეხსენებათ, ღორებისთვის არც ისე ადვილია წონასწორობის დაცვა) და მუშაობას შეუდგა. ქვედა საფეხურზე სქუილური იდგა და საღებავი ეჭირა. შვიდი მცნება დიდი თეთრი ასოებით აღბეჭდეს ბელლის გაფისულ კედელზე და კარგა შორი მანძილიდანაც იკითხებოდა. შვიდი მცნების მიხედვით:

1. ყველა, ვინც ორ ფეხზე დადის ცხოველის მტერია
2. ყველა ვისაც ოთხი ფეხი ან ფრთები აქვს ცხოველის მეგობარია
3. არც ერთმა ცხოველმა არ უნდა ატაროს ტანსაცმელი
4. არც ერთმა ცხოველმა არ უნდა დაიძნოს ლოგინში
5. არც ერთმა ცხოველმა არ უნდა მიიღოს ალკოჰოლი
6. არც ერთმა ცხოველმა არ უნდა მოკლას მეორე ცხოველი
7. ყველა ცხოველი თანასწორია

ასოები საოცრად სუფთად იყო გამოყვანილი. მართლწერაც ყველგან სწორი იყო, გარდა ერთი ადგილისა, სადაც „მეგობარის“ მაგივრად „მეგობარია“ ეწერა და კიდევ ერთგან სადაც „ს“ უკულმა იყო შემოტრიალებული. სნოუბოლმა ყველას გასაგონად ხმამაღლა წაიკითხა მცნებები. უკლებლივ ყველა ცხოველი თავის კანტურით ეთანხმებოდა მოსმენილს, ყველაზე ნიჭიერნი კი მათ გაზეპირებას შეუდგნენ.

„ახლა კი, ამხანაგებო, - გამოაცხადა სნოუბოლმა და ფუნჯი ქვემოთ ჩამოაგდო, - მინდვრებს მივაშუროთ! მოდი, მოსავალი უფრო სწრაფად ავიღოთ, ვიდრე ამას ჯოუნსი და მისი მსახურნი შეძლებდნენ, ბოლოს და ბოლოს ეს ღირსების საქმეა!“

მაგრამ ზუსტად ამ დროს სამმა ძროხამ, რომლებიც კარგა ხანია შეწუხებულნი გამოიყურებოდნენ, ხმამაღალი ბლავილი მორთეს. წინა დღიდან მოუწველავნი დარჩენილიყვნენ და ჯიქნები დასკდომაზე ჰქონდათ. ცოტაოდენი ფიქრის შემდგომ ღორებმა ვედროები მოატანინეს და საკმაოდ მარჯვედ მოწველეს ძროხები. ამ საქმიანობისთვისაც ფლოქვები ძალიან მოსახერხებელი აღმოჩნდა. მალე ხუთივე ვედრო გაპიპინდა აქაფებული ნაღებიანი რძით, რომესაც ცხოველები სრულიად არაორაზროვნად მიაჩერდნენ. ვიღაცამ იკითხა, ნეტა, ამ რძეს რას უზამენო.

„ჯოუნსი ფაფაში გვირევდა ხოლმე“, - შენიშნა ქათამმა.

„ამაზე ნუ დარდობთ, ამხანაგებო!“ - თქვა ნაპოლეონმა და ვედროები წინ აიფარა, - ამ რძის ამბავს მოვაგვარებთ. მთავარი ახლა მოსავლის აღებაა. ამხანაგი სნოუბოლი გაგიძღვებათ და მეც ცოტა ხანში წამოგეწევით. „აბა, მომყევით, ამხანაგებო! სათიბი გველოდება“.

ცხოველებმა მინდვრებს მიაშურეს, რათა თიბვას შესდგომოდნენ. სადამოს, როდესაც უკან დაბრუნდნენ, მიმოიხედეს, შეამჩნიეს, რომ რძე აღარსად იყო.

თავი III

აღებული მოსავლის სიუხვემ მოლოდინს გადააჭარბა. ცხოველების გარჯას ამაოდ არ ჩაუვლია, მაგრამ რამდენი ჯაფა გაწიეს! რა ოფლი დაღვარეს!

ზოგჯერ საქმე მეტად რთულდებოდა. დიდ დაბრკოლებას ქმნიდა ის გარემოება, რომ სამუშაო იარაღები ადამიანებისთვის იყო გათვალისწინებული და ცხოველები, რომელთაც უკანა ფეხებზე დგომა არ შეეძლოთ, მათ ვერ იყენებდნენ. მაგრამ ღორები იმდენად მოხერხებულები აღმოჩნდნენ, რომ რაღაც გამოსავალს ყოველთვის პოულობდნენ. აი ცხენებს კი გაცილებით უადვილდებოდათ შრომა. - მინდვრის ყოველი მტკაველი კარგად იცოდნენ და, ფაქტობრივად, თიბვასაც და თივის გაშრობასაც ჯოუნსის მსახურებზე უკეთ ართმევდნენ თავს. ღორები არ მუშაობდნენ. ისინი სხვების მუშაობას წარმართავდნენ. ჩინებული განათლება ჰქონდათ მიღებული და ბუნებრივია ლიდერობა მათ დაეკისრათ. ბოქსერი და ქლოუერი თვითონ ეწეოდნენ გუთანს (ცხადია, ლაგმებისა და სადავეების ხსენებაც არ იყო). მძიმე ნაბიჯებით ბეჯითად უვლიდნენ გარს მინდორს, უკან კი ღორი მისდევდა ხოლმე ჰყვილით: „წინ, წინ, ამხანაგებო!“ ან „მოვუხვიოთ, მოვუხვიოთ!“ (საჭიროებისამებრ). თივის მოგროვებაში დიდი და პატარა, უკლებლივ ყველა, მონაწილეობდა. ნისკარტში

გაჩრდილი თივის პაწაწინა კონეებით იხვებიც კი, ქათმებთან ერთად მთელი დღე პაპანაქება მზეში მიმორბოდნენ. საბოლოოდ მოსავლის აღება ორ დღეში მომთავრდა, გაცილებით სწრაფად ვიდრე ამას ჯოუნსი ახერხებდა. მაგრამ, რაც მთავარია, ასეთი დიდი მოსავალი აქაურობას ჯერ არ მოსწრებია. უმნიშვნელო დანაკარგებსაც კი არ ჰქონდა ადგილი; ქათმებისა და იხვების მახვილ თვალს ციცქნა ყუნწიც კი არ დარჩენია შეუმჩნეველი. გარდა ამისა არც ერთ ცხოველს ნამცეციც კი არ მოუპარავს.

მთელი ზაფხულის განმავლობაში ცხოველებს მუშაობა საათივით ჰქონდათ აწყობილი. ვერასოდეს წარმოიდგენდნენ რომ ასეთი ბედნიერება შესაძლებელი იყო. ახლა, როდესაც მათ სადილს უკმაყოფილო პატრონის მიერ გაცემული ულუფა კი არ შეადგენდა, არამედ საკუთარი ნაშრომ-ნაღვაწი, ყოველ ლუკმას სულ სხვა, განსაკუთრებით სასიამოვნო გემო ჰქონდა. მიუხედავად სამეურნეო საქმეში გამოუცდელობისა და სვენების საშუალებაც ბევრად მეტი გაჩნდა. მაგრამ ყოველთვის როდი ულხინდათ. მაგალითად, ჯოუნსის მეურნეობაში სალენი მანქანა არ მოიპოვებოდა, ამიტომ ხორბლის გალენწვაც და განიავებაც მამა-პაპური მეთოდით მოუწიათ. მაგრამ ღორების ნიჭსა და ბოქსერის კუნთებს რა დაუდგებოდა წინ. ბოქსერით მაინც ხომ ყველა აღტაცებული იყო. იგი ჯოუნსის დროსაც გამრჯე მუშაკი იყო, მაგრამ ახლა იფიქრებდით სამი ცხენისძალა შეემატაო; იყო დღეები როდესაც მეურნეობის მთელი სიმძიმე მის მძლავრ მხრებზე გადადიოდა. დილიდან საღამომდე ხან რას მიათრევდა ხან რას და, რაც ყველაზე მთავარია, ყოველთვის იქ იყო სადაც უჭირდათ. ერთ-ერთ მამალს შეუთახმდა ჩვეულებრივზე ნახევარი საათით ადრე გაეღვიძებინა რათა სამუშაო დღის დაწყებამდე დახმარებოდა მათ ვინც თავს ვერ ართმევდა საქმეს. ყველა პრობლემას, ყველა შეფერხებას ასე უპასუხებდა: „უფრო მაგრად ვიმუშავებ!“, ეს მის პირად დევიზად ქცეულიყო.

მაგრამ არც დანარჩენები ზოგავდნენ თავს. რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, შრომობდნენ. მაგალითად, ქათმებმა და იხვებმა დაფანტული ხორბლის მარცვლებით ხუთი ბუშელი აავსეს. არავინ ქურდობდა, არავინ ბუზღუნებდა, ხოლო კინკლაობა, კბენა, ეჭვიანობა ლამის მთლიანად მოისპო, წარსულს ჩაბარდა. არავინ, ან თითქმის არავინ, არიდებდა თავს პასუხისმგებლობას. მხოლოდ მოლის უჭირდა დილაობით ადრე ადგომა და საქმესაც შუა გზაზე მიაგდებდა ხოლმე, იმიზეზებდა ფლოქვში კენჭი გამეკვებაო. კატაც, ცოტა არ იყოს უცნაურად იქცეოდა. როგორც კი საქმე გამოჩნდებოდა, ვერსად იპოვნოდი. ამას ყველა ამჩნევდა. იგი საათობით აორთქლდებოდა ხოლმე და მხოლოდ სადილისათვის ბრუნდებოდა, ან კიდევ საღამოს, როდესაც მთელი სამუშაო უკვე მომთავრებული იყო, თავიც ისე ეჭირა ვითომც არაფერიო. ყოველთვის ისეთ დამაჯერებელ მიზეზს გამოძებნიდა და ისეთი გრძნობით კრუტუნებდა, რომ მის კეთილ ზრახვებში ეჭვს ვერ შეიტანდი; ხოლო ბებერ ბენჯამენს, სახედარს, არც რევოლუციის შემდეგ უღალატია თავისი ხასიათისთვის - ძველებური სიდინჯით განაგრძობდა მუშაობას, დავალებულ საქმეს თავს არ აარიდებდა, მაგრამ არც ზედმეტად გაირჯებოდა. რევოლუციასა და მის შედეგებზე თავის აზრს არ გამოთქვამდა. ხოლო, თუ ჰკითხავდნენ, განა ახლა უფრო

ბედნიერი არა ხარ, ვიდრე ჯოუნსის დროსო, ასე უპასუხებდა: „ვირები დიდხანს ცხოვრობენ. არც ერთი თქვენგანი არ მოსწრებია ვირის სიკვდილს“. ცხოველებსაც სხვა რა გზა ჰქონდათ, ამ ორაზროვანი პასუხით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ.

კვირა დღე უქმედ იყო გამოცხადებული, ამ დღეს ჩვეულებრივზე ერთი საათით გვიან საუზმობდნენ; საუზმეს მოსდევდა ცერემონიალი, რომლის ჩატარებაც წესად ჰქონდათ და არც ერთხელ არ გამოუტოვებიათ. ცერემონიალი დროშის აღმართვით იწყებოდა. სნოუბოლმა სარდაფში მაგიდის ძველი მწვანე ფერის გადასაფარებელი აღმოაჩინა და მას თეთრი საღებავით ჩლიქი და რქა დაახატა. აი, ამ დროშას ყოველ კვირა აღმართავდნენ ხოლმე ბაღში. დროშის მწვანე ფერი, სნოუბოლის თქმით, ინგლისის მდელოებს გამოხატავდა, ხოლო თეთრი ჩლიქი და რქა მომავალი რესპუბლიკის სიმბოლო იყო, ანუ იმ დროისა, როდესაც ადამიანების რასა საბოლოოდ დაემხოვდა. დროშის აღმართვის შემდეგ ცხოველები ბელისაკენ მიემართებოდნენ. იქ ტარდებოდა ხოლმე კრება, რომელსაც სხდომას უწოდებდნენ. იქვე იგეგმებოდა მომავალი კვირის საქმიანობა და გამოტანილ რეზოლუციებზეც მიმდინარეობდა სჯაბაასი. რეზოლუციები ჩვეულებრივ, ღორებს გამოჰქონდათ. სხვა ცხოველებმა ხმის მიცემა კი იცოდნენ, მაგრამ რეზოლუციის გამოტანა არ ეხერხებოდათ, ვინაიდან დამოუკიდებლად აზროვნება უჭირდათ. სნოუბოლი და ნაპოლეონი ყველაზე მეტად აქტიურობდნენ: შემჩნეული იყო, რომ ისინი არასდროს არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს: - რა მოსაზრებაც არ უნდა წამოეყენებინა ერთს, ყველამ წინასწარვე იცოდა, რომ მეორე საწინააღმდეგოს იტყვოდა. ასე მოხდა მაშინაც კი, როდესაც საკითხი სადაოს არაფერს შეიცავდა - კერძოდ, როდესაც გადაწყვიტეს, რომ ბალის უკანა დასასვენებელი ადგილის ნაცვლად სამოვარი გამოეყოთ იმ ცხოველებისათვის, ვინც ხანდაზმულობის გამო ვერ იმუშავებდა. ასე მწვავე კამათი ატყდა საპენსიო ასაკის დადგენისას. სხდომა ყოველთვის „ინგლისის ცხოველებით“ იხურებოდა. შუადღე გართობა-დასვენებას ეძღვნებოდა.

ღორებმა გამოყეს ოთახი შტაბ-ბინისათვის, აქ სადამოობით, ჯოუნსის წიგნებით მჭედლობას, დურგლობას და სხვა აუცილებელ ხელობას სწავლობდნენ. ამასთან ერთად სნოუბოლი ცხოველთა კომიტეტის შექმნით იყო დაკავებული. მან ჩამოაყალიბა „კვერცხის მწარმოებელი კომიტეტი“ ქათმებისათვის, „სუფთა კუდების ლიგა“ ძროხებისათვის, „ველურ ამხანაგთა აღზრდის კომიტეტი“ (ამ უკანასკნელის მიზანი ვირთხებისა და კურდღლების მორჯულება იყო), „თეთრი შალის მოძრაობა“ ცხვრებისათვის და მრავალი სხვ. გარდა ამისა დაარსა წერა-კითხვის შემსწავლელთა კლასები. ძირითადად ეს წამოწყებები წარუმატებლად დამთავრდა. ველურ ამხანაგთა წვრთნის საქმე, შეიძლება ითქვას, მაშინვე ჩაფლავდა, ისინი ძელებურად ცუდლუტობდნენ, ხოლო თუ ამაზე სულგრძელად თვალს დახუჭავდი, კიდევ თავხედდებოდნენ. ამ კომიტეტში კატაც შევიდა და ერთხანს აქტიურად ჩაება მის საქმიანობაში. ერთ დღეს, სახურავზე წამოჭიმული რამდენიმე ბელურას ემუსაიფებოდა. უხსნიდა, რომ ახალ დროში ყველა ცხოველი ერთმანეთის მეგობარია

და სთავაობდა, თუ გნებავსთ თათზე დამასკუპდითო, მაგრამ ბელურები მოშორებით ყოფნას ამჯობინებდნენ.

სამაგიეროდ, წერა-კითხვის შემსწავლელ კლასებში მეცადინეობა წარმატებით მიმდინარეობდა. ძაღლებმა ჩინებულად აითვისეს კითხვა, მაგრამ შვიდი მცნების გარდა არაფერი აინტერესებდათ. უნდა ითქვას, რომ თხა მურიელმა ძაღლებს გაუსწრო და ზოგჯერ სადამოობით სანაგვეში ნაპოვნი გაზეთების ნაგლეჯებს უკითხავდა სხვებს. ბენჯამენს ისე მშვენივრად შეეძლო კითხვა, როგორც ღორებს, მაგრამ არასდროს იყენებდა ამ შესაძლებლობას. ამბობდა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არც ერთი წიგნი არ იმსახურებს წაკითხვასო. ქლოუერმა ანზანი მთლიანად შეისწავლა, მაგრამ ასოების გაბმულად კითხვა უჭირდა. ბოქსერი „დონს“ ვერ გასცდა. თავისი დიდი ჩლიქით მტვერში გამოიყვანდა ხოლმე „ანს“, „ბანს“, „განს“, „დონს“ და შეჩერდებოდა. ყურებდაცქვეტილი დამაბული მიაშტერდებოდა ახოებს და შიგადაშიგ შუბლზე ჩამოვარდნილ ფაფარს აიქნევდა, მაგრამ, უდიდესი ძალისხმევით მიხედავად, ვერა და ვერ იხსენებდა რომელი ასო მოდიოდა შემდეგ. უნდა ითქვას, რამდენჯერმე შემდეგი ასოებიც დაიზეპირა, მაგრამ დაისწავლა თუ არა აღმოჩნდებოდა, რომ ახლა წინა ასოები დავიწყებოდა. ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა, პირველი ოთხი ასოთი დაკმაყოფილებულიყო და ყოველდღე ცოდნის გასამტკიცებლად ამ ასოების წერაში ევარჯიშა. მოლიმ მხოლოდ ის ასოები შეისწავლა, რომლითაც მისი სახელი იწერებოდა, დანარჩენზე უარი განაცხადა. ნორჩი ყლორტებისაგან კოხტად ააწყობდა საკუთარ სახელს, შემდეგ ერთი-ორი ყვავილით მორთავდა და აღფრთოვანებული გარს უვლიდა.

ვერც ერთი სხვა ცხოველი ვერ გასცდა პირველ ასოს. ამასობაში ისიც გაირკვა, რომ უფრო ჩლუნგებმა, როგორებიც იყვნენ ცხვრები, ქათმები და იხვები, ვერ შეძლეს შვიდი მცნების ზეპირად დასწავლა. ბევრი ფიქრის შემდეგ, სნოუბოლმა განაცხადა, რომ შვიდი მცნების აზრი შეიძლება დაიყოს ერთ დებულებამდე, სახელდობრ: „ოთხი ფეხი კარგია, ორი - ცუდი. აი, ენიმალიზმის ძირითადი პრინციპი. ვინც ამას შეითვისებს დაზღვეული იქნება ადამიანის ზეგავლენისაგან“. ფრინველებმა დასაწყისში ამ დებულების გამო პროტესტი განაცხადეს. მათაც ხომ ორი ფეხი ჰქონდათ, მაგრამ სნოუბოლმა დაუმტკიცა, რომ ისინი ცდებოდნენ: „ფრინველების ფრთები, ამხანაგო, - განმარტა მან, - მოძრაობის და არა მანიპულაციის ორგანო. ამდენად ისინი უნდა განვიხილოთ, როგორც ფეხები. ადამიანის განსხვავებული ორგანო არის ხელი, იარაღი, რომლის მეშვეობითაც სჩადის იგი ყველა უმსგავსობას“.

ფრინველებმა ბევრი ვერაფერი გაიგეს სნოუბოლის ლაპარაკიდან, მაგრამ მიიღეს ეს ახსნა-განმარტება და ყველა ჩამორჩენილი ცხოველი შეუდგა ახალი დებულების დასწავლას. ცხოველებმა ეს დებულება დიდი ასოებით ბელის კედელზე შვიდ მცნებას წარუმძღვარეს. ცხვრებმა დზეპირებისთანავე შეიყვარეს იგი და ხშირად მდელიოზე წამოგორებულები ერთად აკიკინდებოდნენ ხოლმე: ოთხი ფეხი კარგია,

ორი - ცუდი! და ასე იმეორებდნენ საათობით, ისე რომ დაღლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდათ.

ნაპოლეონი არანაირ ინტერესს არ იჩენდა სნოუბოლის კომიტეტებისადმი. გამოაცხადა, რომ მომავალი თაობის აღზრდაა მნიშვნელოვანი და არა უკვე ჩამოყალიბებულ არსებებზე ზრუნვა. ისე მოხდა, რომ თიბვის მომთავრებისთანავე ჯესიმ და ბლუბელმა ერთდროულად ცხრა ლეკვი დაყარეს. როგორც კი ძუმს წოვების დრო დაუმთავრდათ ნაპოლეონმა ლეკვები დედებს მოაცილა - ჩემს თავზე ვიღებ ამათ აღზრდასო, და ისინი დააბინავა სხვენზე, რომელსაც მხოლოდ კიბით თუ მიუდგებით შტაბ-ბინის მხრიდან. ლეკვები იმდენად კარჩაკეტილნი იზრდებოდნენ, რომ ყველას გადაავიწყდა მათი არსებობა.

ამ დროს აქამდე ბუნდოვნებით მოცული ერთი საიდუმლოება გამოაშკარავდა. კერძოდ, სად ქრებოდა რძე. აღმოჩნდა, რომ მთელ რძეს ღორები თავიანთი ფაფებისათვის იყენებდნენ. საადრეო ვაშლის მწიფობის პერიოდი იდგა და ბალი ჩამოცვენილი ნაყოფით იყო მოფენილი. ცხოველები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ეს ხილი თანაბრად განაწილდებოდა მათ შორის. მაგრამ ერთ დღეს დადგენილება გამოვიდა, რომ ჩამოცვენილი ვაშლები აეკრიფათ და შტაბ-ბინაში მიეტანათ ღორებისათვის. ამაზე ზოგიერთებმა საყვედურის მსგავსი რაღაც წაილულლულეს, თუმცა უშედეგოდ. ამ საკითხის თაობაზე ღორებს შორის, სნოუბოლისა და ნაპოლეონის ჩათვლით, სრული თანხმობა სუფევდა, მათ ცხოველებში ახსნა-განმარტებების ჩასატარებლად სქუილერი გაგზავნეს.

„ამხანაგებო! - შესჭყივლა მან, - იმედია, თქვენ არ ფიქრობთ, რომ ღორები ეგოისტები არიან და პრივილეგიებით სარგებლობენ. გვძაგს ვაშლიც და რძეც. პირადად მეც ვერ ვიტან ვერც ერთს. ერთადერთი ჯანმრთელობის გასამაგრებლად ვღებულობთ ამ პროდუქტებს, რძე და ვაშლი შეიცავს ისეთ ვიტამინს (ეს მეცნიერულად არის ამხანაგებო დამტკიცებული), რომლებიც აბსოლუტურად აუცილებელია ღორის ჯანმრთელობისათვის. ჩვენ გონებრივ მუშაობას ვეწევით. ამ მთელი მეურნეობის მოვლა-პატრონობა და ორგანიზაცია ჩვენს მხრებზე გადადის. დღედაღამ თქვენს კეთილდღეობაზე ვზრუნავთ. თქვენდა სასიკეთოდ ვსვამთ რძეს. თქვენ რომ კარგად იყოთ, ამიტომ ვჭამთ ვაშლს. იცით, ამხანაგებო, რა მოხდება, თუ ვერ შევასრულებთ ჩვენზე აღებულ პასუხისმგებლობას? რა და, ჯოუნსი დაბრუნდება! დიახ, ჯოუნსი! იმედია ჯოუნსის დაბრუნება არავის სურს? არა და, ნამდვილად ასე იქნება, დამიჯერეთ ამხანაგებო“. ლამის მუდარით დაამთავრა სქუილერმა ომახიანად დაწყებული სიტყვა, თან კუდის ქიციანით ფეხიდან ფეხზე გადახტა.

უნდა ითქვას, ერთადერთი, რაშიც დარწმუნებულები იყვნენ ცხოველები, რომ ჯოუნსის დაბრუნება არავის სურდა. როდესაც საქმის ვითარება ამ კუთხით დაანახეს, ვერაფერი თქვეს. უდავოდ უნდა მოფრთხილებოდნენ ღორების ჯანმრთელობას. კამათის გაუგრძელებლად შეთანხმდნენ, რომ რძე და ჩამოცვენილი ვაშლები

(აგრეთვე მომავალში დაკრეფილი ვაშლების დიდი ნაწილიც) მხოლოდ ღორებისთვის უნდა გადაენახათ.

თავი IV

ზაფხულის მიწურულს „ცხოველების ფერმაში“ მომხდარი ცვლილებები ქვეყანას მოედო. ყოველდღიურად სნოუბოლისა და ნაპოლეონის დავალებით მეზობელ მამულებში იგზავნებოდა მტრედების გუნდი, რომელსაც ევალეზოდა იქაურ ცხოველებში გარევა, მათთვის რეკოლუციის ამბის შეტყობინება და ჰიმნის „ინგლისის ცხოველების“ სწავლება.

ამასობაში ბ-ნი ჯოუნსი მთელ დროს „მეწამულ ლომში“, უილინგდონის ცნობილ ბარში, ატარებდა. ვისაც კი დაიგულებდა, ყველას იმ არაადამიანურ უსამართლობაზე ესაუბრებოდა, როდესაც ერთი მუჭა მდაბიო ცხოველების ხროვამ იგი საკუთარი სამფლობელოდან დააპანდურა. სხვა მემამულეები კი უთანაგრძნობდნენ მას, მაგრამ დახმარებას არ ჩქარობდნენ. გულში კი ყველა იმას ფიქრობდა, შეძლებდა თუ არა ჯოუნსის ამ უბედურების რამენაირად თავის სასარგებლოდ შემოტრიალებას. იღბლად, „ცხოველების ფერმის“ მომიჯნავე ორ ფერმას ერთმანეთთან დაუსრულებელი კინკლაობა ჰქონდა. ერთ-ერთი ფერმა, „ფოქსვუდი“, მოუვლელი სამოვრებითა და გადათელილი მესრების ტყით გარშემორტყმული ძველებური კარმიდამო იყო. მისი პატრონი, ბ-ნი ფილქინგთონი, იმისდა მიხედვით, თუ რა სეზონი იყო, მთელ დროს ან თევზაობაში ატარებდა, ან ნადირობაში. მეორე ფერმა „ფინჩილდი“ უფრო პატარა იყო, მაგრამ უკეთ მოვლილი. იგი ბ-ნ ფრედერიკს ეკუთვნოდა, ჯმუხ, ანგარებიან კაცს, რომელსაც გაუთავებლად სასამართლოშიუ ჰქონდა საქმე. იგი ცნობილი იყო, როგორც რთული სავაჭრო გარიგებების გამჩარხველი. ეს ორი ადამიანი იმდენად ვერ იტანდა ერთმანეთს, რომ წარმოუდგენელი იყო მათ შორის რაიმე საქმიანი, თუნდაც ორთავესთვის მომგებიანი მოლაპარაკება შემდგარიყო. ასე თუ ისე „ცხოველების ფერმაში“ მომხდარმა აჯანყებამ ორივე გვარიანად დააფრთხო და ყველანაირად ცდილობდნენ, რომ მათ ცხოველებს რაც შეიძლება ნაკლები გაეგოთ ამის შესახებ. ერთ ხანს, თავი ისე ეჭირათ, თითქოს სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ, რომ ცხოველები დამოუკიდებლად უვლიან კარმიდამოს. ამბობდნენ, მთელ ამ ამბავს ორ კვირაში მოეღება ბოლო. ყველგან ამბობდნენ, რომ „მამულის“ (ჯიუტად ძველი სახელით იხსენებდნენ ჯოუნსის ძველ სამფლობელოს) ახლადგამომცხვარი მეპატრონეები გაუთავებლად ებრძვიან ერთმანეთს და შიმშილით იხოცებიანო. როდესაც დრომ განვლო და ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ცხოველები ცოცხლები არიან, ფრედერიკი და ფილქინგთონი სხვანაირად ალაპარაკდნენ ამჯერად იმ საზარელ ბოროტრებაზე გაამახვილეს ყურადღება, რომელიც თურმე „ცხოველების ფერმაში“ მძვინვარებდა. ყვებოდნენ,

ცხოველებში გავრცელებულია კანიბალიზმიო, ერთმანეთს გავარვარებული ნალებით აწამებენო, მდედრობითი სქესის ცხოველები საერთო ჰყავთო და სხვ. და სხვ. „აი, რა მოსდევს ბუნების კანონთა წინააღმდეგ ამბოხსო“, დასძენდნენ ხოლმე.

მაგრამ ცხოველები მათ მონაყოლს ბოლომდე არასდროს არ იჯერებდნენ. მით უმეტეს, რომ ირგვლივ ნაირ-ნაირი ბუნდოვანი ხმები ვრცელდებოდა იმ აღქმულ ქვეყანაზე, სადაც ადამიანის ჭაჭანება არ არის და ცხოველები თავიანთი თავის ბატონ-პატრონი არიან. ერთ წელიწადში აჯანყების ტალღა იმ მთელ არე-მარეს მოედო. აქამდე დამყოლი ხარები ერთბაშად გაველურდნენ, ცხვრები მესრებს ანგრევდნენ და ხარბად ანადგურებდნენ სამყურას, ძროხები ტლინკებით ატრიანებდნენ რძით სავსე ჭურჭელს, ცხენები უარს ამბობდნენ წინალობის გადალახვაზე და მოჯირითეებს უნაგირიდან ისროდნენ. „ინგლისის ცხოველების“ ჰანგი და ტექსტი გასაოცარი სისწრაფით გავრცელდა და საყოველთაოდ გახდა ცნობილი. ადამიანები პირიდან ცოფს ჰყრიდნენ მის გაგონებაზე. მაგრამ, ცდილობდნენ ეს არ გაემხილათ და დაცინვით ამბობდნენ, რომ მათთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება ეს უბედურება თუნდაც ცხოველმა იმღეროსო, ხოლო თუ სიმღერის დროს წაასწრებდნენ რომელიმე ცხოველს ადგილზევე მაგრად მიტყეპავდნენ. თუმცა სიმღერის გავრცელების შეჩერება მაინც ვერ მოახერხეს. მას უსტვენდნენ მესერზე შემომსხდარი შაშვები, თელის ტოტებიდან ღუღუნებდნენ მტრედები, მისი მელოდია ერწყმოდა სამქედლოების კაკუნს და ეკლესიის ზარების რეკვას. მის გაგონებაზე ადამიანები შიშით ძრწოდნენ, ვინაიდან გუმანით ხვდებოდნენ, რომ ეს სიმღერა კარგს არაფერს მოასწავებდა მათთვის.

ოქტომბრის დამლევს, როდესაც პური უკვე მომკილი, ძნებად შეკრული და ნაწილი გაღწევილი იყო, ცაში გამოჩნდა ღორების მიერ რევოლუციის საპროპაგანდოთ წარგზავნილი მტრედების გუნდი. მტრედები საშინლად ალეღვებულები, გრიგალისებური სისწრაფით დაეშვნენ ეზოში. მათ მოიტანეს ამბავი, რომ ჯოუნსი თავისი ხალხით და კიდევ ვიღაც-ვიღაცეები ფოქსვუდიდან და ფინჩფილდიდან მთავარ ჭიშკარს გამოცდნენ და სოფლის გზით აქეთკენ მოემართებიანო. ყველა მათგანი ჯოხით მოდის გარდა ჯოუნსისა, რომელიც თოფით ხელში სხვეს მოუძღვისო. აშკარა იყო, რომ ადამიანებს კარ-მიდადმოს დაბრუნება ჰქონდათ განზრახული.

ცხოველები ამას კარგა ხანია ელოდნენ და ყველანაირად მომზადებულნიც იყვნენ. სნოუბოლს ჯოუნსის წიგნი „იულიუს კეისრის ლაშქრობანი“ შეესწავლა და თავდაცვითი ოპერაციების ხელმძღვანელობა ევალებოდა. მან სწრაფად გასცა განკარგულებები და ორ წუთში ყველა ცხოველი თავის ადგილზე იყო. მიუახლოვდა თუ არა ადამიანთა ჯგუფი სახლს, სნოუბოლმა პირველი იერიში განახორციელა. დაახლოებით ოცდათხუტმეტამდე მტრედი ჰაერში აფრინდა. ისინი ზედ ხალხის თავზე მოექცნენ და ჩქარ-ჩქარა დააყავრე სკინტლები. ვიდრე ადამიანები ამ სიბინძურის მოშორებას ცდილობდნენ, წინ მესრებს ამოფარებული იხვეები

გამოვარდნენ და გამწარებული დაუწყეს მათ კორტნა. მაგრამ ეს მსუბუქი მანევრი იყო მტრის ბანაკში დაბნეულობის შესატანად და ადამიანებმა ამჯერად ჯოხებით ადვილად გარეკეს იხვები. სნოუბოლმა ახლა მეორე იერიში წამოიწყო. მურიელი, ბენჯამენი და ცხვრები მისი წინამძღოლობით ჯოუნსსა და მის ამაღას ეკვეთნენ, ყველა მხრიდან ურქენდნენ, ეჯახებოდნენ, ტლინკებს აყრიდნენ. მაგრამ ადამიანები თავიანთი ჯოხებითა და სქელლანჩიანი ფეხსაცმელებითაც ამჯერადაც უფრო ძლიერები აღმოჩნდნენ ცხოველებზე. ერთბაშად სქულიერმა დაიჭყვიტინა, რაც უკან დახვეის ნიშანი იყო და ცხოველთა ლაშქარი ჭიშკრიდან ბაღში გაიჭრა. ამის დანახვაზე ადამიანებმა გამარჯვების ყიჟინა დასცხეს, ეგონათ მტრები დავიფრინეთო და არეულ-დარეულად უკან გამოუდგნენ. სწორედ ამას ელოდა სნოუბოლი, როდესაც ცხოველებმა ჯოუნსი მისი რაზმითურთ საკმაოდ ღრმად შეუტიეს, ბოსლის საფარიდან სამი ძროხა, სამი ცხენი და ღორების დიდი ჯგუფი გამოცვივდა. მოულოდნელათ მათ გზა გადაუჭრეს ადამიანებს. სნოუბოლმა თავდასხმის ნიშანი გასცა და თვითონ პირდაპირ ჯოუნსისაკენ გაექანა. ჯოუნსმა თოფი აღმართა და გასროლა. ტყვიამ ჯერ სნოუბოლი გაკაწრა და შემდეგ იქვე მყოფ ცხვარს მოხვდა, რომელიც უსულოდ დაეცა მიწაზე. სნოუბოლმა ჯოუნსს იმწამსვე ფეხებში ქვები დაუშინა. ჯოუნსი სნოუბოლისაკენ გამოექანა, მაგრამ ნეხვის გროვამი მოსრიალდა და გაიშხლართა, თოფი კი ხელიდან გაუვარდა.

თავზარდამცემი სანახავი მაინც ბოქსერი იყო. ყალყზე შემართული იგი ისეთი გამმაგებით იქნევდა ნალმოჭედილ ჩლიქებს, რომ გეგონებოდათ ახაგაზრდობა დაუბრუნდა და ჯერ კიდევ უღაყიანო. პირველი წიხლი ფუქსვუდედელ მეჯინიბე ბიჭს უთავაზა თავში და იქვე გააგორა. ბიჭი უსიცოცხლოდ გაიშოტა ტალახში. ამ სანახაობით შეძრწუნებულმა რამდენიმე კაცმა კეტები დაყარა და გაქუსლა. ამათ დანარჩენებიც მიყვნენ. თავექუდმოგლეჯილი გარბოდნენ. უკან კი გამმაგებით მისდევდნენ ცხოველები და გააფთრებით ურტყამდნენ ტლინკებს, თელავდნენ, რქენდნენ, კბენდნენ. ყველა, როგორც შეეძლო, ისე იბრძოდა, ისე იძიებდა შურს ადამიანებზე. კატაც კი ჩაერთო ბრძოლაში. იგი ელვისებური სისწრაფით დაახტა სახურავიდან ერთ მწყემსს მხრებზე და ბასრი კლანჭები მთელი ძალით კისერში ჩაარჭო. კაცმა არაადამიანური ხმით შეჰბლავლა. როგორც კი ალყის გარღვევა შეძლეს, ადამიანები მთავარ გზაზე გამავალ ჭიშკარისაკენ გაექანენ, უხაროდან, რომ ცოცხალი გადარჩნენ. მათ ფეხდაფეხ მისდევდნენ და კორტნიდნენ მოსისინე იხვები. ასე და ამგვარად, ადამიანთა ლაშქრობა სამარცხვინოდ ჩაფლავდა. ისინი იმავე გზით განდევნეს, რა გზითაც მოვიდნენ.

ყველამ თავს უშველა ერთი კაცის გარდა. ეზოს ბოლოში ბოქსერი ცდილობდა ფეხით გადმოეტრიალებინა ტალახში პირქვედამხობილი მეჯინიბე. ჭაბუკი არ იძროდა.

„მგონი მოკვდა, - თქვა შეშფოთებულმა ბოქსერმა, - სულ არ ვაპირებდი ამას. უბრალოდ გადამავიწყდა, რომ ფეხზე ნალები მაქვს დაკრული. ვინ დაიჯერებს, რომ განზრახ არ ვქენი?“

„მოდი თავი დაანებეთ ამ სენტიმენტებს! - შეჰყვირა სნოუბოლმა, რომელსაც ჭრილობიდან ჯერ კიდევ სდიოდა სისხლი. - ომი ომია. მე თუ მკითხავ, ერთადერთი წესიერი ადამიანი მკვდარი ადამიანია“.

„მოლი სად არი?“ - იკითხა ვილაცამ.

მოლი არსად ჩანდა. ერთი წამით ყველა აფორიაქდა: შეშინდნენ, ხომ არ დაიჭრა ან ადამიანებმა ხომ არ გაიტაცესო. მაგრამ მალევე იპოვეს საჯინბოში, სადაც პირველივე გასროლის შემდეგ დამალულიყო. მთელი ბრძოლის განმავლობაში იქ მდგარ თივაში თავჩარგული.

მოლისგან რომ დაბრუნდნენ, აღმოაჩინეს, რომ მეჯინბე ყმაწვილი, რომელიც მხოლოდ დარეტიანებული ყოფილა, გონს მოსულიყო და გაქცეულიყო.

ყველამ ერთად მოიყარა თავი. საოცრად აღელვებული ჩანდნენ. ყაყანით ყვებოდნენ თავიანთი გმირობის ამბავს. სახელდახელოდ აღნიშნეს ბრწყინვალე გაარჯვება - აღმართეს დროშა და რამდენჯერმე ზედიზედ იმღერეს ჰიმნი „ინგლისის ცხოველები“. შემდეგ დალუპული ამხანაგი საზეიმო ვითარებაში მიაბარეს მიწას და საფლავზე კუნელის ბუჩქი დარგეს. სასაფლაოზე სნოუბოლმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიც საგანგებოდ აღნიშნა „ცხოველების ფერმისათვის“ თავდადების აუცილებლობა.

ცხოველებმა ერთხმად გადაწყვიტეს „ცხოველთა გმირის პირველი ხარისხის“ სამხედრო ჯილდოს დაწესება, რომელიც დროდადრო ენიჭებოდა ხან სნოუბოლს, ხან ნაპოლეონს. ეს იყო თითბერისაგან ჩამოსხმული მედალი, რომელიც საწყობში იპოვნეს. იგი დღესასწაულებზე უნდა ეტარებინათ დაჯილდოებულებს. დაარსეს აგრეთვე „ცხოველთა გმირის მეორე ხარისხის“ წოდება, რომელიც დალუპულ ცხვარს მიენიჭა სიკვდილის შემდეგ. ბევრი იკამათეს იმის თაობაზე თუ რა ეწოდებინათ გადახდილი ბრძოლისათვის. ბოლოს გააწყვიტეს „ბოსლის ბრძოლა“ დაერქმიათ, ვინაიდან ბოსლიდან განხორციელდა მთავარი იერიში. ტალახში ბ-ნი ჯოუნსის თოფი აღმოაჩინეს და, რაკი იცოდნენ, რომ საწყობში ვაზნების დიდი მარაგი იყო, გადაწყვიტეს იგი როგორც საარტილერიო იარაღი ფლაგმტოკის ძირში მოეთავსებინათ. თოფი ორჯერ უნდა გაესროლათ - ერთხელ ოქტომბრის თორმეტში, „ბოსლის ბრძოლის“ სადღესასწაულოდ დაერთხელაც შუა ზაფხულის დღეს, რევოლუციის წლისთავის აღსანიშნავად.

ზამთარში მოლის ერთგვარი მოუსვენრობა დაეტყო. უკლებლივ ყოველ დილას სამუშაოზე აგვიანდებოდა, ძილში დრო გამომეპარაო, ამბობდა. ამასთან ერთად რაღაც აუხსნელ ტკივილებს უჩიოდა, თუმცა მადა მშვენიერი ჰქონდა. მიეცემოდა თუ არა შესაძლებლობა მაშინვე წყვეტდა მუშაობას და მახლობელ გუბურისკენ გარბოდა. ყვეყჩვიტ საათობით საკუთარ ანარეკლს დასჩერებოდა. რაღაც სხვა, უფრო სერიოზული ხმებიც გავრცელდა. ერთხელ, როდესაც მოლი არხეინად, კუდის ქნევით და თივის ღეჭვით, ეზოში შევიდა, ქლოუერმა გვერდზე გაიხმო.

„მოლი, - უთხრა მან, - ძალიან სერიოზული სალაპარაკო მაქვს შენთან. ამ დილით დაგინახე იმ მესერთან, „ცხოველების ფერმას“ და „ფოქსვუდს“ რომ ჰყოფს. მესერს იქით ბ-ნი ფილქინგტონის მსახური იდგა. მე საკმაოდ მოშორებით ვიყავი, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ არ მომჩვენებია და ნამდვილად დავინახე, როგორ აფერებინებდი თავს და როგორ გელაპარაკებოდა იგი. რას ნიშნავს ყოველივე ეს, მოლი?“

„ტყუილია, მე არსად არ ვყოფილვარ! ეს არ არის მართალი!“ - აყვირდა მოლი, თან ნერვიულობისგან აწრიალდა და მიწაზე ფეხების ბაკუნს მოჰყვა.

„მოლი! თვალეში შემომხედე. შეგიძლია დაფიცო, რომ ის კაცი არ მოგფერებია ცხვირზე?“

„ტყუილია, ტყუილია! - იმეორებდა მოლი, მაგრამ ვერა და ვერ უსწორებდა ქლოუერს თვალეებს. შემდეგ ერთბაშად მოსწყდა ადგილს და მინდვრისაკენ მოკურცხლა.

ქლოუერი ექვმა შეიპყრო. სიტყვა არავისთან დაცდენია ისე შევიდა მოლის საჯინბოში და ჩლიქით თავი გადაატრიალ-გადმოატრიალა. თივის ქვეშ, სიღრმეში, შაქრის ნატეხი და ფერად-ფერადი ბაფთების შეკვრა იყო დამალული.

ამ ამბიდან სამი დღის შემდეგ მოლი გაქრა. რამდენიმე კვირის განმავლობაში მისი ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო. შემდეგ მტრედებმა ამბაი მოიტაეს უილგდონის მეორე მხარეს ვნახეთო. იგი ფრიად მოდურ, წითლად და შავად შერებილ ეტლში ყოფილიყო შებმული. ეტლი ლუდხანის წინ იდგა და ბრიჯებში გამოწყობილიყო, ჩასუქებული ლოყებდაჟღაჟა კაცი (ემჩნევა ლუდხანის მეპატრონე იყო) თავზე ხელს უსვამდა და შაქარს აჭმევდაო. მოლის ახლადგაკრეჭილი ფაფარი ალისფერი ბაფთებით ჰქონდა დამშვენებული და, საერთოდ, უნდა ითქვას, ფრიად კმაყოფილი ცანდაო. ასე თქვეს მტრედებმა. ამ ამბის შემდეგ მოლის სახელი „ცხოველების ფერმაში“ აღარავის უხსენებია.

იანვარში ძალიან აცივდა. მიწა მოიყინა და მინდვრებში მუშაობა შეუძლებელი გახდა. დიდბედელში სხდომა სხდომაზე ტარდებოდა. ღორები მოახლოებული საგაზაფხულო სამუშაოების დაგეგმვით იყვნენ დაკავებული. „ცხოველების

ფერმის“ პოლიტიკის წარმართვა ერთობლივი გადაწყვეტილებით სწორედ ღორებმა ითავეს, რადგან მათი გონებრივი უპირატესობა ამ დროისათვის სავსებით ცხადი შეიქმნა, თუმცა ყველა საკითხის რატიფიკაცია ხმათა უმრავლესობით უნდა მომხდარიყო. ეს გადაწყვეტილება არც თუ ისე უშედეგო იქნებოდა, რომ არა სნოუბოლისა და ნაპოლეონის გაუთავებელი კინკლაობა. ნებისმიერი საკითხი, რომელიც ოდნავ წაკამათების საშუალებას იძლეოდა, მათი დავის საგანი ხდებოდა. თუ ერთი წამოაყენებდა იდეას, რომ უფრო დიდ ფართობზე ქერი დავთესოთო, მეორე უეჭველი მოითხოვდა, რომ იქ შვრია დათესილიყო; ხოლო თუ რომელიმე იტყვოდა ესა და ეს სავარგული კომბოსტოსათვის გამოდგება, მეორე თავგამოდებით ამტკიცებდა, ეგ მინდორი სტაფილოსა და ჭარხლისთვისაა ზედგამოჭრილიო. თითოეულ მათგანს თავისი მომხრეები ჰყავდა და რამდენჯერ მხარეებს შორის ძლიერი შეჯახებაც მოხდა. სნოუბოლი, როგორც წესი, თავის მჭერმეტყველებით უმრავლესობას ყრილობაზე იმხრობდა, ნაპოლეონი კი უფრო დიდ წარმატებას ყრილობებს შორის შუალედებში იძენდა მომხრეებს. განსაკუთრებით იოლად თავის მხარზე გადმოჰყავდა ცხვრები, რომლებიც ბოლო დროს, საჭირო იყო თუ არა, გაუთავებლად ბლაოდნენ - „ოთხი ფეხი კარგია, ორი - ცუდი“, რითაც წამდაუწუმ აფერხებდნენ სხდომის მსვლელობას. ყველა ამჩნევდა, რომ ცხვრები განსაკუთრებული მონდმებით მაშინ იწყებდნენ ბლავილს, როდესაც სნოუბოლის სიტყვა უმაღლეს წერტილს აღწევდა. სნოუბოლმა ზედმიწევნით შეისწავლა ჟურნალ „მესაქონლეობის“ რამდენიმე დამატება, რომლებიც ჯოუნსის ბინაში იპოვნა, და ახლა სავსე იყო ახალი იდეებით შრომის შემსუბუქებისა და ცხოვრების გაუმჯობესების ტაობაზე. იგი საქმის ცოდნით ლაპარაკობდა მინდვრების დაშორებაზე, დასილოსებაზე, შკალებზე. დაამუშავა მთელი სისტემა, რომლის მიხედვითაც ცხოველებს ყოველდღე უშუალოდ მინდვრებში უნდა მოეფუნათ დანიშნულ ადგილებზე. ამით დაიზოგებოდა დრო და შრომა, რომელიც იხარჯებოდა ხოლმე ფუნის მოგროვებასა და გადაზიდვაზე. ნაპოლეონი არანაირ გეგმებს არ სახავდა, სნოუბოლი კი მშვიდად ამბობდა, არაფერი გამოუვაო და, ჩაფიქრებული, ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა. მაგრამ ყველაზე ცხარე მოლაპარაკება სნოუბოლსა და ნაპოლეონს შორის წისქვილის გამო მოხდა.

ფერმიდან არც თუ ისე მოშორებით იყო ერთი პატარა ბორცვი, რომელიც იმარემარეში ყველაზე მაღალ წერტილს წარმოადგენდა. ნიადაგის შესწავლის შემდეგ სნოუბოლმა გამოაცხადა, რომ სწორედ ამ ბორცვზე უნდა აღმართულიყო ქარის წისქვილი. იგი აამოძრავებდა დინამოს და ცხოველთა სადგომებს ელექტროობით უზრუნველყოფდა - გაანათებდა და ზამთარში გაათბობდა კიდეც იქაურობას; ელექტრონზე იმუშავებდა ხერხი, ჩალის საჭრელი, ძირხვნიულთა საკვეთელი და რძის საწველელი. ცხოველებს არაფერი ამდაგვარი არ სმენოდათ (ჯოუნსს მხოლოდ ძველი პრიმიტიული იარაღები მოეპოვებოდა ფერმაში) და პირდაღებულნი უსმენდნენ სნოუბოლს - მათ წარმოადგინეს ფანტასტიკური მანქანები, რომლებიც იმათ მაგიერ იმუშავებდნენ, ამუშავების შემდეგ იმდენი შომა დაიზოგება, რომ

ცხოველები მხოლოდ კვირაში სამ დღეს იმუშავენ. თავის მხვრივ, ნაპოლეონი ამტკიცებდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ამჟამად კვების მრეწველობის გაზრდაა და თუ ცხოველები დროს წისქვილის მშენებლობაზე დახარჯავენ, შიმშილით დაიხოცებიანო. ცხოველები ორ ფრაქციად გაიყვნენ. ერთის დევიზი იყო - „ხმა მივცეთ სნოუბოლსა და სამდლიან სამუშაო კვირას“, მეორესი კი - „ხმა მივცეთ ნაპოლეონსა და სავსე გობს“. ბენჯამენი ერთადერთი ცხოველი იყო, რომელიც არცერთ მხარეს არ მიმხრობია. მას არც იმის სჯეროდა, რომ საკვების ნორმა გაიზრდებოდა და არც იმისა, რომ წისქვილი შრომას დაზოგავდა. წისქვილით თუ უწისქვილოდ, ამბობდა იგი, ცხოვრება მაინც დუხჭირი იქნება, ანუ ისეთივე როგორც იყო. წისქვილის გარდა დღის წესრიგში „ცხოველების ფერმის“ დაცვის საკითხიც იდგა. ყველას კარგად ესმოდა, რომ „ბოსლის ბრძოლაში“ დამარცხება არ ნიშნავდა იმას, რომ ადამიანები ხელმეორე და უფრო მტკიცე შეტევას არ განახორციელებდნენ „ცხოველების ფერმაზე“, მისი დაბრუნებისა დაბ-ნ ჯოუნსის უფლებების აღდგენის მიზნით. ამისთვის სამაოდ სერიოზული მიზეზი ჰქონდათ, ვინადან პირველ ბრძოლაში მათი დამარცხების ამბის გაგებამ, მეზობელ ფერმებში ცხოველებში მღელვარების ახალი ტალღა გამოიწვია. როგორც წესი, სნოუბოლი და ნაპოლეონი ამ საკითხზეც ვერ თანხმდებოდნენ. ნაპოლეონს თუ დაუჯერებდით, მთავარი იყო ცხოველებს იარაღი ემოვნათ და სროლაში ევარჯიშნათ. სნოუბოლის თანახმად კი, მეზობელ მამულებში უნდა გაგზავნილიყო რაც შეიძლება მეტი მტრედი, რომლებიც იქ უხელმძღვანელებდნენ რევოლუციას. პირველი ამბობდა, თუ თავდაცვას ვერ შევძლებთ, დაპყრობაარ აგვცდებო, მეორე ამტკიცებდა - დაპყრობის საშიშროება მოისპობა, თუკი ყველგან რევოლუცია მოხდებო. ცხოველები ხან ერთს უსმენდნენ ხან მეორეს და ვერაფრით ვერ გადაეწყვიტათ, რომელი იყო სწორი; ყოველთვის ის ეგონათ მართალი, ვინც იმ წუთას ლაპარაკობდა.

ბოლოს და ბოლოს იმ დღემაც მოაწია, როდესაც სნოუბოლის გეგმა მზად იყო. მომავალ კვირას ყრილობაზე კენჭი უნდაეყარათ, დაწყებულიყო თუ არა წისქვილის მშენებლობა. ყრილობა დიდ ბელელში ტარდებოდა. როდესაც ცხოველებმა თავი მოიყარეს, სნოუბოლი წამოდგა და, მართალია, ცხვრებმა მოინდომეს, ბლავილით ხელი შეეშალათ მისთვის, მან მაინც ჩამოაყალიბა თავისი არგუმენტები წისქვილის მშენებლობის სასარგებლოდ. შემდეგ ნაპოლეონი ადგა საპასუხოდ. მან მშვიდად განაცხადა, რომ წისქვილი უაზრობაა და ყველას მოუწოდა, არ დაეჭირათ მხარიმისი მშენებლობისათვის. თქვა და დაჯდა. დაახლოებით 30 წამი ილაპარაკა და ემჩნეოდა, სრულიად არ ააღვლებდა, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა გამოსვლამ. ამაზე სნოუბოლი წამოიჭრა, ყვირილით ჩააწყვეტინა ხმა ცხვრებს, რომლებმაც კვლავ წამოიწყეს ბლავილი და მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა წისქვილის იდეის დასაცავად. აქამდე ცხოველები ზუსტად ორ ნაწილად იყვნენ გაყოფილნი, მაგრამ სნოუბოლმა თავისი მჭერმეტყველებით უკლებლივ ყველა მოიმხრო. იგი აღტაცებული აღწერდა „ცხოველების ფერმის“ მომავალს, როდესაც ისინი დუხჭირ ცხოვრებას თავსდააღწევდნენ. მისი წარმოსახვა გასცდა ჩალისა და ჭარხლის საჭრელ მანქანებს.

ელექტრონი, - ამბობდა იგი, - აამოძრავებს სალექ მანქანებს, გუთანს, ფაცხას, გაზონსაკრეჭს და სამკელ მანქანებს, გარდა ამისა ელექტრონს გამოვიყენებთ განათებისთვის, გვექნება ცხელი და ცივი წყალი, გათბობით ვვუზრუნველყოფთ ყველა თავლასა და საჯინბოს. როდესაც სნოუბოლმა სიტყვა დაამთავრა ყველასათვის ნათელი გახდა, ვისთვის უნდა მიეცათ ხმა. ზუსტად ამ დროს ნაპოლეონი წამოდგა, რაღაც უცნაური მზერა სტყორცნა გვერდულად სნოუბოლს და უცებ ხმამარლა შეჰსწყვილა. ასეთი ბგერები ცხოველებმა პირველად გაიგონეს.

ამას მოჰყვა საშინელი ყეფა და ბეღელში სპილენძის სამკერდულებიანი ცხრა ვეებერთელა ძაღლი შემოცვივდა. ძაღლები პირდაპირ სნოუბოლისაკენ გაქანდნენ, მან დროზე მოასწრო წამოხტომა და ეზოში გავარდა. ძაღლები გაეკიდნენ. თავზარდაცემული ცხოველები შიშით ხმას ვერ იღებდნენ. ყველა კართან შეჯგუფდა და იქედან უყურებდა საზარელ სანახაობას. სნოუბოლი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა გზისკენ, მაგრამ სისწრაფით ბევრად ჩამოუვარდებოდა ძაღლებს, რომლებიც ფეხდაფერ მისდევდნენ. უცებ სნოუბოლი დასრიალდა და ის-ის იყო ძაღლებს უნდა დაეთრიათ, რომ წამოხტა და უფრო დიდი სისწრაფით მოჰკურცხლა. ძაღლები ისევ გაეკიდნენ. ერთი მათგანი იმდენად მიუახლოვდა, რომ ლამის მისი კუდი მოიგდო პირში, მაგრამ სნოუბოლმა დროზე მოასწრო კუდი მოქნევა. შემდეგ მთელი ძალა მოიკრიფა და ერთი ნახტომით მესერთან აღმოჩნდა, გაძვრა მესერში და თვალს მიეფარა.

შემრწუნებული ცხოველები კვლავ ბეღელში შელასლასდნენ უხმოდ. ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ ძაღლებიც მოცვივდნენ. თავიდან ვერავის გაეგო, თუ საიდან გაჩნდნენ ისინი, მაგრამ მალე ყველაფერი გაირკვა: ის ლეკვები იყვნენ, ნაპოლეონმა რომ ჩამოართვა დედებს და ცალკე გამოზარდა. ჯერ კიდევ ზრდადაუსრულებლნი, უზარმაზარი აღნაგობითა და მგლებივით მრისხანე თვალებით გამოირჩეოდნენ. ცდილობდნენ ნაპოლეონს არ მოსცილებოდნენ და, ყველას თვაში ეცა, რომ ზუსტად ისე უქიცივნებდნენ კუდს, როგორც ადრე სხვა ძაღლები ბ-ნ ჯოუნსს.

ნაპოლეონი ძაღლებთან ერთად ამაღლებულ ადგილზე მოთავსდა (იქ საიდანაც ერთხელ მეიჯერსმა თავისი სიზმარი ამცნო საზოგადოებას) და გამოაცხადა, ამიერიდან სავირაო სხდომები გაუქმებულიაო. მისი თქმით, ამის საჭიროება აღარ არსებობდა, ვინაიდან ეს დროის ფუჭი ფლანგვა იყო. მომავალ მუშაობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს გადაწყვეტდა ღორების კომიტეტი, მისივე ხელმძღვანელობით. „ჩვენ ცალკე მოვითათბირებთ და შემდეგ გადაწყვეტილებას გაგაცნობთ... შეიკრიბებით მხოლოდ კვირაობით, პატის მიაგებთ დრომას, იმღერებთ ჰიმნს და მიიღებთ განკარგულებებს მთელი კვირისათვის. ყოველგვარი დებატები შეწყვეტილია“. - დასძინა მან.

მართალია ცხოველები ჯერ კიდევ რეტდასხმულებივით იყვნენ სნოუბოლის გაძევების გამო, მაგრამ ამ ცვლილებებმა მაინც ააფორიაქეს ისინი და ზუსტი არგუმენტების მონახვა რომ შეძლებოდათ ვიღაც-ვიღაცაები შეეკამათებოდნენ კიდევ

ნაპოლეონს. ბოქსერიც კი შეშფოთებული ჩანდა. ყურებდაცქვეტილი დრო და დრო ფაფარს აიქნევდა ხოლმე შუბლიდან და ცდილობდა რამენაირად აზრი შეეკოწიწებინა, მაგრამ ამაოდ - არაფერი გამოსდიოდა. ისევ ღორებში აღმოჩნდა რამდენიმე, რომელთაც უფრო ეხერხებოდათ ლაპარაკი. უკმაყოფილო შემახილებით წინა რიგებიდან ოთხი ბურვაკი წამოხტა. მათ ერთდროულად დაიწყეს ლაპარაკი. მაგრამ უცებ ნაპოლეონის ირგვლივ შემოკრებილმა ძაღლებმა ისეთი შემზარავი ღრენა ატეხეს, რომ ბურვაკებმა ხმა გაკმინდეს და მაშინვე დასხდნენ. ამას მოჰყვა ცხვრების შეხმატკბილებული კიკინი, „ოთხი ფეხი კარგია, ორი - ცუდიო“, რამაც დაახლოებით თხუტმეტ წუთს გასტანა და ყოველგვარ დისკუსიას წერტილი დაუსვა.

ცხოველებისათვის ახალი წესების განმარტება სქუილერს დაევალა.

„ამხანაგებო, - თქვა მან, - დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი ცხოველი ჯეროვნად აფასებს იმ მსხვერპლს, ამხანაგმა ნაპოლეონმა რომ გაიღო, როდესაც ეს ზედმეტი ტვირთი აიღო საკუთარ თავზე. ნუ იფიქრებთ, ამხანაგებო, რომ ლიდერობა სიამოვნებაა! პირიქით, ეს სერიოზული და მძიმე პასუხისმგებლობაა. ვინ იცის ამხანაგ ნაპოლეონზე უკეთესად ის, რომ ყველა ცხოველი თანასწორია. იგი მხოლოდ ბედნიერი იქნებოდა, რომ თქვენზე საქმეების მოგვარება თქვენთვისვე მიენდო. მაგრამ თქვენ ზოგჯერ, შესაძლოა, ვერ მიგელოთ სწორი გადაწყვეტილება და მაშინ? რა გვემველებოდა მაშინ? ვთქვათ და მხედარი დაგეჰირათ სნოუბოლის მიერ ლამაზი ფერებით დახატული წისქვილის იდეისათვის? სნოუბოლი ვინც ბრძანდება, ხომ ყველამ კარგად გაიგეთ. იგი ბოროტმოქმედია და სხვა ააფერი!“

„იგი მამაცურად იბრძოდა „ბოსლის ბრძოლაში“, - წაილულლულა ვიღაცამ.

„სიმამაცე არ კმარა, - სთქვა სქუილერმა, - მთავარია ერთგულება და მორჩილება. ხოლო რაც შეეხება „ბოსლის ბრძოლას“, ღრმად ვარ დარწმუნებული, მოვა დრო და, ამხანაგებო, ჩვენ გავიგებთ, რომ სნოუბოლის წვლილი ამ ბრძოლაში ძალიან გადაჭარბებულად იყო შეფასებული. დისციპლინა, ამხანაგებო, რკინის დისციპლინა! აი, რა უნდა იქცეს დღევანდელი დევიზად. ერთი მცდარი ნაბიჯი და დამარცხებულები ვართ. ბოლოს და ბოლოს, ამხანაგებო, გვინდა ჯოუნსის დაბრუნება?“

ამ არგუმენტის საწინააღმდეგოდ რაიმეს წამოყენება კვლავ შეუძლებელი აღმოჩნდა... ცხადია ცხოველებს არ სურდათ ჯოუნსის დაბრუნება და, თუ ყოველკვირეული დებატები ასეთ საფრთხეს შეიცავდა, მაშინ, რასაკვირველია, მათი გაუქმება აუცილებელი იყო. ბოქსერმა ამასობაში მოასწრო ყველაფრის გააზრება და თავისი სათქმელი ასე ჩამოაყალიბა: „თუ ამხანაგი ნაპოლეონი ამას ამბობს, ეს უთუოდ სწორი უნდა იყოს“ და აქედან მოყოლებული თავის ძველ დევიზს „ვიმუშავებ უფრო მაგრად“ ახალი დაუმატა: „ნაპოლეონი ყოველთვის მართალია“.

გაზაფხულზე თბილი ამინდები დაიჭირა და ხვნისა და თესვის დროც დადგა. ოთახი, სადაც სნოუბოლს წისქვილის გეგმა ჰქონდა დახაზული, ჩაკეტილი იყო და ამბობდნენ, იატაკიდან ნახაზები წაშალესო. კვირაობით ცხოველები დიდ ბელელში იკრიბებოდნენ და მორიგ მითითებებს იღებდნენ. ცოტა ხნით ადრე ღორებმა მიწიდან ამოთხარეს ბებერი მეიჯერის ტავის ქალა და ფლაგმტოკის ძირას კუნძზე თოფის გვერდით მოათავსეს. დროშის აღმართვის შემდეგ ცხოველებს მოწიწებით უნდა ჩაეველოთ თავის ქალისათვის და მხოლოდ მას შემდეგ ჰქონდათ ბელელში შესვლის უფლება. ამჟამად ისინი აღარ ისხდნენ ყველანი ერთად, როგორც წინათ ხდებოდა ხოლმე. ნაპოლეონი სქუილერთან და უბადლო ნიჭით ცნობილ კომპოზიტორთან და პოეტთან ღორ მინიმუსთან ერთად, ამაღლებული ბაქნის წინ იჯდა; მეორე რიგში ნახევარ წრეს ქმნიდნენ ახალგაზრდა ძაღლები, მათ უკან ისხდნენ ღორები, პირდაპირ კი - დანარჩენი ცხოველები. ნაპოლეონი უხეში, სამხედრო სტილით კითხულობდა განკარგულებებს მთელი კვირისათვის, შემდეგ სრულდებოდა ჰიმნი „ინგლისის ცხოველები“ და ამის მერე იშლებოდნენ.

სნოუბოლის გამევეებიდან სამი კვირის თავზე, ცხოველები მეტად გააოცა ნაპოლეონის განცხადებამ, წისქვილი ბოლოს და ბოლოს უნდა აშენდესო. მას არანაირად არ აუხსნია, თუ რის საფუძველზე შეიცვალა შეხედულება. მხოლოდ გააფრთხილა ცხოველები, რომ დამატებითი სამუშაო მძიმე შრომას ნიშნავდა. გარდა ამისა, შეიძლება მათი ულუფის შემცირებაც გამხდარიყო საჭირო. გეგმა დამუშავებული იყო უკანასკნელ დეტალამდე. ღორების სპეციალური კომიტეტი მას სამი კვირის განმავლობაში ამუშაებდა. წისქვილი ორ წელიწადში უნდა აშენებულიყო.

იმ საღამოს სქუილერი ყველა ცხოველს ცალ-ცალკე უხსნიდა, რომ ნაპოლეონი სინამდვილეში არასდროს არ ყოფილა წისქვილის წინააღმდეგი. პირიქით, იგი იყო მისი აგების ინიციატორი, ხოლო ინკუბატორის იატაკზე დახაზული გეგმები სნოუბოლმა ნაპოლეონს მოპარა. „წისქვილი ხომ, სინამდვილეში ნაპოლეონის იდეაა“ - გამოაცხადა მან. „რატომ იბრძოდა მაშინ ასე გამეტებით წისქვილის წინააღმდეგ?“ - იკითხა ვილაცამ. ამაზე სქუილერმა ეშმაკურად გამოიხედა და განმარტა, რომ ეს მხოლოდ ამხანაგ ნაპოლეონის ფანდი იყო. მან თავი მოაჩვენა, რომ წისქვილის წინააღმდეგია. ეს უბრალოდმავერი იყო სნოუბოლის თავიდან მოსაცილებლად, რომლის დარჩენაც ხიფათს უქმნიდა „ცხოველების ფერმას“ და ცუდ გავლენას ახდენდა ზოგიერთებზე. ახლა, როდესაც სნოუბოლი თავიდან მოიცილეს, წისქვილის გეგმა შეიძლება მისი ხელის შეშლის გარეშე განხორციელდეს. „ამას, განმარტავდა სქუილერი, ტაქტიკური სვლა ეწოდება. ტაქტიკური, ამხანაგებო, ტაქტიკური!“ - მხიარული კისკისითა და კუდის ქიცინით სხაპასხუპით იმეორებდა სქუილერი, თან ფეხიდან ფეხზე ხტოდა. ცხოველებმა სქუილერის ნათქვამიდან ბევრი ვერაფერი გაიგეს, მაგრამ იგი ისეთი დამაჯერებლობით ლაპარაკობდა (თანაც ძაღლები, რომლებიც იქვე აღმოჩნდნენ, ისე საშინლად იღრინებოდნენ), რომ ცხოველებმა შეკითხვების მიცემა შეწყვიტეს და ამ ახსნა-განმარტებით დაკმაყოფილდნენ.

მთელი ეს წელი ცხოველებს მონებივით მოუწიათ შრომა, მაგრამ მა-ლონეს არავინ იშურებდა. მათ მშვენივრად ჰქონდათ შეგნებული, რომ ყოველივე რასაც აკეთებდნენ, მათი და მომავალი თაობის კეთილდღეობისათვის კეთდებოდა და არა ერთი მუჭა უსაქმური მყვლეფავებისთვის, როგორც ადამიანები არიან.

გაზაფხულზე და ზაფხულშიც დღეში ათ-ათ საათს მუშაობდნენ, ხოლო აგვისტოში ნაპოლეონმა კვირა დღეც სამუშაოდ გამოაცხადა. მართალია ეს სრულიად ნებაყოფილობითი ღონისძიება იყო, მაგრამ ვინც სამუშაოდ არ გამოვიდოდა, დღიური ულუფა უნახევრდებოდა. მოსავალი წინა წელთან შედარებით საგრძნობლადმცირე იყო. იმის გამო, რომ დროზე ვერ მოხნეს, ორი მინდორი დაუთესავი დარჩათ. აქ საადრეო ჭარხალი უნდა დათესილიყო. ცხადი შეიქმნა, რომ მძიმე ზამთარი ელოდათ.

წისქვილის მშენებლობასაც ბევრი გათვალისწინებული სირთულე მოჰყვა. სამშენებლო მასალასაკმარისად ჰქონდათ, ვინაღან ცხოველებმა სახლის უკანა ფლიგელში უამრავი ქვიშა და ცემენტი აღმოაჩინეს. იქვე ახლოს ჩინებული კირქვის კარიერსაც მიაგნეს, მაგრამ მაინც შავ დღეში იყვნენ. თავდაპირველად ვერაფრით ვერ მოიფიქრეს, როგორ დაეტეხათ უზარმაზარი ლოდები შესაფერის ზომებად, რადგან ვერც ერთი მათგანი ვერ ხმარობდა წერაქვსა და ძალაყინს (ამისათვის ორ ფეხზე დგომა იყო საჭირო). არადა სხვა საშუალებაც არ ჩანდა. რამდენიმე კვირა ამაოდ იწვალეს და მხოლოდ მერე მოუვიდა ვიღაცას ბედნიერი აზრი, კერძოდ - სიმძიმის ძალა გამოეყენებინათ. მთელი კარიერის გასწვრივ უზარმაზარი ლოდები ეყარა, ბევრად უფრო დიდი ვიდრე სჭირდებოდათ. ცხოველები ლოდის ირგვლივ თოკს ამაგრებდნენ და შემდეგ ყველანი ერთად - ძროხები, ცხენები, ცხვრები, ერთი სიტყვით ყველა, ვისაც გაწევა შეეძლო, (ის კი არა, კრიტიკულ მომენტში ღორებიც უერთდებოდნენ დანარჩენებს) - ნაბიჯ-ნაბიჯ მიაჩოჩებდნენ ლოდებს კარიერის თავზე და იქედან აგორებდნენ. დახეთქებისას ლოდები იმსხვრეოდა პატარ-პატარა ნაწილებად, რომელთა გადაზიდვა უკვე შედარებით ადვილი საქმე იყო. ცხენებს ეს ქვები ურიკით გადაჰქონდათ, ხოლო ცხვრები თითო-თითო ნატებს ეზიდებოდნენ, მურიელი და ბენჯამენიც კი შეებნენ ძველ ორთვალაში და საერთო საქმეში მათი წილიც შეჰქონდათ. ზაფხულის მიწურულს ბორცვზე საკმარისი რაოდენობის ქვები მოგროვდა და ცხოველები ღორების ხელმძღვანელობით მშენებლობას შეუდგნენ.

ლოდების დატეხვა მძიმე და დამღლევი პროცესი აღმოჩნდა. ხშირად მთელი დღე ერთ ლოდს ექაჩებოდნენ და ბოლოს, როდესაც რის ვაივაგლახით ქანცგაწყვეტილები ბორცვზე აიტანდნენ და გადმოაგორებდნენ, იგი არ ტყდებოდა. ერთი რამ ცხადი იყო, ვერავინ ვერაფერს შეძლებდა, თუ არა ბოქსერი, რომელსაც სხვებზე ათჯერ მეტი ღონე ჰქონდა. ზოგჯერ ლოდი გაუგორდებოდათ, ცხოველები თავს ველარ იმაგრებდნენ და სასოწარკვეთილები ჰკიოდნენ. მაგრამ ღონიერი ბოქსერი შეაჩერებდა ხოლმე ლოდს და განსაცდელისაგან იხსნიდა მათ. შეუძებელი იყო აღფრთოვანება არ გამოეწვია ბოქსერის ცქერას, როდესაც უმძიმეს ლოდს მიათლევდა ბორცვზე - ღონიერი ფერდები

ოფლით შეენამებოდა ხოლმე და ისე მტკიცედ მიაბიჯებდა, გეგონებოდათ, ჩლიქებს კი არა, ბრჭყალებს ასობსო მიწაში. ქლოუერი დროდადრო აფრთხილებდა თავი ზედმეტად არ გადაიტვირთო, მაგრამ შენც არ მომიკვდე! მისი ორი ლოზუნგი „ვიმუშავებ უფრო მაგრად“ და „ნაპოლეონი ყოველთვის მართალია“, საკმარისად მიაჩნდა ნებისმიერი პრობლემის გადასაჭრელად. იგი შეუთანხმდა მამალს, რომ ნახევარი საათის ნაცვლად ორმოცდახუთი წუთით ადრე გაეღვიძებინა დილაობით. ხოლო თავისუფალ დროს, თუმცა ასეთი რამ ბოლო ხანს იშვიათი იყო, მარტო მოდიოდა კარიერზე, აგროვებდა დამტვრეულ ქვებს და მშენებლობის ადგილზე მიჰქონდა.

მძიმე ჯაფის მიუხედავად ცხოველებს არც თუ ისე ცუდი ცხოვრება ჰქონდათ ზაფხულის განმავლობაში. საჭმელი მეტი თუ არა, ყოველ შემთხვევაში არც ნაკლები ჰქონდათ, ვიდრე ჯოუნსის დროს. ერთგვარ შვებას ჰგვირავდა იმის შეგნებაც, რომ მხოლოდ საკუთარი თავი უნდა გამოეკვებათ და აღარ უნდა ერჩინათ ზედმეტად ხუთი მუქთახორა ადამიანი. გარდა ამისა, შრომის მათი მეთოდი ხშირად სჯობნიდა კიდევ ადამიანებისას და გარჯასაც ნაკლებს მოითხოვდა. მაგალითად, მარგვლა ცხოველებმა ისეთ კონდიციამდე მიიყვანეს, რომ ადამიანები ვერც კი ინატრებდნენ. ამასთანავე, ვინადან არცერთი ცხოველი არ ქურდობდა, აღარ იყო საჭირო სახნავებისა და სათესების ღობეებით გამიჯვნა, რამაც ცხოველები მესრებზე და ჭიმკრებზე ზრუნვისაგან გაანთავისუფლა, ეს კი დიდი შეღავათი იყო. მაგრამ მიიწურა თუ არა ზაფხული, უამრავმა გაუთვალისწინებელმა სიძნელემ იჩინა თავი. მოილია ნავთი, აღარ დარჩათ ლურსმნები, თოკები, ძაღლის საჭმელი ბისკვიტი, ნალების დასამზადებელი რკინა - მოკლედ გაქრა ყველაფერი, რასაც ცხოველები თვითონ ვერ აწარმოებდნენ. მალე თესლისა და ხელოვნური სასუქის გაჭირვებაც დაიწყებოდა, რომ არაფერი ვთქვათ შრომის სხვადასხვა იარაღებზე. რაც მთავარია, წისქვილის მოწყობილობაც შესაძენი იყო. სად უნდა ეშოვნათ ყოველივე ეს, არავინ იცოდა.

ერთ კვირა დილას, როდესაც ცხოველები განკარგულების მისაღებად შეიკრიბნენ ბოსელში, ნაპოლეონმა განაცხადა, რომ პოლიტიკის კურსში ცვლილებების შეტანა აქვს გადაწყვეტილი - „ცხოველების ფერმა“ ამიერიდან დაამყარებს სავაჭრო ურთიერთობებს მეზობელ მამულებთან, მაგრამ რათქმაუნდა არა რაიმე კომერციული მიზნებით, არამედ უბრალოდ, იმ პროდუქტების მოსაპოვებლად, რომელიც გადაუდებლად ესაჭიროებოდათ. „წისქვილის ინტერესები ყველაზე მაღლა უნდა დავაყენოთ“, - თქვა ნაპოლეონმა. აქედან გამომდინარე იგი ამჟამად აგვარებდა საქმეს, რათა გაეყიდა თავისი ერთი ზვინი და წლევიანდელი ხორბლის ნაწილი, ხოლო მოგვიანებით თუ კიდევ საჭირო იქნებოდა ფული, კვერცხებიც უნდა გაეტანათ უილინგდონის ბაზარზე, სადაც მათზე მუდმივი მოთხოვნილება იყო. „ქათმები, - თქვა მან, - სიხარულით უნდა შეხვდნენ ამ მსხვერპლს, რაც ნიშნას მათ პირად განსაკუთრებულ წვლილს წისქვილის მშენებლობაში“.

ცხოველები ერთხელ კიდევ შეიპყრო რაღაც გაუგებარმა შიშმა. არ ჰქონდათ არანაირი საქმე ადამიანებთან, არასოდეს ჩაბმულიყვენენ ვაჭრობაში, არასოდეს ესარგებლად ფულით - განა პირველ რიგში ეს რეზოლუციები არ მიიღეს იმ საზეიმო სხდომაზე, რომელიც ჯოუნსის გამეგებისთანავე ჩატარდა? ყველა ცხოველს ახსოვდა ეს რეზოლუციები, ყოველ შემთხვევაში ასე მიაჩნდათ, რომ ახსოვდათ. ოთხმა ღორმა, რომლებმაც თავის დროზე საკვირაო სკოლის თავყრილობის გაუქმების გამო პროტესტი განაცხადეს, ახლაც აიმაღლეს ხმა, თუმცა გაუბედავად. მაგრამ, როგორც კი ძაღლებმა ბოხი ხმით დაიღრინეს, იმწამსვე ჩაჩუმდნენ. ეს ამბავი ჩვეულებისამებრ დამთავრდა ცხვრების ბლავილით, „ოთხი ფეხი კარგია, ორი - ცუდი“! და წამიერმა დამაბულობამაც გადაიარა. დასასრულს ნაპოლეონმა სიჩუმის დასამყარებლად ფლოქვი ასწია და გამოაცხადა, უკვე ყველაფერი მოგვარებული მაქვსო, არც ერთ ცხოველს არ დასჭირდება ადამიანებთან ურთიერთობის დამყარება, რაც ბუნებრივია უაღრესად არასასიამოვნო იქნებოდაო. როგორც გაირკვა, მას განზრახული ჰქონდა საქმის მთელი სიმძიმე თვითონ ეტვირთა. „არის ასეთი ბ-ნი უიმფერი, უილინგდონიდან, რომელმაც ითავა შუამავლობა „ცხოველების ფერმასა“ და დანარჩენ ქვეყანას შორის. იგი ყოველ ორშაბათს გამოცხადდება „ცხოველების ფერმაში“ განკარგულების მისაღებადო“, - დასძინა ნაპოლეონმა და ჩვეულებისამებრ, თავისი სიტყვა დაამთავრა შეძახილით „გაუმარჯოს „ცხოველების ფერმას“! შეკრებილებმა „ინგლისის ცხოველები“ იმღერეს და დაიშალნენ.

საღამოთი ისინი სქუილერმა ახსნა-განმარტებების მისაცემად მოინახულა, რათა ყოველგვარი ეჭვი გაეფანტა. ყველას არწმუნებდა, რომ ვაჭრობისა და ფულის საწინააღმდეგო რეზოლუცია არასდროს არავის მიუღია, ის კი არა არც კი შემოუთავაზებიაო. ეს რაღაც გამოგონილი ამბავია, რომელიც უფრო სნოუბოლის მიერ გავრცელებულ ჭორს ჰგავსო. რამდენიმე ცხოველმა მაინც გაბედა ეჭვის გამოთქმა, მაგრამ სქუილერმა მათ განმგმირავი მზერა სტყორცნა და ჰკითხა: „დარწმუნებული ხართ, ამხანაგებო, რომ ეს თქვენ არ დაგსიზმრებიათ? არსებობს ამ რეზოლუციის ამსახველი რაიმე დოკუმენტი? გინახავთ იგი დაწერილი?“ და ვინაიდან ამდაგვარი დოკუმენტი მართლაც არ არსებობდა, ცხოველებმა დაიჯერეს, რომ რაღაც ეშლებოდათ.

ბ-ნი უიმფერი, შეთანხმებისამებრ, ყოველ ოღშაბათს მოდიოდა „ცხოველების ფერმაში“. ეს იყო, ბაკენბარდებიანი, ცბიერთვალებიანი, ტანმორჩილი კაცი. დიდი გაიძვერა გახლდათ და სხვაზე ადრე მოისაზრა ცხოველებს გარე სამყაროსთან შუამავალი დასჭირდებოდათ და რომ ამ საქმეში მონაწილეობა მომგებიანი იქნებოდა. ცხოველებს ყოველი მისი მოსვლა შიშს გვირდა და, რამდენადაც შეეძლოთ, თავს არიდებდნენ. მაგრამ ერთი კია, რომ მათ სიამაყის გრძნობით აღავსებდა იმის ყურება, თუ როგორ აძლევდა ოთხფეხა ნაპოლეონი ორფეხა ადამიანს. ეს გარემოება რამდენადმე ეხმარებოდა კიდევ მათ, შეჰგუებოდნენ ახალ ვითარებას. უნდა ითქვას, რომ ცხოველებისა და ადამიანების ურთიერთობა განსხვავდებოდა ადრინდელისაგან. ადამიანებს ისინი ძველებურად ეზიზღებოდათ, ის კი არა, ახლა

მეტი სიმულვილითაც იყვნენ შეპყრობილები. სწორედ ახლა, როდესაც ცხოველების საქმეები აღმავლობის გზაზე იყო. ყველა ადამიანს ღირსების საქმედ მიაჩნდა იმის მტკიცება, რომ ადრე თუ გვიან, ცხოველების თვითმმართველობა დამარცხდებოდა და, რაც მთავარია, წისქვილის მშენებლობა ჩაფლავდებოდა. ლუდხანაში შეკრებილი ადამიანები, ლამის დიაგრამების საშუალებით ამტკიცებდნენ, რომ წისქვილი განწირულია დასანგრევად და, კიდევაც რომ არ დაინგრეს, ვერასოდეს ამუშავდება. და მაინც, ის ფაქტი, რომ ცხოველები ასე მარჯვედ უმკლავდებოდნენ თავიანთ საქმეებს სხვების დაუხმარებლად, ძალაუნებურად ადამიანთა პატივისცემას იწვევდა. ამის პირველი ნიშანი ის იყო, რომ მათ თანდათანობით აღიარეს სახელწოდება „ცხოველების ფერმა“ და შეწყვიტეს მისი უწინდელი, ვითომდა ერთადერთი საკადრისი სახელით - „მამულით“ - მოხსენიება. აღარც ბ-ნ ჯოუნსს ექომაგებოდნენ, რომელიც ქვეყნის სხვა კუთხეში გადაიხვეწა. უიმფერის გარდა, ჯერჯერობით სხვა არავითარი კავშირი არ არსებობდა „ცხოველების ფერმასა“ და გარე სამყაროს შორის, მაგრამ ყველა ამბობდა, რომ ნაპოლეონი რაღაც საქმიანი კავშირის დამყარებას აპირებს ან ფუქსვუდე ბ-ნ ფილქინგტონთან, ან ფლინჩფილდელ ბ-ნ ფრედერიკთან. მაგრამ არავითარ შემთხვევაში, ორივესთან ერთდროულად ურთიერთობა არ ექნებაო.

დაახლოებით ამ დროს ღორები ერთბაშად ბ-ნი ჯოუნსის სახლში შესახლდნენ და იქ დაიმკვიდრეს ბინა. ცხოველებს ამჯერადაც მოეჩვენათ, რომ ამის საწინააღმდეგოდ მიღებული რეზოლუცია ახსოვდათ, მაგრამ სქუილერმა ახლაც მოახერხა დაერწმუნებინა ისინი, რომ ამ შემთხვევას არაფერი ჰქონდა საერთო იმ რეზოლუციასთან. აბსოლუტურად აუცილებელია, ამტკიცებდა იგი, რომ ღორებს, ვინაიდან ისინი გონებრივ მუშაობას ეწევიან, სამუშაოდ წყნარი ადგილი ჰქონდეთო. გარდა ამისა, ბელადის ღირსებას (ბოლო დროს იგი ასე იხსენებდა ნაპოლეონს) ბინაში ცხოვრება უფრო შეშვენიის, ვიდრე უბრალო საღორეშიო. სქუილერის ამ ლაპარაკის მიუხედავად, ზოგიერთი ცხოველი მეტად შეაწუხა იმის გაგებამ, რომ ცხოველები სამზარეულოში საუზმობდნენ, მისაღებ ოთახში ისვენებდნენ და (ღმერთო ამას რას მოესწრნენ!) - საწოლზე ეძინათ. ბოქსერი ამ სიახლეს თავისი ცნობილი ლოზუნგით შეხვდა: „ნაპოლეონი ყოველთვის მართალია“, მაგრამ ქლოუერმა, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ახსოვდა სრულიად განსაზღვრული კანონი საწოლში ძილის წინააღმდეგ, ბელელს მიაშურა და იქ შეეცადა ამოეკითხა კედლის ბოლოში დაწერილი შვიდი მცნება. მაგრამ ცალკე ასოების გარდა ვერაფრით შეძლო რამის გარკვევა და მურიელს უხმო. „წამიკითხე ერთი მეოთხე მცნება - სთხოვა მან მურიელს, - განა აქ არ არის ნათქვამი, საწოლში არასდროს არ უნდა დავიძინოთ?“

მურიელმა ძლივს ამოიკითხა: „არც ერთმა ცხოველმა არ უნდა დაიძნოს საწოლში თეთრეულით გაწყობილში“.

უცნაურია, მაგრამ ქლოუერს არ ახსოვდა, რომ მეოთხე მცნებაში თეთრეულზე ყოფილიყო ლაპარაკი, თუმცა, რაღას გააწყობდა, კედელზე ასე ეწერა და ალბათ

თავიდანვეც ასე იყო. სქუილერმა, რომელიც სამი ძაღლის თანმხლებით, რომელიც შემთხვევით იქვე აღმოჩნდა, სულ სხვა კუთხით წამოუჩინა საქმის ვითარება.

„მაშ თქვენ უკვე გაიგეთ, მეგობრებო, რომ ღორებს სახლში გვძინავს საწოლებზე? - ჰკითხა მან - რატომაც არა? თქვენ რა გგონიათ რაიმე კანონი საწოლებს კრძალავს? საწოლი ხომ უბრალოდ დასაძინებელ ადგილს ნიშნავს. თუ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ ჩალის საგებიც ხომ საწოლია?! კანონი საწოლს კი არა თეთრეულს კრძალავს, ვინაიდან თეთრეული ადამიანის მიერ არის შექმნილი. ჩვენ მოვამორეთ იქაურობას თეთრეული და მარტო ლეიბებში და საბნებში გვძინავს. და დიახაც, რომ მშვენივრად მოვეწყეთ ჯოუნსის საწოლებში, მაგრამ დამიჯერეთ, არა იმაზე უკეთ, ვიდრე ამას საჭიროება მოითხოვს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ გონებრივ დამაბვას, რასაც დღევანდელი მოითხოვს ჩვენგან, ღორებისაგან. რაო, დასვენების უფლებასაც გვართმევთ? გინდათ, ამხანაგებო, რომ გადავიღალოთ და ჩვენი მოვალეობა ვერ შევასრულოთ? დარწმუნებული ვარ ჯოუნსის დაბრუნება არავის სურს?“

ცხოველებმა სასწრაფოდ დაამშვიდეს სქუილერი და ამ საკითხზე კრინტი არავის დაუძრავს, ხოლო, როდესაც რამოდენიმე დღის შემდეგ გამოცხადდა, რომ ღორები ამიერიდან ერთი საათით გვიან ადგებიან სხვა ცხოველებთან შედარებითო, საყვედურის მსგავსიც კი არავის დასცდენია.

შემოდგომისთვის ცხოველები გადალლილები, მაგრამ მაინც ბედნიერები იყვნენ. მართალია, მძიმე წელი ჰქონდათ და თივისა და ხორბლის გაყიდვამაც საკმაოდ შეამცირა ზამთრის საკვების მარაგი, მაგრამ წისქვილი ყველაფერს ანაზღაურებდა. მოსავლის აღების შემდეგ კრიალა, მშრალი ამინდები დაიჭირა და ცხოველები უფრო დიდი მონდომებით შეუდგნენ მუშაობას. მზად იყვნენ მთელი დღე ეთრიათ ქვები, ოღონდ კედელს თუნდაც მტკაველი შემატებოდა. ბოქსერი ღამლამობითაც კი გამოდიოდა და ორიოდ საათს მუშაობდა მთვარის შუქზე. თავისუფალ დროს ცხოველები გაუთავებლად გარს უვლიდნენ ნახევრადდამთავრებულ წისქვილს და ალტაცებულები იყვნენ კედლების სიმაღლითა და სისწორით. უკვირდათ, როგორ მოახერხეს ეგზომ შთამბეჭდავი შენობის აგება. მხოლოდ ბენჯამენს არ ეტყობოდა აღფრთოვანება. ჩვეულებისამებრ ორაზროვანი შენიშვნით იფარგლებოდა, ვირები დიდხანს ცოცხლობენო.

დადგა ნოემბერი და თან მოჰყვა სუსხიანი სამხრეთ-დასავლეთის ქარები. ცხოველები იძულებულნი გახდნენ მშენებლობა შეეჩერებინათ, ვინაიდან ნესტის გამო ცემენტის მოზელა ჰქონდა. ერთ ღამეს ისეთი ქარიშხალი მოვიდა, რომ ეზოში შენობები ააზანზარა და ბელის სახურავიდან კრამიტი ჩამოყარა. შეშინებულ ქათმებს კრიახით გამოეღვიძათ, ყველას ერთდროულად დასიზმრებოდათ, რომ სადღაც შორს თოფი გავარდა. დილით სადგომებიდან გამოლასლასებულ ცხოველებს ყველაზე პირველად დაყირავებული ფლაგშტოკი და ამოძირკვული თელა მოხდათ თვალში. უცებ სასოწარკვეთილი ყვირილი აღმოხდათ: წინ საზარელი სანახაობა გადაეშალათ -

წისქვილი ნანგრევებად იყო ქცეული. უკლებლივ ყველა ბორცვისკენ გაიჭრა. ნაპოლეონი, რომელიც სასეირნოდაც კი იშვიათად გამოდიოდა, ყველაზე წინ გარბოდა. დიახ ნამდვილად ასე იყო მათი ნაშრომ-ნაჯაფი მიწასთან იყო გასწორებული. გარშემო მთელი არე-მარე მათ მიერ ტანჯვით და მწვალებით დატეხილი და ამოზიდული ქვებით იყო მოფენილი. მწუხარებით დამუნჯებული მისჩერებოდნენ ნანგრევებს. ნაპოლეონი უხმოდ სცემდა ბოლთას. კუდი ნერვიულად, აქეთ-იქით უქანქარებდა, რაც მის ინტენსიურ გონებრივ დამაბულობაზე მიუთითებდა. ერთბაშად მიწა დაყნოსა. მერე თითქოს რაღაცას მიხვდაო, გაჩერდა და ცხოველებს მიუბრუნდა.

„ამხანაგებო, - დაიწყო მშვიდად, - იცით ვინ აგებს ამისთვის პასუხს? იცით ინ იყო ამაღამ აქ და ვინ დაგვინგრია წისქვილი?“ და უცებ მეხივით დასჭექა „სნოუბოლმა! სნოუბოლმა ჩაიდინა ეს! სამარცხვინოდ გაძევებული და შურისგების გრძნობით გაბოროტებული ეს მოღალატე შემოიპარა აქ სიბნელეში და ჩვენი ერთი წლის ნაშრომი მოსპო, გაანადგურა. ამხანაგებო, ამიერიდან მე სიკვდილის განაჩენი გამომაქვს მისთვის. ნებისმიერ ცხოველს, ვინც ამ სამართალს ადასრულებს, მიენიჭება „ცხოველთა გმირის მეორე ხარისხის“ წოდება და ნახევარი ბუშელი ვაშლი, ხოლო ვინც ცოცხალს მომგვრის, ერთი ბუშელით დაჯილდოვდება!“

ცხოველებს თავზარი დასცა ამ ამბის გაგებამ. გაისმა აღშფოთებული შემახილები. თითოეული ცდილობდა რაიმე გზა გამოეძებნა სნოუბოლის შესაპყრობად, თუ კი იგი ოდესმე კიდევ გაბედავდა „ცხოველების ფერმაში“ შემოპარვას. მალე ღორის ფეხის ნაკვალევიც აღმოაჩინეს ბორცვისაგან არც თუ ისე მოშორებით. ნაფეხურები მესრის ხვრელთან ქრებოდა. ნაპოლეონმა კარგად დაყნოსა მიწა და გამოაცხადა, ნაკვალევი სნოუბოლს ეკუთვნისო. მან ვარაუდი გამოთქვა, შესაძლოა სნოუბოლი „ფოქსვუდის“ მხრიდან შემოვიდაო.

„მეტს ნულარ დავაყოვნებთ, მეგობრებო! - დაჰკვივლა მან, მას შემდეგ რაც ყურადღებით შეისწავლა ნაფეხურები. საქმეა გასაკეთებელი. წისქვილის აღდგენას ამწუთშივე უნდა შევუდგეთ. უნდა ვიმუშავოთ მთელი ზამთარი, სულერთია წვიმა იქნება თუ დარი. ჩვენ დავანახებთ იმ მოღალატეს, იმ არარაობას, რომ იგი ვერ შეძლებს ჩვენი ნაშრომის ასე ადვილად განადგურებას. დავიმახსოვროთ, ამხანაგებო, რომ არაფერმა არ უნდა შეაფერხოს ჩვენი გეგმა. მშენებლობა ზუსტად დათქმულ დროს უნდა დამთავრდეს. წინ, ამხანაგებო! გაუმარჯოს წისქვილს! გაუმარჯოს „ცხოველთა ფერმას!“

ზამთარი მკაცრი გამოდგა, ქარბუქი თოვჭყაპმა შეცვალა. შემდეგ კი თებერვლამდე ყინვები იდგა. ცხოველები შეუპოვრად განაგრძობდნენ მუშაობას წისქვილის აღსადგენად. მათ კარგად ესმოდათ, რომ მთელი ქვეყანა მათ შესცქეროდა და რომ გულღვარძლიანი ადამიანები სიხარულით ცას ეწეოდნენ, თუ წისქვილი დათქმულ ვადაში არ დასრულდებოდა. მით უმეტეს, რომ ისე ეჭირათ თავი, თითქოს არ სჯეროდათ, რომ წისქვილის განადგურებაში სწოებოდა რაიმე წვლილი. ჯიუტად ამტკიცებდნენ, რომ წისქვილი იმიტომ დაინგრა თხელი კედლები ჰქონდაო. ცხოველებმა კი იცოდნენ, რომ კედლები არაფერ შუაში იყო, მაგრამ მაინც გადაწყდა, ამჯერად მათი სისქე სამჯერ გაეზარდათ წინანდეთან შედარებით. ეს კი გაცილებით დიდი რაოდენობით ქვების შეგროვებას მოითხოვდა. სამუშაოს დაწყება კარგა ხანს ვერ ხერხდებოდა, რადგან კარიერი ნამქერით იყო დაფარული. მშრალ, ყინვიან ამინდებში, თუმცა დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც ახერხებდნენ რაღაცას. ადრინდელივით იმედიანად ვეღარ იყვნენ. გამუდმებით მშვირებსა და გათოშილებს უხდებოდათ მუშაობა. მხოლოდ ბოქსერი და ქლოუერი არ დაცემულან სულიერად. სქულიერი შთაგონებულ გამოსვლებს უძღვნიდა ხოლმე შრომის სიხარულისა და ბედნიერების თემას. მაგრამ ცხოველებს ყველაზე მეტად ბოქსერის ცნობილი „ვიმუშავებ უფრო მაგრად“ ამხნევებდა.

იანვარში საკვები შემოაკლდათ. ხორბლის ულუფა მკვეთრად შემცირდა და გამოცხადდა, რომ სანაცვლოდ კარტოფილი გაიცემოდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ კარტოფილის მთელი მარაგი გაყინულიყო, ვინაიდან საკმაოდ თბილად არ შეუნახავთ. მხოლოდ მცირე ნაწილი გადარჩენილიყო, დანარჩენი კი არ იჭმეოდა, ისეთი რბილი და გამწვანებული იყო. ერთხელ, ოთხი დღის განმავლობაში, მხოლოდ ჩენჩოსა და ნამჯის ჭამა მოუხდათ. შიმშილი კარზე იყო მომდგარი.

ამ ამბავს არავითარ შემთხვევაში გარეთ არ უნდა გაეღწია. წისქვილის დანგრევით ისედაც გახარებული ადამიანები სხვადასხვა ჭორს ავრცელებდნენ. მათ კვლავ დაყარეს ხმები

„ცხოველთა ფერმაში“ შიმშილმა და ავადმყოფობამ დაისადგურაო, ცხოველები გამუდმებით ებრძვიან ერთმანეთს და მათ შორის კანიბალიზმი და ჩვილთმკვლელობა მძვინვარებსო. ნაპოლეონს კარგად ესმოდა, თუ რა სავალალო შედეგი მოჰყვებოდა, გარეთ რომ ნამდვილი ამბავი გაეგოთ. ამიტომ გადაწყვიტა ბ-ნი უიმფერის დახმარებით სრულიად საწინააღმდეგო ინფორმაცია გაევრცელებინა. აქამდე ცხოველებს არავითარი, თუნდაც წუთიერი ურთიერთობაც კი არ ჰქონდათ ბ-ნი უიმფერისთან მისი ვიზიტების დროს. ამჯერად კი წინასწარ შერჩეულ რამოდენიმე ცხოველს (უპირატესად ცხვრებს) დაევალიათ, ვითომდა შემთხვევით ჩამოეგდო საუბარი უიმფერის თანდასწრებით იმაზე, თუ როგორ გაიზარდა ცხოველთა ულუფა. გარდა ამისა, ნაპოლეონმა ბრძანება გასცა, ხადოები ბელელში პირამდე გაეცხოთ ქვიშით, ზემოდან კი მარცვლეული დაეყარათ. ყველაფერი რომ გამზადდა უიმფერი

რადაც საბაბით საწყობში შეიყვანეს და საშუალება მისცეს თვალი შეეცლო ხარობისათვის. მოტყუებულმა უიმფერმა მთელ ქვეყანას მოსდო „ცხოველთა ფერმ,აში“ საკვების არანაირი დეფიციტი არ არსებობს.

სინამდვილეში იანვრის ბოლოს ცხადი გახდა, რომ საჭირო იქნებოდა დამატებითი მარცვლეულის შოვნა. ნაპოლეონი იშვიათად ჩნდებოდა საზოგადოებაში. იგი მთელ თავის დროს შენჯობაში ატარებდა, რომლის ყველა შესასვლელსაც ძაღლები დარაჯობდნენ, ხოლო, თუ მაინც მოუხდებოდა გამოსვლა, შემუშავებული წესის თანახმად, ძაღლების ამაღლა მოჰყვებოდა. ისინი მჭიდრო რკალს ქმნიდნენ ნაპოლეონის ირგვლივ და ყველას, ვინც გაბედავდა ნაპოლეონთან მიახლოებას, უღრენდნენ. ნაპოლეონი საკვირაოდ დილის კრებებზეც კი იშვიათად მოდიოდა, განკარგულებებს რომელიმე ღორის, უმეტესად სქუილერის, მეშვეობით აცნობდა ცხოველთა საზოგადოებას. ახლაც ასე მოხდა, კვირა დილით სქუილერმა გამოაცხადა, რომ მოკრუხებულ ქათმებს კვერცხები უნდა ჩაებარებინათ - ნაპოლეონს უიმფერის საშუალებით ხელშეკრულება დაუდეს კვირაში ოთხასი კვერცხის გაყიდვაზე. აღებული თანხით მარცვლეულისა და საკვების შეძენა გადაწყდა, რათა ზაფხულამდე თავი გაეტანათ. ზაფხულში კი შედარებით ადვილი იყო ცხოვრება.

ამის გაგონებაზე ქათმებმა საშინელი კრიახი ატეხეს. ადრე კი იყვნენ გაფრთხილებულები, შესაძლოა, ასეთი მსხვერპლი საჭირო გახდესო, მაგრამ ვერ წარმოედგინათ, თუ ეს ოდესმე მართლა მოხდებოდა, მით უმეტეს რომ წიწილები გაზაფხულზე უნდა გამოჩვეილიყვნენ. ასეთ დროს კვერცხების წართმევა, ყვიროდნენ ქათმები, მკვლელობას უდრისო, და ამიტომაც უარს აცხადებდნენ ამ განკარგულების შესრულებაზე. ჯოუნსის გამეგების შემდეგ ცხოველები პირველად მოიცვა რადაც ამბოხების მსგავსმა გრძნობა. სამი შავი ვარიის მეთაურობით ქათმებმა თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწიეს ნაპოლეონის ბრძანებას - პროტესტის ნიშნად ქანდარაზე დასხდნენ და იქედან დებდნენ კვერცხებს, რომლებიც დაცემისთანავე იმტვრეოდა. ნაპოლეონმა საპასუხოდ სასტიკ ზომებს მიმართა. მან დაუყოვნებლივ გამოიტანა დადგენილება, რომლის მიხედვითაც ქათმებს შეუწყვიტეს კუთვნილი ულუფა და ნებისმიერი ცხოველი, ვინც მათ თუნდაც ერთ მარცვალ ხორბალს მიაწვდიდა, სიკვდილით დაისჯებოდა. ამ განკარგულების შესრულებას თვალყურს ძაღლები ადევნებდნენ. ხუთდღიანი შიმშილის შემდეგ ქათმებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს და თავიანთ ბუდეებს დაუბრუნდნენ. ამასობაში ცხრა ქათამი მომკვდარიყო. ისინი ბაღში დამარხეს და დალუპვის მიზეზად რადაც ინფექცია გამოაცხადეს. უიმფერს ამის შესახებ არაფერი გაუგია. მან შეთანხმების თანახმად დროზე ჩაიბარა კვერცხები და იმ დღიდან, კვირაში ერთხელ, მათ წასაღებად სასურსათო ფურგონით მოდიოდა.

ამ ხნის განმავლობაში სწოებული არავის უნახავს. ამბობენ ან ფოქსვუდში იმალება, ან ფლინჩვილდშიო. ნაპოლეონს ამ დროისათვის ოდნავ გამოუსწორდა ურთიერთობა ამ მამულების მეპატრონეებთან. უიმფერმა სწორედ მაშინ ურჩია ნაპოლეონს, ბ-ნი

ფილქინგტონისათვის ან ბ-ნი ფრედერიკისათვის მიეყიდა ხე-ტყის მასალა, რომელიც ერთი ათი წლის წინ წიფლის ტყის გაჩეხვისას მოეგროვებინა ბ-ნ ჯოუსს. ეზოში ხორა-ხორად დაწყობილი ხის მასალა ამ ხნის განმავლობაში მშვენივრად გამომშვრალიყო და ბ-ნ ფილქინგტონისაც და ბ-ნ ფრედერიკისაც ძალიან სურდათ მისი შექმნა.

ნაპოლეონი ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა რომელზე შეეჩერებინა არჩევანი. ეს კი შემჩნეული იყო, თუ ნაპოლეონი ფრედერიკს ანიჭებდა უპირატესობას, ყოველთვის ცხადდებოდა, სწოუბოლი „ფოქსვუდს“ აფარებს თავს, ხოლო თუ ფილქინგტონისაკენ გადაიხრებოდა, მაშინ ამბობდნენ, სწოუბოლი „ფინჩილდში“ არისო.

უცებ ადრეულ გაზაფხულზე თავზარდამცემი ამბავი შეიტყვეს. თურმე ღამდამობით სწოუბოლი ფერმაში დამკრებოდა! ცხოველები ისე იყვნენ შემფოთებულები, რომ ძილი და მოსვენება დაკარგეს. ამბობდნენ, რომ სწოუბოლი ღამის წყვილიადში იპარებოდა მათ ტერიტორიაზე და წარმოუდგენელ სისამაგლეს სჩადიოდა: იპარავდა მარცვლეულს, აყირავებდა რძით სავსე ვედროებს, ამტვრევდა კვერცხებს, ტკეპნიდა ნათესებს, ღრღნიდა ხეებს. ყველაფერი რაც ფუჭდებოდა, - იქნებოდა ეს ფანჯრის ჩატეხვა, თუ წყალსადინარის ამოხორვა, ჩვეულებრივ სწოუბოლს მიეწერებოდა. ვიღაცამ ყოველთვის უტყუარი წყაროდან იცოდა, რომ ღამით სწოუბოლი იყო შემოპარული, ხოლო როდესაც საწყობის გასაღები დაიკარგებოდა, უკლებლივ ყველამ იცოდა, რომ გასაღები სწოუბოლმა ჩააგდო ჭაში. მხოლოდ ერთი გარემოება იწვევდა გაოცებას: ყოველივე ეს ცხოველებს მაშნაც კი სჯეროდათ, როდესაც დაკარგული გასაღები რომელიმე ტომრის ქვეშ არმოჩნდებოდა. ძროხები ერთხმად ამტკიცებდნენ, სწოუბოლი ღამით მოიპარება ბოსელში და ღამით გვწველისო. ამბობდნენ, ვერთხეხვასაც, რომლებსიგანაც ამ ზამთარს მოსვენება არ იყო, სწოუბოლთან აქვთ კავშირი.

ნაპოლეონმა განკარგულება გამოსცა საფუძვლიანად შეესწავლათ სწოუბოლის საქმიანობა, მან ძაღლების თანხმლებით ზედმიწევნით შექამოწმა ყველა კუთხე-კუნჭული. დანარჩენი ცხოველები კრძალვით მიჰყვებოდნენ მოშორებით. ნაპოლეონი დროდადრო ჩერდებოდა და მიწას ყნოსავდა, რათა სწოუბოლის ნაკვალევისათვის მიეგნო. ყნოსვა-ყნოსვით დადიოდა იგი თავლაში, ბოსელში, ბოსტანში და თითქმის ყველგან პოულობდა სწოუბოლის ნაფეხურებს. დრუნჩით ეხებოდა ნიადაგს, რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქავდა და საშინელი ხმით ღრიალებდა: „ნამყოფია! ნამყოფია! აშკარად მისი სუნია!“ სწოუბოლის გაგონებისას ძაღლები საზარლად იღინებოდნენ და კბილებს აჩენდნენ.

ცხოველებს შიშისგან გული გახეთქვაზე ჰქონდათ. სწოუბოლი მათთვის უხილავ ძალად გადაქცეულიყო, ბოროტებად, რომლითაც გაჟღენთილი იყო ირგვლივ ყველაფერი და რომელიც მათ ბოროტებას უქადდა. ერთ საღამოს სქუილერმა შეკრიბა ისინი და აღელვებული გამომეტყველებით გამოაცხადა, რომ ფრიად სერიოზული რამ ჰქონდა მათთვის სათქმელი.

„ამხანაგებო! - დასჭეჯა მან და ნერვიულად რამდენჯერმე შეხტა, - საშინელი რამ გამოირკვა. სნოუბოლი მიეყიდა ფრედერიკს, რომელიც კვლავ ათასგვარ ხრიკს მიმართავს ჩვენს დასამხობად, ხოლო ყოველივე ამას სნოუბოლი ხელმძღვანელობს. გამრამ ეს კიდეც არაფერი. ადრე გვეგონა, რომ სნოუბოლის გამთიშველი მოქმედების მიზეზი მისი პატივმოყვარეობა იყო. თურმე ვცდებოდით, ამხანაგებო. იცით რა ყოფილა ნამდვილი მიზეზი? თურმე სნოუბოლი თავიდანვე ჯოუნსთან ყოფილა შეკრული! ჯოუნსის შენიღბული აგენტი ყოფილა ამ მთელი ხნის განმავლობაში. ეს ყველაფერი ახლახან აღმოჩენილი დოკუმენტებით დასტურდება. ვგონებ ახლა ბევრი რამ ირკვევა, ამხანაგებო! განა ჩვენი თვალით არ ვნახეთ როგორ ცდილობდა იგი, ჩვენდა იღბლად, წარუმატებლად დავმარცხებულიყავით „ბოსლის ბრძოლაში“?“

ცხოველებს თავზარი დასცა ამ ამბის გაგებაში. ასეთ მზაკვრობასთან წისქვილის დანგრევა მოსატანიც კი არ იყო. მაგრამ გაოგნებამ მხოლოდ რამდენიმე წუთს გასტანა. ყველას გაახსენდა (ყოველ შემთხვევაში მათ ასე ეგონათ, რომ გაახსენდათ), როგორ მიუძღოდა მათ სნოუბოლი „ბოსლის ბრძოლაში“, როგორ ამხნევებდა და აგულიანებდა უკან დახვევისას და როგორ არ შეუწყვეტია არც ერთი წამით ბრძოლა, მაშინაც კი, როცა ჯოუნსის ნასროლი ტყვიით ზურგში დაიჭრა. ყოველივე ეს თითქმის გამორიცხავდა ჯოუნსთან მის საიდუმლო კავშირს. ბოქსერიც კი, რომელიც საერთოდ იშვიათად სვამდა კითხვებს, გაოგნებული იყო. მან წინა ფეხებზე ჩაიჩოქა, თვალები დახუჭა და ცდილობდა აზრი მოეკრიფა.

„მე არ მჯერა ეს, - თქვა მა, - სნოუბოლმა მამაცურად იომა „ბოსლის ბრძოლაში“. მე თვითონ ვიყავი ამის მოწმე, განა ჩვენ თვითონ არ მივანიჭეთ მას ბრძოლის დამთავრებისთანავე „ცხოველთა გმირის პირველი ხარისხის“ წოდება?“

„ეს ჩვენი შეცდომა იყო, ამხანაგებო, - უპასუხა სქუილერმა, - რადგან ახლა უკვე დანამდვილებით ვიცით, რომ სინამდვილეში მას ჩვენი ხიფათში გაბმა ჰქონდა განზრახული. ყოველივე ეს ჩვენ მიერ აღმოჩენილი საიდუმლო დოკუმენტებით დასტურდება.“

„მაგრამ იგი დაიჭრა, - შეეწინააღმდეგა ბოქსერი, - ყველა ვხედვადით, როგორ მირბოდა გასისხლიანებული“.

„ეს ჩაფიქრებული სპექტაკლის ნაწილი იყო, - იყვირა სქუილერმა, - ჯოუნსის ტყვიამ მხოლოდ გაკაწრა იგი. კითხვა რომ შეგეძლოთ, ამის თაობაზე მისივე ჩანაწერებს გიჩვენებდით. გეგმის თანახმად კრიტიკულ მომენტში სნოუბოლს ნიშანი უნდა მიეცა და ყველა გაქცეულიყო. რათა ბრძოლის ველი მტერს დარჩენოდა. და მან ლამის შეძლო კიდეც ეს, ლამის კი არა ნამდვილად შეძლებდა, ჩვენ ბელადს, ამხანაგ ნაპოლეონს, გმირობა რომ არ გამოეჩინა. განა არ გახსოვთ, ზუსტად იმ დროს, როდესაც ჯოუნსი თავისი ჯარით შემოიჭრა, როგორ ერთბაშად გავარდა სნოუბოლი და მას ბევრი სხვაც გაჰყვა? ნუთუ ისიც დაგავიწყდათ, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც ყველა შიშმა და დამაბულობამ მოიცვა, სწორედ ამხანაგი ნაპოლეონი

გადმოხტა წინ ყვირილით „სიკვდილი ადამიანთა მოდგმას!“ და ჯოუნსს ფეხებში კბილები ჩაარჭო? ეს ხომ ყველას მშვენივრად გახსოვთ? - შეჰყვირა სქულიერმა და ფეხიდან ფეხზე გადახტა.

სქულიერმა ისე ცოცხლად აღწერა ეს სურათი, რომ ცხოველებს რაღაც ამგვარი მართლა გაახსენდათ, რომ კრიტიკულ მომენტში სნოუბოლმა მოკურცხლა. მაგრამ ბოქსერი მაინც საგონებელში იყო.

„ მე არ მჯერა, რომ სნოუბოლი თავიდანვე მოღალატე იყო, - დაასკვნა მან. - შემდეგ რა ჩაიდინა ეგ სხვა საკითხია. მაგრამ „ოსლის ბრძოლაში“ რომ ერთგული მეგობარი იყო, ამაში დარწმუნებული ვარ“.

„ჩვენი ბელადი, ამხანაგი ნაპოლეონი, - წარმოსთქვა სქულიერმა დინჯი და მტკიცე ხმით, - კატეგორიულად აცხადებს, კატეგორიულად, ამხანაგო, რომ სნოუბოლი პირველი წუთიდან ჯოუნსის აგენტი იყო - დიახ, ბევრად ადრე, ვიდრე აჯანყების ხსენება იქნებოდა“.

„ოჰ, ეს სულ სხვაა! - სთქვა ბოქსერმა - თუ ამხანაგ ნაპოლეონს ასე მიაჩნია, მაშნ ეს უდავო ჭეშმარიტებაა“.

„აი მესმის, აი ეს არის საკითხისადმი სწორი მიდგომა!“ - მოუწონა სქულიერმა, მაგრამ ვიღაც-ვიღაცებს არ გამოეპარათ, თუ როგორი ცუდი მზერა სტყორცნა მან ბოქსერს თავისი წვრილი ხამხამა თვალებით. სქულიერი წასასვლელად შეტრიალდა, შემდეგ შეყოვნდა და სერიოზული გამომეტყველებით განაცხადა: „ყველას საყურადღებოდ ვამბობ: თვალები ფართოდ გქონდეთ დაჭყეტილი! რადგან გვაქვს საბაზი ვიფიქროთ, რომ სნოუბოლის ზოგიერთი შენიღბული აგენტი ჩენ შორის იმალება!“

ამ ამბიდან ოთხი დღის შემდეგ ნაპოლეონმა უბრძანა ცხოველებს ეზოში შეკრებილიყვნენ. როდესაც ყველამ მოიყარა თავი, იგი მათ გამოეცხადა სამკერდე ნიშნებით დამშვენებული (ცოტა ხნით ადრე მან ორივე წოდებით დაიჯილდოვა თავი: ცხოველთა გმირის როგორც პირველი ასევე მეორე ხარისხის წოდებით). მას კუდის ქიციანით მოჰყვებოდა ჩვეული ამაღლა: ძაღლები, რომელთა ღრენაც ყველას ჟრუანტელს ჰგვრიდა. ცხოველები მოკუნტული ისხდნენ თავ-თავიანთ ადგილებზე. გრძნობდნენ, რომ რაღაც ცუდი ამბავი უნდა მომხვდარიყო.

ნაპოლეონმა მკაცრად შეათვალიერა საზოგადოება და მაგრად დასჭყვილა. ძაღლები იმწამსვე მისცვივდნენ ოთხ ღორს, კბილები ყურებში ჩაავლეს და ნაპოლეონის ფეხებთან მიათრიეს. შეშინებულმა და ტკივილისაგან გამწარებულმა ღორებმა კივილი მორთეს. ყურები ერთთავად სისხლში ჰქონდათ ამოთხვრილი. სისხლის გემომ ძაღლები თითქმის გააცოფა. ყველასდაგასაოცრად ძაღლებმა ახლა ბოქსერისკენ გაექანნენ. ბოქსერმა დროზე მოასწრო მათი დანახვა და თავისი ღონიერი ფეხით ერთ-ერთი ჰაერშივე დაიჭირა და მიწაზევე დაანარცხა. ძაღლმა ყმული ატეხა, შველას ითხოვდა. ორი მისი თანამომძე კუდამომძებული უკან გავარდა. ბოქსერმა,

რომელსაც ფლოქვით ჰქონდა მილურსმული ძაღლი, ნაპოლეონს შეხედა, ბოლომდე მივასრისო თუ გავუშვაო. ნაპოლეონს გამომეტყველება შეეცვალა. მან მკაცრად უბრძანა ბოქსერს გაანთავისუფლეო. ბოქსერმა მხოლოდ ამის შემდეგ ასწია ფეხი. დამტვრეულ-დასახიჩრებული ძაღლი წკმუტუნ-წკმუტუნით გალასლასდა პატრონისაკენ.

ამასობაში ალიაქოთიც ჩაწყნარდა. ღორები დამნაშავე გამომეტყველებით, აკანკალებული ელოდნენ განაჩენს. ნაპოლეონმა უბრძანა ყველაფერი გვიამბეთო. ეს ის ღორები იყვნენ, რომლებმაც თავის დროზე საკვირაო სკოლების გაუქმება გააპროტესტეს. მათ მეორეჯერ არ დასჭირვებიათ თქმა, ისე აღიარეს, რომ საიდუმლო კავშირი ჰქონდათ სნოუბოლთან მისი გამძევების დროიდანვე, რომ ერთად მოქმედებდნენ წისქვილის განადგურებისას, რათა ერთობლივი ძალებით „ცხოველების ფერმა“ ფრედერიკისათვის დაებრუნებინათ, და რომ სნოუბოლმა პირადად მათ უთხრა, უკვე ოთხი წელია რაც ჯოუნსის ჯაშუში ვარო. მოამთავრეს თუ არა ღორებმა აღსარება ძაღლებმა იმწუთსავე ოთხივეს ყელი გამოლადრეს. ნაპოლეონმა საზარელი ხმით დაიღრიალა, კიდევ ვინმეს ხომ არ სურს რაიმეს აღიარებაო.

წინ სამი ქათამი გამოვიდა, ისინი, ვინც ქათმების გაფიცვას ხელმძღვანელობდნენ. მათ აღიარეს, რომ სიზმარში სნოუბოლი ეცხადებოდათ და აქეზებდა, არ შეესრულებინათ ნაპოლეონის ბრძანებები. შემდეგ ბატი წამოდგა და გამოტყდა, რომ ხორბლის ბოლო მოსავლიდან ექვსი მარცვალი მოუპარავს და ღამით შეუჭამია. ქათმებსაც და ბატებსაც თავი წააცალეს. ასევე ადგილზე გაუსწორდნენ ცხვრებს, რომელთაგანაც ერთ-ერთმა აღიარა, სნოუბოლის მითითებით ჭაში ვშარდავდიო, ხოლო დანარჩენი ორი გამოტყდა, რომ კოცონის ირგვლივ არბენინეს და ხველებით დაახრჩეს ნაპოლეონისადმი განსაკუთრებული ერთგულებით გამორჩეული ვერძი. დანაშაულთა აღიარება და დამნაშავეთა დასჯა მანამ არ დასრულდა, ვიდრე ნაპოლეონის ფეხებთან გვამების გორა არ დადგა და ჰაერი სისხლის სუნით არ გაიჟღენთა. ასეთი რამ აქ ჯოუნსის გამძევების შემდეგ პირველად მოხდა.

როდესაც სასამართლო დასრულდა, ღორებისა და ძაღლების გარდა ყველა თავ-თავიანთ სადგომში შეიყუჟა. ცხოველები თავზარდაცემულები იყვნენ. გაოგნებულებს ვერ გაეგოთ, რამ უფრო იმოქმედა მათზე, შეთქმულთა მზაკვრობამ, თუ იმ ანგარიშსწორებამ, რომლის მომსწრენიც ეს-ეს არის გახდნენ. ძველადაც ხშირად ყოფილან შემზარავი სისხლისღვრის მომსწრეები, მაგრამ ყველას ეჩვენებოდა, რომ ეს ბოლო ჟღერა გაცილებით შემადრწუნებელი იყო, რადგან თანამომძეთა შორის დატრიალდა. ჯოუნსის წასვლის დღიდან ვირთხა, რომ ვირთხაა ისიც კი არავის მოუკლავს.

მაშინვე ყველამ იმ ბორცვს მიაშურა, სადაც ნახევრადამენებული წისქვილი იდგა. მისვლისთანავე მიწაზე დაეყარნენ და ერთმანეთს ჩაეხუტნენ, თითქოს სითბოს ეძიებენო. ყველას აქ მოეყარა თავი, უკლებლივ ყველას, გარდა კატისა. იგი კრების

დაწყებამდე ზუსტად ერთი წამით ადრე გაქრა. კარგა ხანს ასე იწვნენ გატრუნულები. ერთადერთი ბოქსერი არ დაწოლილა, იგი მოუსვენრად ბოლთას სცემდა, კუდს იქნევდა და დროდადრო გაოცებული ჩაიჭიხვინებდა ხოლმე. ბოლოს ხმამარლა წარმოსთქვა: „არ მესმის. ვერ წარმომიდგენია, რომ ასეთი რამ შეიძლება მომხდარიყო. იქნებ ჩვენც ვცოდავთ. მე მგონი გამოსავალი მუშაობის გაძლიერებაშია. აწი ერთი საათით ადრე ავდგები დილაობით.“

მან მძიმე ნაბიჯით გასწია კარიერისაკენ და, ვიდრე დასაძინებლად გაეშურებოდა, ზედიზედ ორი ლოდი მიათრია წისქვილთან.

ცხოველები გაყუჟულიყვნენ და ქლოუერს მიკვროდნენ. ბორცვიდან ხელისგულივით მჩანდა მათი მთელი კარ-მიდამო: მთავარ გზაზე გადაჭიმული სამოვრები, მინდვრები, პატარა ტყე, აუზი, ხშირი მწვანე ჯეჯილით აბიზინებული პურის ყანა. სახლის წითელი სახურავები და საკვამულიდან რგოლებად ამომავალი კვამლი. გაზაფხულის შემკრთალი საღამო იყო. ბალახი და აკვირტებული მესრები ჩამავალ მზის სხივებში იძირებოდა. ცხოველებმა ერთგვარი გაოცებით გააცნობიერეს, რომ არც ეს მიწა-წყალი, არც ეს კარ-მიდამო, რომელიც თითქოსდა მათი საკუთრება იყო, არასოდეს ყოფილა მათთვის ესოდენ მიუწვდომელი და სანატრელი, ქლოუერი თვალცრემლიანი დაჰყურებდა იქაურობას და, სიტყვებით რომ შესძლებოდა თავისი ფიქრების გამოხატვა, ალბათ იტყვოდა, რომ იგი, თავის თანამომძიებთან ერთად, სულ სხვა რამეზე ოცნებობდა, როდესაც ადამიანთა მოდგმის დასამხოვად აღდგა. განა იმ ღამეს, ბებერმა მეიჯერმა პირველად რომ მოუწოდა რევოლუციისაკენ, ვინმე წარმოდგენდა, რომ ასეთ ტერორსა და ჟლეტას მოსწრებოდნენ? თავად ქლოუერს ეგონა რომ იგი იბრძოდა ისეთი თანასწორუფლებიანი საზოგადოებისათვის, სადაც არ იქნებოდა შიმშილი და სახრე, თითოეული თავისი შესაძლებლობისამებრ იშრომებდა და ღონიერი სუსტს ისევე დაიცავდა, როგორც თავის დროზე ქლოუერმა დაიცვა ობოლი ჭუჭულები. ამის სანაცვლოდ შავ დღეში აღმოჩნდნენ (თვითონაც არ ესმოდათ, რატომ); ვერავინ ბედავს საკუთარი აზრის გამოთქმას, გარშემო გამძვინვარებული ძალები დარბიან და შენივე თანასწორობით ასო-ასო კუწავენ მეგობარს, რომელიც საკუთარ დანაშაულს აღიარებს. არა, ურჩობა და ამბოხი გამეფებული წესების წინააღმდეგ აზრადაც არ მოსდიოდა ქლოუერს. მან იცოდა, თუმცა აწმყო მძიმე იყო, წარსულს, ჯოუნსის დროს, მაინც სჯობდა და რომ ცხოველები არასდროს არ უნდა შეგუებოდნენ ადამიანთა გაბატონებას. ნებისმიერ შემთხვევაში იგი თავდადებით იშრომებდა, ნებისმიერ ბრძანებას შეასრულებდა და ბელადის ერთგული იქნებოდა, მაგრამ ყოველივე, რაც ხდებოდა, არ იყო ის, რისთვისაც იღწვოდნენ და რისკენაც ისწრაფვოდნენ თვითონ და მისი მეგობრები. განა ამისთვის აშენებდნენ წისქვილს და ამისთვის შეუშვირეს მკერდი ჯოუნსის ტყვიებს? აი ასეთ ფიქრებში იყო ქლოუერი, თუმცადა სიტყვები არ ჰყოფნიდა მის გამოსახატავად.

ბოლოს, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, თითქოს სათქმელს ამით ამბობსო, ქლოუერმა „ინგლისის ცხოველებს“ წამოიწყო. მას სხვა ცხოველებიც აჰყვნენ და სამჯერ ზედიზედ იმღერეს თავიანთი ჰიმნი, რომელსაც პირველად მღეროდნენ ასე გულსაკლავად, ასეთი გრძნობით.

სიმღერა დაამთავრეს თუ არა მათკენ ორი ძაღლის თანმხლებით მომავალი სქულიერი დაინახეს. ზედვე ეწერა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა. მან ცხოველებს გააცნო ამხანაგ ნაპოლეონის განკარგულება, რომლის თანახმადაც ამიერიდან ჰიმნი „ინგლისის ცხოველები“ იკრძალებოდა.

ცხოველები დაიბნენ.

„რატომ?“ - იკითხა მურიელმა.

„ამის საჭიროება აღარ არსებობს, ამხანაგებო, - მტკიცე ხმით განაცხადა სქულიერმა. - ეს აჯანყების დროის სიმღერაა, ხოლო აჯანყება დასრულდა. მოლაღატეთა დასჯა დღეს, შუადღისას, ამ ეტაპის ფინალი იყო. ორივე მტერი, გარეშეც და შინაურიც, განადგურებულია. ამ სიმღერაში გამოხატულია ჩვენი ოცნება მომავალ სრულყოფილ საზოგადოებაზე. ასეთი საზოგადოება კი უკვე გვაქვს. ცხადია, რომ ამ სიმღერამ აზრი დაკარგა“.

მართალია, სულ ცოტა ხნის წინ ასეთი შიშ გადაიტანეს, მაგრამ რამდენიმე ცხოველი მაინც გაბედავდა შეკამათებას, ზუსტად ამ დროს ცხვრებს თავიანთი ჩვეული კიკინი რომ არ წამოეწყოთ: „ოთხი ფეხი კარგია, ორი -ცუდი“, რამაც რამდენიმე წუთს გასტანა და დისკუსიას ბოლო მოეღო.

ამის შემდეგ აღარავის გაუგონია „ინგლისის ცხოველები“. სამაგიეროდ პოეტმა მინიმუმსა შექმნა ახალი სიმღერა, რომელიც ასე იწყებოდა:

„ცხოველების ფერმას“

ამაყსა და ურჩს,

დავუდგებით მცველად,

ჰუმანიზმის ბურჯს.

ამას მღეროდნენ ყოველ კვირა დილით ალმის აღმართვის დროს, მარგამ რატომღაც ამ სიმღერის არც სიტყვები და არც მელოდია არავის გულს არ ეკარებოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც რეპრესიებით გამოწვეული შიში ოდნავ შენედა, ცხოველებს გაახსენდათ (ყოველ შემთხვევაში, მათ ასე ეგონათ, რომ გაახსენდათ) მეექვსე მცნების შინაარსი, რომლის მიხედვითაც ცხოველის მიერ მეორე ცხოველის მოკვლა იკრძალებოდა. ყველა გრძნობდა (თუმცა ხმამაღლა ვერავინ ბედავდა ამის თქმას), რომ ამასწინდელი სასაკლაო რაღაცნაირად არ ეთანხმებოდა ამ მცნებას. ქლოუერი, მას შემდეგ რაც, ბენჯამენმა უარით გამოისტუმრა, აღარაფერში აღარ მინდა ჩავერიო, მურიელს შეევედრა, წამიკითხე, ერთი რა წერია ამ მცნებაშიო.

„არც ერთმა ცხოველმა არ უნდა მოკვას მეორე ცხოველი უმიზეზოდ“ - იყო ნათქვამი მცნებაში (უცნაური იყო, მაგრამ ბოლო სიტყვა ყველას ამოვარდნილი ჰქონდა მეხსიერებიდან). მაშასადამე მეექვსე მცნება არავის დაურღვევია, რადგანაც სწორედ ამ ნათქვამებში ყუფნა უდაოდ სერიოზული დანაშაული იყო.

ამ წელს ცხოველებს გაცილებით მძიმე დატვირთვით მოუხდათ შრომა. წისქვილის გარდა, რომლის მშენებლობაც აუცილებლად დათქმულ ვადაში უნდა დასრულებულიყო (თანაც კედლები ორჯერ სქელი უნდა გაეკეთებინათ), ცხოველებს პარალელურად სამეურნეო სამუშაოები ჰქონდათ ჩასატარებელი. ეს კი მათგან უზარმაზარ დაძაბვას მოითხოვდა. ზოგჯერ ეჩვენებოდათ, რომ გაცილებით ბევრს მუშაობდნენ, ვიდრე ჯოუნსის დროს და რომ არც უკეთესად იკვებებოდნენ. კვირაობით სქულიერი ფლოქვებს შუა მომარჯვებული გრძელი გრაგნილიდან ციფრებს კითხულობდა, საიდანაც ცხოველები იგებდნენ, თუ როგორ გაიზარდა, ამა თუ იმ პროდუქციის წარმოება ორასჯერ, სამასჯერ და ზოგჯერ ხუთასჯერაც კი, იმისდა მიხედვით თუ მრეწველობის რომელ დარგზე იყო ლაპარაკი. ცხოველებს არავითარი საფუძველი არ გააჩნდათ, ეჭვი შეეტანათ ამ ინფორმაციის სისწორეში, მით უმეტეს, რომ აღარც ახსოვდათ ხეირიანად, რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ რევოლუციამდე. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, იყო დღეები, როდესაც ცხოველებს ერჩივნათ ნაკლები მაჩვენებლები და მეტი საკვები ჰქონოდათ.

ნებისმიერი განკარგულება ამჟამად სქულიერის ან რომელიმე სხვა ღორის მეშვეობით ქვეყნდებოდა. თავიდან ნაპოლეონი მხოლოდ ორ კვირაში ერთხელ ჩნდებოდა საზოგადოებაში. ძაღლებით გარშემორტყმულს, წინ მიუძღვოდა შავი მამალი, რომელიც ერთგვარად მესაყვირის დანიშნულებას ასრულებდა: სანამ ნაპოლეონი სიტყვას დაიწყებდა ხოლმე, მამალი ომახიანად „ყიყლიყოს“ დაჰქექდა. ამბობდნენ, ჯოუნსის სახლის ერთი ნაწილი ახლა მხოლოდ ნაპოლეონს ეკუთვნისო. ძაღლებს თუ არ ჩავთვლით, იგი სრულიად განმარტოებული სადილობდა. სადილს ყოველთვის ჯოუნსების „ქრაუნ დერბის“ ჭურჭლიდან მიირთმევდა. იმასაც ამბობდნენ, რომ ამიერიდან ნაპოლეონის დაბადების დღე, ისევე როგორც რევოლუციისა და „ბოსლის ბრძოლის“ დღესასწაულები, საზეიმო გასროლით უნდა აღნიშნულიყო.

ახლა მას აღარავინ ემახდა უწინდელივით ნაპოლეონს, არამედ იხსენიებდნენ ოფიციალურად: „ჩვენი ბელადი, ამხანაგი ნაპოლეონი“. ღორებს დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა ნაირ-ნაირი ტიტულების მოგონება, მაგალითად, „ყველა ცხოველის მამა“, „ადამიანთა რისხვა“, „ცხოველების მარჩენალი“, „ჭურჭლების მეგობარი“ და მრავალი სხვა. სქუილერს ღაპა-ღუპით სდიოდა ხოლმე ცრემლები, როდესაც ლაპარაკობდა ნაპოლეონის სიბრძნესა და სიქველეზე, მის უძირო სიყვარულზე ყველა ცხოველის, განსაკუთრებით კი, სხვა მამულებში მცხოვრები ცხოველებისადმი, რომლებიც უმეცრებასა და მონობაში დაფავენ სულს. კანონად იქცა ნებისმიერი, თუნდაც უმნიშვნელო წარმატებისთვის და საერთოდ ყველაფრისათვის ნაპოლეონოს ქება-დიდება. ხშირად გაიგონებდით, მაგალითად, როგორ ეუბნებოდა ერთი ქათამი მეორეს: „ჩენი ბელადის, ამხანაგ ნაპოლეონის ხელმძღვანელობით ექვს დღეში ხუთი კვერცხი დავდე“, ან მადლიერი ძროხების ლაპარაკს ჭასთან: „შესანიშნავი წყალია. მადლობა ჩვენს მარჩენალს, ამხანაგ ნაპოლეონს!“ „ცხოველების ფერმის“ ზოგად განწყობილებას შესანიშნავად გამოხატავდა კომპოზიტორ მინიმუსის მიერ შექმნილი პოემა „ამხანაგი ნაპოლეონი“, რომელშიც ნათქვამი იყო:

ობლების მამაო,

წყაროვ ნეტარების,

ამავსობელო ცარიელ კუჭების,

როდესაც შევსცქერით

შენს მშვიდ და ამაყ მზერას,

გულს ცეცხლი ეკიდება,

ცდნებით, ვიფერფლებით.

მზე ხარ ატყორცნილი,

მამაო ჩვენო, დიდო ნაპოლეონ!

ბედკრულებს ცხოვრება შენით გაგვინათდა,

შენით მოგვევლინა ყოველი ნათელი,

შენი წყალობით ვჭამთ დღეში ორჯერ,

დავხტივართ ველად,

შენს მოდარაჯე მზერას დანდობილნი.

გვძინავს უდრტვინველად.

მზე ხარ მოკაშკაშე, მამაო ჩვენო,

დიდო ნაპოლეონ!

მუძმწოვარი მეყოლება შვილი თუ მოზრდილი,

მან უნდა იცოდეს შენი სიყვარული, იყოს მორჩილი,

დიახაც, პირველი, რაც მისმა ბაგეებმა უნდა გამაგონონ

ეს არის სიტყვები: მამაო ჩვენო, მზეო ნაპოლეონ!

ნაპოლეონმა მოიწონა პოემა და მისი სურვილით ლექსი დიდი ბელლის კედელს წააწერეს შვიდი მცნების გვერდით. ზემოთ სქუილერის მიერ თეთრი საღებავით შესრულებული ნაპოლეონის პორტრეტი დაჰკიდეს.

ამასობაში ნაპოლეონი უიმფერის მეშვეობით მნიშვნელოვან მოლაპარაკებას აწარმოებდა ფრედერიკთან და ფილქინგტონთან. ხის მასალა ჯერ კიდევ ხელუხლებლად იდო. მის ხელში ჩასაგდებად ფრედერიკი განსაკუთრებით მონდომებული იყო, მაგრამ საჭირო თანხას ვერ იმეტებდა. ამასთან კვლავ დაირხა ხმა, თითქოს იგი თავის ხალხთან ერთად „ცხოველთა ფერმაზე“ თავდასხმას გეგმავდა, რათა გაენადგურებინათ წისქვილი, რომელიც უზომო შურს აღუძრავდა. სნოუბოლზე ამბობდნენ, ჯერ ისევ ფინჩილდს აფარებს თავსო. ზაფხულის შუა რიცხვებში ცხოველები შეძრა ახლამა ამბავრა: სამმა ქათამმა აღიარა, რომ ისინი სნოუბოლის წაქეზებით მონაწილეობდნენ შეთქმულებაში, რომელიც ნაპოლეონის მოკვლას ისახავდა მიზნად. ქათმები მყისვე დაისაჯენ სიკვდილით, ხოლო ნაპოლეონის დაცვის გასაძიერებლად ახალი ზომები იქნა მიღებული. საწოლის ყველა კუთხეში ღამ-ღამობით თითო ძაღლი დააყენეს. გარდა ამისა, დააწესეს, ნაპოლეონის სადილის პირველი ლუკმა ახალგაზრდა ღორს, ფინქიას უნდა გაესინჯა, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ საკვები მოწამლული არ იყო.

დაახლოებით ამ დროს ცნობილი გახდა, რომ ნაპოლეონმა ხე-ტყე ბ-ნ ფილქინგტონს მიყიდა და რომ მუდმივი ხელშეკრულების თანახმად აპირებდა, ზოგიერთი პროდუქტები გაეცვალა „ცხოველების ფერმასა“ და „ფოქსვუდს“ შორის. ნაპოლეონსა და ფილქინგტონს ისევ უიმფერის მეშვეობით ჰქონდათ ურთიერთკავშირი, რომელიც სულ უფრო მეგობრულ ხასიათს იძენდა. ცხოველები არ ენდობოდნენ ფილქინგტონს, როგორც ადამიანთა მოდგმის წარმომადგენელს, მაგრამ მაინც ბევრად ერჩივნათ ფრედერიკს, რომელიც ერთდროულად შიშისა და ზიზღის გრძნობას იწვევდა მათში. ზაფხულის დამლევს, როდესაც წისქვილის მშენებლობა დასასრულს მიუახლოვდა, სულ უფრო და უფრო იმატა მითქმა-მოთქმამ იმის შესახებ, რომ ფრედერიკის მხრიდან ახალი ვერაგობა იყო მოსალოდნელი. ამბობდნენ, იგი ოცი შეიარაღებული კაცით აპირებს თავდასხმას „ცხოველთა ფერმაზე“ და იმ შემთხვევისათვის, თუ

ხელში ჩაიგდებს ფერმის საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტებს, საქმეში რომ არ ჩაერიონ, მოსყიდული ჰყავთ მოსამართლეებიც და პოლიციაცო. კიდევ უფრო საშინელი ხმები ჟონავდა იმის თაობაზე, რომ ფრედერიკი თავის ცხოველებს საშინლად ექცევდაო. სასიოკვდილოდ გაუწკეპლია ბებერი ცხენი, ღუმელში ამოუბუგავს ძაღლი, ხოლო საღამოობით იმით ერთობა, რომ დეზებზე სამართებელშებმულ მამლებს აჩხუბებსო. ცხოველებს სისხლს უმღრევდა ამგვარი ამბების გაგონება და ისინი გულზე ცეხლმოკიდებულები მოითხოვდნენ, მათთვის ნება დაერთოთ, რომ ერთიანი იერიშით გასწორებოდნენ ფინჩილდს, გაერეკათ ადამიანები და გაენთავისუფლებიათ დაჩაგრული თანამომძეები. მაგრამ სქულიერი არ ურჩევდა მათ ცხელ გულზე რაიმე ნაბიჯის გადადგმას. უმჯობესია, ამხანაგ ნაპოლეონს მივანდოთ ამ საქმის სტრატეგიაო.

მაგრამ ფრედერიკისადმი მტრული დამოკიდებულება დღითიდღე იზრდებოდა. ერთ დილას ნაპოლეონი ბელელში გამოცხადდა და ცხოველებს შეატყობინა, რომ მას არასდროს, ერთი წამითაც, არ გაუვლია აზრად ფრედერიკისათვის ხე-ტყის მასალის მიყიდვა და რომ საკუთარი ღირსების შელახვად მიმაჩნია მსგავს ნაძირალასთან საქმის დაჭერა. მტრედებს, რომელთაც აქამდე რევოლუციური იდეების პროპაგანდა ევალეზობდათ, აეკრძალად ფოქსვუდში ჩაფრენა. ლოზუნგი - „სიკვდილი ადამიანთა მოდგმას“ - შეიცვალა ლოზუნგით - „სიკვდილი ფრედერიკს“. ამ დროისათვის ცნობილი გახდა სნოუბოლის ახალი ხრიკი: ჯეჯილში უამრავი სარეველა გაჩენილიყო. თურმე ერთ-ერთი შემოპარვისას, ღამით, სნოუბოლს ხორბაში სარეველა შეურევია. ამ დანაშაულში ხელი ერია ერთ მამალ ბატს, რომელიც სქულიერს ყველაფერში გამოუტყდა და იქვე ძაღლყურძენით მოიწამლა თავი. ცხოველებისათვის ისიც გახდა ცნობილი, რომ სნოუბოლი არასდროს დაჯილდოებულა „ცხოველთა გმირის პირველი ხარისხის წოდებით“, როგორც ბევრს ეგონა აქამდე. ეს ლეგენდა თავად სნოუბოლმა გაავრცელა „ბოსლის ბრძოლიდან“ ცოტა ხნის შემდეგ. ამგვარად, როცა დადგინდა, რომ არასდროს არავითარი ჯილდო არ ქონდა მიღებული, იგი მაშინვე ამხილეს სიმხდალეში, რომელიც „ბოსლის ბრძოლისას“ გამოიჩინა. ამ ბრალდებამ ისევ და ისევ დაბნეულობა გამოიწვია ზოგიერთ ცხოველში, მაგრამ სქულიერმა კვლავ დაარწმუნა ისინი, მეხსიერება გლალატობთო.

შემოდგომაზე უკანასკნელი ძალ-ღონის დამაბვით (ვინაიდან საშემოდგომო სამუშაოებიც მიმდინარეობდა) ცხოველებმა წისქვილის მშენებლობა მოამთავრეს. მართალია, მექანიზმი ახლა უნდა დაემონტაჟებინათ და მის შექმნაზე უიმფერთან მიდიოდა მოლაპარაკება, მაგრამ თავად შენობა დასრულებული იყო. გამოუცდელობის, იარაღების პრიმიტიულობის, უიღბლობის, სნოუბოლის მზაკვრობისა და უამრავი ამგვარი დაბრკოლების მიუხედავად, წისქვილის მშენებლობა ზუსტად დათქმულ დღეს დამთავრდა, წუთი წუთზე! ქანცგალეულნი, მაგრამ სიამაყის გრძნობით აღსავსენი, ცხოველები გარს უვლიდნენ თავიანთ ქმნილებას, რომელიც გაცილებით ლამაზად ეჩვენებოდათ წინანდელთან შედარებით. ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, კედლის სისქე ადრინდელს ორჯერ აღემატებოდა.

ამიერიდან მათ ვერანაირი აფეთქება ვერ გაანადგურებდა. ხოლო, როდესაც წარმოიდგენდნენ, რამდენი შრომა შეაღიეს წისქვილის მშენებლობას, რამდენი დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ და როგორ შეიცვლებოდა მათი ყოფა, როცა დინამო ჩაერთვებოდა და წისქვილი ამუშავდებოდა, ყველანაირი დარლილობა ავიწყდებოდათ და საზეიმო ყიჟინით დახტოდნენ წისქვილის ირგვლივ. თვით ნაპოლეონმაც კი ძაღლებისა და მამლების თანხლებით ინახულა დასრულებული წისქვილი; მან პირველმა მიულოცა ცხოველებს მიღწევა და აცნობა, რომ წისქვილს „ნაპოლეონის სახელობის წისქვილი“ დაერქმეოდა.

ორი დღის შემდეგ ცხოველებს უხმეს ბეღელში სპეციალურად გამართულ თათბირზე. მათ მოულოდნელობისაგან ენა ჩაუვარდათ, როდესაც შეიტყვეს, რომ ხე-ტყის მასალა ნაპოლეონმა ფრედერიკს მიჰყიდა. ხვალ მასალის წასაღებად ფრედერიკის ვაგონები უნდა ჩამოსულიყო. თურმე ფილქინგტონთან მოჩვენებითი მეგობრობის დროს ნაპოლეონს კავშირი ჰქონია ფრედერიკთან.

ფოქსვუდთან ყველანაირი კონტრაქტი შეწყდა. შეურაცხმყოფელი დეპეშებით აავსეს ფილქინგტონი. მტრედებს უბრძანეს თავი აერიდებინათ ფილჩინდისათვის და ლოზუნგი „სიკვდილი ფრედერიკს“ შეეცვალოთ ლოზუნგით „სიკვდილი ფილქინგტონს“. ამასთან ნაპოლეონმა შეატყობინა ცხოველებს, რომ ხმები „ცხოველთა ფერმაზე“ ფრედერიკის თავდასხმის შესახებ სრულიად არ შეეფერებოდა სიმართლეს, ხოლო მითქმა-მოთქმა ფრედერიკი ცხოველებს ჩაგრავსო მტკნარი სიცრუე იყო. აქვე გაირკვა რომ სწოებული სრულიადაც არ აფარებდა თავს ფინჩილდს და საერთოდ არასოდეს ყოფილა ამ მამულში. იგი დიდ ფუფუნებაში ცხოვრობდა თურმე ფოქსვუდში და წლების განმავლობაში ფილქინგტონისაგან ღებულობდა პენსიას.

ღორები აღფრთოვანებულები იყვნენ ნაპოლეონის მოქნილობით - ფილქინგტონთან მეგობრობის გათამაშებით მან აიძულა ფრედერიკი თორმეტი ფუნტით მეტი გადაეხადა ხე-ტყეში. მაგრამ ნაპოლეონის უბადლო ნიჭი იმაში ჩანდა, რომ იგი არც ფრედერიკს ენდობოდა. ფრედერიკს, მაგალითად, სურდა რომ ხე-ტყის საფასური ჩეკით გადაეხადა, ქალაღდის რაღაც ნაგლეჯით, რომელიც თურმე თანხის გადახდის პირობას იძლეოდა. მაგრამ, ნურას უკაცრავად, ნაპოლეონს ვერავინ გააცურებდა. მან ნაღდი ფული მოითხოვა, რომელიც ფრედერიკს წინასწარ უნდა გადაეხადა, მასალის წაღებამდე. მიაღწია კიდევ თავისას. ფრედერიკმა გადაიხადა ფული, რაც ცხოველებს საშუალებას აძლევდა წისქვილის დანადგარი შეეძინათ.

ამის შემდეგ ფრედერიკმა სასწრაფოდ წაზიდა ხე-ტყე. როდესაც ყველაფერ ჩამთავრდა, ცხოველები კვლავ დაიბარეს ბეღელში ფრედერიკის ბანკნოტების სანახავად. მედლებით მკერდდამშვენებული და მომღიმარი ნაპოლეონი ამალეებულ ადგილზე მოთავსდა და გვერდზე ჩინურ ლამბაქზე კოხტად დაწყობილი ბანკნოტები მოიდო. ცხოველები რიგში ჩამწკვრივდნენ ფულის დასათვალიერებლად. იგი ნელა მიიწევდა წინ. ყველა ყურადღებით უმზერდა ბანკნოტებს, ხოლო ბოქსერმა კისერი

წაიგრძელა და დაყნოსა კიდეც. მის სუნზე სიფრიფანა ქაღალდები შეირხა და აშრიალდა.

ამ ამბიდან სამი დღის შემდეგ ფერმაში საშინელი ალიაქოთი ატყდა. უიმფერი, რომელსაც მიტკლის ფერი ედო, ველოსიპედით ეზოში შემოვარდა და სახლში შეიჭრა. შესვლაც ვერ მოასწრო, რომ იქედან ნაპოლეონის ისეთი ღრიალი გაისმა, თითქოს ვიღაცას ახრჩობენო. ბანკნოტები ყალბი აღმოჩნდა! ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო იქაურობას. ფრედერიკს მუქთად დაუხელოთებია ხე-ტყის მასალა!

ნაპოლეონმა დაუყონებლივ შეკრიბა ცხოველები და ფრედერიკს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. „იგი, - განაცხადა ნაპოლეონმა, - შეპყრობისთანავე ცოცხლად იქნება მოხარშული“. თან ყველა გააფრთხილა, რომ ამ ვერაგობის შემდეგ ყველაფერია მოსალოდნელი, ფრედერიკმა და მისმა დამქაშებმა შეიძლება ნებისმიერ წუთს მოახდინონ დიდი ხნის წინ დაგეგმილი იერიში „ცხოველების ფერმაზე“. ფილქინგტონთან ძველი ურთიერთობის აღსადგენად ფოქსვუდში სასწრაფოდ იქნა გაგზავნილი ოთხი მტრედი.

თავდასხმა მართლაც მეორე დღით მოხდა. ცხოველები საუზმობდნენ, როდესაც მეთვალყურეები მოიჭრნენ ახალი ამბის საუწყებლად: ფრედერიკმა და მისმა რაზმმა გზაზე გამავალი ჭიშკარი ეს-ესაა გამოიარესო. ცხოველები საკმაოდ უშიშრად დაუხდნენ მოსულთ, მაგრამ ამჯერად გამარჯვება არ აღმოჩნდა ისეთი ადვილი, როგორც „ბოსლის ბრძოლაში“. ადამიანთა ჯგუფი 15 შეიარაღებული კაცისგან შედგებოდა. როგორც კი ორმოცდაათ იარაღზე მიუახლოვდნენ ეზოს, სროლა ატეხეს. ცხოველები უძლურნი აღმოჩნდნენ ცეცხლისა და მოზუზუნე ტყვიების პირისპირ და მიუხედავად იმისა, რომ ნაპოლეონი და ბოქსერი ყველანაირად ცდილობდნენ ერთიანი ძალით წაეყვანათ ისინი იერიშზე, სულ მალე უკან დახევა მოუხდათ. ბევრი მათგანი უკვე დაჭრილი იყო. ცხოველებმა ეზოს შენობებს შეაფარეს თავი და ჭუჭრუტანებიდან ფრთხილად აკვირდებოდნენ, თუ რა ხდებოდა გარეთ. სამოვრები წისქვილის ჩათვლით მტერს ჰქონდა დაკავებული. ნაპოლეონი დაბნეული ჩანდა. იგი უსიტყვოდ სცემდა ბოლთას და დამაბულ კუდს აქეთ-იქით აქანცარებდა. იგი დროდადრო ფოქსვუდისკენ მიმართავდა დაფიქრებულ მზერას: შეიძლება ბრძოლა მოეგოთ კიდეც თუ ფილქინგტონი და მისი კაცები დაეხმარებოდნენ. მაგრამ ზუსტად ამ დროს ფოქსვუდიდან დაბრუნდნენ სამშვიდობო მისიით გაგზავნილი მტრედები, რომელთაგანაც ერთ-ერთს ფილქინგტონისაგან გამოგზავნილი წერილი ჰქონდა გაჩრილი ნისკარტში. ქაღალდზე ეწერა: „ახია შენზე!“

ამასობაში ფრედერიკი და რამდენიმე კაცი წისქვილთან შეყოვნდნენ. ცხოველები მათ სულგანაბული ადევნებდნენ თვალყურს და ჩურჩულით თუ ბედავდნენ ლაპარაკს. ორმა მათგანმა სანგი და ძალაყინი დაადრო. სჩანდა წისქვილის დანგრევა ჰქონდა განზრახული.

„წარმოუდგენელია! - შეჰყვირა ნაპოლეონმა - ერთი კვირაც რომ ანგრიონ ვერაფერს დააკლებენ. მისი კედლები მეტად სქელია. გამხნევდით, ამხანაგებო!“ მაგრამ ბენჯამენი მაინც გულისყურით ადევნებდა თვალს ადამიანთა ყოველ მოძრაობას. ის ორნი, ძალაყინით და სანგით ახლა ორმოს ბურღავდნენ წისქვილის საძირკველთან. ბენჯამენმა დინჯად, ყოვლისმცოდნე გამომეტყველებით გააქნია თავისი მოგრძო, ნაცრისფერი თავი და წარმოსთქვა:

„აქ სხვა რამეშია საქმე, ვერ ხვდებით რას აკეთებენ? დენტის დაყრას აპირებენ იმ ხვრელში“.

შემინებული ცხოველები იცდიდნენ. ახლა, რაღა თქმა უნდა, შენობიდან გასვლა შეუძლებელი იყო. რამდენიმე წუთის შემდეგ ადამიანები სირბილით გაეცალნენ წისქვილს. ამას მოჰყვა გამაბრუებელი აფეთქების ხმა. მტრედეები ზევით ავარდნენ და ჭერქვეშ დატრიალდნენ, ხოლო დანარჩენი ცხოველები ნაპოლეონის გარდა, პირქვე დაემხნენ, იატაკზე. როდესაც წამოდგნენ დაინახეს წისქვილის ადგილზე დაკიდებული უზარმაზარი შავი ღრუბელი, რომელიც ზანტად გაიფანტა ნიავზე. წისქვილის ადგილი ცარიელი იყო!

ცხოველებს ღრიალი აღმოხდათ. შიში და სასოწარკვეთილება სიბრაზემ, აღშფოთებამ შეცვალა. მტრის მიერ ჩადენილმა ბარბაროსობამ მხნეობა დაუბრუნა და შურისძიების გრძნობით ალავსო. ყოველგვარი ბრძანების გარეშე, როგორც ერთი, მტერთან შესაბამელად გავარდნენ. სეტყვასავით გავარდნილმა ტყვიებმა ამჯერად ვეღარ შეაჩერა ისინი. ეს იყო ველური სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ადამიანები შეუწყვეტილად ისროდნენ, ხოლო როდესაც ცხოველები საკმაო მანძილზე მიუახლოვდნენ, ჯოხები და წიხლები დაუშინეს. ძროხა, ცხვარი და სამი ბატი იქვე ადგილზე დაეცა, ხოლო დაჭრილი თითქმის ყველა იყო. ნაპოლეონსდაც კი, რომელიც ზურგიდან ხელმძღვანელობდა ბრძოლას, კუდის ბოლო ჰქონდა ტყვიით წაგლეჯილი. მაგრამ ვერც ადამიანები გადარჩნენ უვნებლად - სამ მათგანს ბოქსერის ჩლიქით ჰქონდა თავი გაჩეჩვილი. ერთ-ერთს ძროხამ ურქინა მუცელში. დანარჩენებს კი ჯესისა და ბლუბელის წყალობით შარვალჩამოფხრეწილი დარბოდნენ აქეთ-იქით. მაგრამ ნამდვილმა შიშმა ადამიანები მაშინ მოიცვა, როდესაც ნაპოლეონის ბრძანებით მესრის უკან ჩასაფრებული ძალები (ნაპოლეონის პირადი დაცვა) გამოცვივდნენ საზარელი ყეფით. ხალხი მიხვდა, რომ შესაძლოა ცხოველთა ალყისათვის თავი ვეღარ დაეღწია. სასოწარკვეთილმა ფრედერიკმა დაიღრიალა, სანამ დროა თავს ვუშველოთო, და ერთი წუთიც არ იყო დასული, რომ გულგახეთქილი ადამიანები თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ სიცოცხლის გადასარჩენად. ცხოველებმა მინდვრის ბოლომდე სდიეს მათ და, ვიდრე ისინი ეკლიან მესერში მოასწრებდნენ გაძრომას, წიხლები მიაყოლეს.

ამგვარად, ბრძოლა მოგებული იყო. მაგრამ ცხოველები დაღეწილი და დასის ხლიანებულები ეყარნენ. ძლივძლივობით წამოლასლასდნენ და კოჭლობით სადგომებისაკენ გასწიეს. ბევრს ცრემლი მოჰგვარა ბალახზე გამოტილი მკვდარი

ამხანაგის დანახვამ. მწუხარებით დამუნჯებულები, ცოტა ხნით იქაც შეყოვნდნენ, სადაც ოდესღაც წისქვილი იყო აღმართული. დიახ, წისქვილი აღარ არსებობდა. მათი გარჯის აღარანაირი ნიშანწყალი აღარ იყო დარჩენილი! საძირკველიც კი განადგურებული იყო. მეტიც, ქვებიც კი გამქრალიყო, აფეთქების ძალას ისე შორს გადაესროლა ისინი. გეგონებოდათ, წისქვილი არც არასდროს მგდარა ამ ადგილასო.

ფერმასთან ცხოველებს ხტუნვა-ხტუნვითა და კუდის ქიცინით სქუილერი გამოეგება, რომელსაც გაუგებარი მიზეზის გამო ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. იგი კმაყოფილებისაგან ბრწყინავდა. ამ დროს ფერმის მხრიდან ომახიანად დასჭექა თოფმა.

„რატომ ისვრიან?“ - იკითხა ბოქსერმა.

„გამარჯვებას ვზეიმობთ!“ - შესძახა სქუილერმა.

„რა გამარჯვებას?“ - ვერ მიხვდა ბოქსერი, რომელსაც მუხლიდან სისხლი სდიოდა, ნალი აგლეჯოდა, ჩლიქი ორად ჰქონდა გახლეჩილი, ხოლო უკანა ფეხში რამდენიმე ტყვია გასჩხეროდა.

„როგორ რა გამარჯვებას, ამხანაგო? განა არ განვდევნეთ მტერი ჩვენი მიწიდან, ცხოველთა წმინდა მიწიდან?“

„კი მაგრამ, მათ განადგურეს წისქვილი, რომელსაც ორი წელი შევწირეთ!“

„ეგ არაფერი. ახალს ავაშენებთ. თუ საჭირო გახდება ექვსს ავაშენებთ. შენ, მეგობარო, ვერ ხვდები ჩვენი გამარჯვების სიდიადეს. მტერს უკვე ოკუპირებული ჰქონდა ჩვენი მიწა, დიახ, ოკუპირებული, მაგრამ ამხანაგი ნაპოლეონის წყალობით, ჩვენი ქვეყნის ერთი მტკაველიც არ დავუთმეთ!“

„ესე იგი, არ დავუთმეთ ის, რაც მანამდე ჩვენი იყო“ - თქვა ბოქსერმა.

„დიახ. დიახ ეს ჩვენი უდიდესი გამარჯვებაა“, - ამაყად უპასუხა სქუილერმა.

ცხოველები ეზოში შელასლასდნენ. ბოქსერს უკვე ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ის ჯოჯოხეთური შრომა, რაც წისქვილის აღდგენას დასჭირდებოდა, მაგრამ, საშინელი ტკივილის მიუხედავად, იგი მზად იყო ამისათვის, თუმცა პირველად ცხოვრებაში გაუელვა აზრმა, რომ იგი უკვე თერთმეტი წლისა იყო და რომ მისი ღონიერი კუნთები ვეღარ იმუშავებდნენ ძველებური სიძლიერით.

როდესაც ცხოველებმა მოფრიალე მწვანე დროშა დაინახეს, შვიდჯერ გაისროლა თოფმა და როდესაც ნაპოლეონმა პირადად მიულოცა მათ წარმატება, ცხოველებმა იფიქრეს მართლაც დიადი წარმატება გვხვდა წილადო. ბრძოლაში დაცემულნი საზეიმო ვითარებაში მიაბარეს მიწას. ფურგონში, რომელიც კატაფალკის მაგივრობას სწევდა, ბოქსერი და ქლოუერი შეებნენ, ხოლო სამგლოვიარო მსვლელობას თავად ნაპოლეონი მიუძღოდა. დასაფლავების შემდეგ მთელი ორი დღე გამარჯვებას

დღესასწაულობდნენ. მღეროდნენ, სიტყვით გამოდიოდნენ. თოფს ისროდნენ. სადღესასწაულოდ ცხოველებს დაურიგდათ თითო ვაშლი, ფრინველებს დაურიგდათ ერთ-ერთი ულუფა ხორბალი, ბაძრლებს სამ-სამი ბისკვიტი. გამოცხადდა, რომ ბრძოლას დაერქმეოდა „ომი წისქვილქვეშ“. ამასთან დაკავშირებით ნაპოლეონმა შემოიღო ახალი ჯილდო „მწვანე ალმის ორდენი“, რომლითაც გამარჯვების არსანიშნავად საკუთარი თავი დაიჯილდოვა. ბანკოტებთან დაკავშირებული უსიამოვნება საერთო ზეიმმა შთანთქა.

ზუსტად რამდენიმე დღე იყო გასული, რომ ღორებმა მარანში აღმოაჩინეს ერთი ყუთი ვისკი, რომელიც მანამდე შეუმჩნეველი დარჩენილიყო.. იმ საღამოს სახლიდან ხმამაღალი სიმღერა ისმოდა. ყველას გასაოცრად რამდენჯერმე „ინგლისის ცხოველებიც“ გაისმა. დაახლოებით ღამის ათის ნახევარზე ცხოველებმა სრულიად აშკარად დაინახეს, როგორ გამოვარდა სახლის უკანა კარიდან გამხიარულებული ნაპოლეონი, რომელსაც ჯოუნსის ცილინდრი ეხურა. მან ხტუნვა-ხტუნვით შემოურბინა ეზოს და ისევ სახლში შევარდა. დილით მთელი სახლი სამარისებულმა სიჩუმემ მოიცვა. მხოლოდ ცხრა საათისათვის გამოჩნდა სქუილერი. იგი ცოცხალ-მკვდარვით გამოიყურებოდა. ძლივს იდგა ფეხზე, თვალები შეშუპებოდა და კუდი უსიცოცხლოდ ჩამოჰკიდებოდა. მან ცხოველებს საზარელი ამბავი შეატყობინა - ამხანაგი ნაპოლეონი სულს დაფავსო!

ცხოველებს სასოწარკვეთილი კვნესა აღმოხდათ. მთელი სახლის წინ ჩალა დააფინეს და ყველა ფეხის წვერებზე დადიოდა. ცრემლმორეული ერთმანეთს ეკითხებოდნენ - რა გვეშველება, ამხანაგი ნაპოლეონი რომ დაიღუპოსო. ხმა დაირხა, სნოუბოლმა მაინც მოახერხა და ნაპოლეონს საწამლავი ჩაუყარაო. თორმეტ საათზე სქუილერი ისევ გამოჩნდა ახალი განცხადების გასაკეთებლად: სულთმობრძავ ამხანაგ ნაპოლეონს უკანასკნელი განცხადება გაუცია - ალკოჰოლის მიღება სიკვდილით ისჯებოდა.

საღამოს ნაპოლეონი უკეთ შეიქმნა, ხოლო დილისკენ სქუილერმა ცხოველებს აცნობა, ბელადის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდაო. იმავე დღის ბოლოს ნაპოლეონი სამუშაოს დაუბრუნდა, მეორე დღეს კი უკვე ცნობილი გახდა, რომ მან უიმფერს დაავალა უილინგდონში რამდენიმე სახელმძღვანელოს შექმნა ლუდის მოხარშვისა და გაწმენდის თაობაზე. ერთი კვირის თავზე ნაპოლეონმა ბრძანება გასცა, მოეხნათ ბალის უკანა პატარა მდელი, რომელიც ადრე პენსიაზე გასული ცხოველებისათვის იყო განკუთვნილი. ოფიციალურად გამოცხადდა, ნიადაგი გამოიფიტა და დასვენებას საჭიროებსო, მაგრამ მალე გაირკვა, რომ მინდორში ქერი უნდა დაეთესათ.

დაახლოებით ამავე დროს მოხდა ერთი უცნაური ამბავი, რომელიც ვერავინ ახსნა. შუაღამეს ეზოში რალაცის მტვრევის ხმა გაისმა. ცხოველები იმწამსვე წამოხტნენ და გარეთ გამოცვივდნენ. მთვარიანი ღამე იყო და ყველამ დაინახა, რომ კედლის ძირას, იქ სადაც შვიდი მცნება იყო აღბეჭდილი, ორად გატეხილი ხის კიბე ეგდო. კიბესთან

გულწასული სქულიერი გამხლართულიყო. იქვე ეყარა, ლამპარი, ფუნჯი და გატეხილი ქოთანის თეთრი საღებავით. სქულიერს იმწამსვე გარსშემოერთყნენ ძაღლები და, როგორც კი გონს მოვიდა, სახლში შეიყვანეს. ვერავინ გაიგო, რა მოხდა. გარდა ბებერი ბენჯამენისა. მაგრამ მან არაფერი თქვა, მხოლოდ თავი გადააქვია.

რამდენიმე დღის შემდეგ კი მურიელმა, ბოსელზე წარწერილი მცნებების კითხვისას აღმოაჩინა, რომ კიდევ ერთი მცნება არ ხსომებია სწორად. კერძოდ, ახსოვდა, რომ მეხუთე მცნებაში ეწერა - „არც ერთმა ცხოველმა არ უნდა დალიოს ალკოჰოლი“, მაგრამ დაჰვიწყებოდა ბოლო ორი სიტყვა: „უზომო რაოდენობით“.

თავი IX

დამთავრდა თუ არა გამარჯვების ზეიმი, ცხოველები მეორე დღესვე წისქვილის აღდგენას შეუდგნენ. ბოქსერის გახლეჩილი ჩლიქის მორჩენას კარგა ხანი დასჭირდებოდა, მაგრამ მას ერთი დღის გამოტოვებაც კი არ სურდა. ღირსების შელახვად მიაჩნდა ვინმესთვის შეემჩნევიებინა, რომ რაიმე ტკიოდა. მხოლოდ ქლოუერს შესჩივლებდა ხოლმე სადამოობით, ფეხი საშინლად მაწუხებსო. ქლოუერი დაღეჭილი ბალახის საფენებს ადებდა ჭრილობაზე და ასე მკურნალობდა. იგი ბენჯამენტან ერთად ცდილობდა დაერწმუნებინა ბოქსერი, რომ ნაკლები დატვირთვით ემუშავა. „ცხენის ფილტვების გამძლეობასაც აქვს საზღვარი“, - ეტყოდა ხოლმე ქლოუერი ბოქსერს. მაგრამ ბოქსერს არაფრის გაგონება არ სურდა. „ერთადერთი ნატვრა მაქვს - იტყვოდა ხოლმე - პენსიაზე გასვლამდე მოვესწრო წისქვილის ამუშავებასო“.

თავდაპირველად, როდესაც ცხოველების ფერმის კანონები იქმნებოდა, საპენსიო ასაკად ცხენებისა და ღორებისათვის თორმეტი წელი დაწესდა, ძაღლებისათვის - ცხრა, ცხვრებისათვის - შვიდი, ქათმებისა და ბატკნებისათვის კი ხუთი წელი. ჯერ-ჯერობით არცერთი ცხოველი არ იყო გასული პენსიაზე, მაგრამ ბოლო ხანებში ამ საკითხზე სულ უფრო მეტს მსჯელობდნენ. გადაწყვიტეს, პატარა მდელო ბაღის ბოლოში ქერის დასათესად გამოეყენებინათ ასაკოვანი ცხოველებისათვის, როგორც ამბობდნენ, დიდი სამოვრის კუთხეში გამოყოფდნენ ადგილს და შემოლობავდნენ კიდევ. პენსიაზე გასული ცხოველები ყოველდღიურად მიიღებდნენ ხუთ პუნდ მარცვლეულს, ზამთრობით თხუტმეტ [უნდ თივას, ხოლო დღესასწაულებზე დამატებით სტაფილოს ან ვაშლს. ბოქსერს თორმეტი წელი მომავალი ზაფხულის ბოლოს უსრულდებოდა.

ამასობაში კი ცხოველების პირობები სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. ზამთარში ისევ საშინლად სუსხიანი დღეები დაიჭირა, საკვებმაც მნიშვნელოვნად იკლო. ღორებისა და ძაღლების გარდა კიდევ ერთხელ შეამცირეს ულუფა ყველასათვის.

„მკაცრი თანასწორობის დაცვა საკვების განაწილებაში ეწინააღმდეგებოდა ენიმალიზმის პრინციპებს“ - განაცხადა სქუილერმა. ყოველ შემთხვევაში, იგი საკმაოდ ადვილად უმტკიცებდა ცხოველებს, რომ სინამდვილეში ისინი არ განიცდიან საკვების ნაკლებობას, უბრალოდ ამჟამად აუცილებელი შეიქმნა ულუფათა გადანაწილება (სქუილერი ბოლო ხანებში გადანაწილებას იმახდა, არასოდეს დასცდებოდა „შემცირება“). „მაგრამ, - ამტკიცებდა იგი, - ჯოუნსის დროსთან შედარებით უზარმაზარ წინსვლას აქვს ადგილი“. მკივანა ხმით ჩაიკითხავდა ხოლმე ციფრებს და დეტალურად უსაბუთებდა ცხოველებს, რომ მათ მოეპოვებათ მეტი ქერი, მეტი თივა, მეტი ბოსტნეული, ვიდრე ჯოუნსის დროს ჰქონდათ, რომ ისინი ახლა ნაკლებს მუშაობენ, რომ სასმელი წყალი გაცილებით მაღალი ხარისხისა აქვთ, უფრო დიდხანს ცოცხლობენ, რომ ჩვილთა სიკვდილიანობამ საგრძნობლად იკლო, თავლებში თივის რაოდენობა გაზრდილია და რომ რწყილები ნაკლებს იკბინებიან. ცხოველები ცდილობდნენ ყველაფერი დაეჯერებინათ. კაცმა რომ თქვას აღარც ჯოუნსი ახსოვდათ და აღარც მაშინდელი ყოფა. ის კი, დანამდვილებით იცოდნენ, რომ ამჟამად გასაჭირში იყვნენ, რომ გამუდმებით შიოდათ და სციოდათ და, რომ თუ არ ეძინათ სულ მუშაობდნენ, თუმცა არც იმაში ეპარებოდათ ეჭვი, რომ უწინ უარესად ცხოვრობდნენ. გარდა ამისა, მაშინ მონები იყვნენ, ახლა კი თავისუფლები არიან, ეს კი ის უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი იყო, რომლის აღნიშვნაც არასოდეს ავიწყდებოდა სქუილერს.

ამ დროისათვის ცხოველების საზოგადოებას უამრავი ახალი მჭამელი შეემატა. შემოდგომაზე ოთხმა გოჭმა ერთდროულად ოცდაათოთხმეტი ჭრელ-ჭრელი გოჭი დაყარა და, ვინაიდან ნაპოლეონი ერთადერთი ტახტი იყო „ცხოველების ფერმაში“, მნელი წარმოსადგენი არ იყო ცხოველების წარმომავლობა. გამოცხადდა, რომ ახალშობილთათვის სკოლას ააშენებდნენ, როგორც კი სამშენებლო მასალას და ხეტყეს შეიძენდნენ. მანამდე კი მათი აღზრდა-განათლება სამზარეულოში პირადად ნაპოლეონის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. ფიზიკურ მომზადებას, სახლის წინ, ბაღში გადიოდნენ. თანატოლებთან თამაში ეკრძალებოდათ. სწორედ ამ დროისათვის წესად შემოვიდა, თუ რომელიმე ცხოველს გზაზე ღორი შემოხვდებოდა, ცხოველი განზე უნდა გამდგარიყო და გზა დაეთმო მისთვის. აგრეთვე, ყველა ღორს, წოდების განურჩევლად, კუდზე მწვანე ბაფთის ტარების უფლება მიეცა.

მართალია, „ცხოველების ფერმის“ მესვეურთათვის ეს წელი არც თუ წარუმატებლად დასრულდა, მაგრამ მეტად ჭირდა ფული. სკოლისათვის აგური, კირი და ქვიშა უნდა შეეძინათ. აგრეთვე აუცილებლად ხელახლა უნდა შეგროვილიყო თანხა წისქვილის მექანიზმისათვის. ამას ემატებოდა ნავთი და სანთლები საერთო საჭიროებისათვის, შაქარი პირადად ნაპოლეონისათვის (სხვა ღორებს შაქრის ჭამა ეკრძალებოდათ, რომ არ გასუქებულიყვნენ). შესაძენი იყო, აგრეთვე, ახალი ხელსაწყოები, ლურსმნები, თოკები, ნახშირი, მავთული, ჯართი, ძაღლებისათვის ბისკვიტი და სხვა. კარტოფილისა და თივის ნაწილი უკვე გაყიდული იყო, ხოლო გასაყიდი კვერცხის რაოდენობა კვირაში ექვსასამდე გაიზარდა. ასე, რომ ამ წელიწადს ქათმები იმდენ

ზუსტად წიწილას ჩეკავდნენ, რამდენიც საჭირო იყო, რომ არ გადაშენებულიყვნენ. დეკემბერში შემცირებული ულუფა კიდევ ერთხელ შემცირდა. თავლებში აიკრძალა ფარნების ანთება, რათა დაზოგილიყო ნავთი. მაგრამ უცნაური ის გახლავთ, რომ ღორებს არაფერი ეტყობოდათ გაჭირვებისა და წონაშიც დღითიდღე იმატებდნენ.

თებერვლის ერთ დღეს ჰაერი გაიჟღინთა თბილი, მადის აღმძვრელი სურნელით, რომელიც სამზარეულოს მხრიდან მოდიოდა. საქმე ისაა, რომ სამზარეულოს უკან ჯოუნსს აშენებული ჰქონდა ლუდის მოსადუღებელი პატარა ქარხანა, რომელიც თვითონ არასდროს გამოუყენებია. ცხოველები ხარბად ყნოსავდნენ ჰაერს და ერთი სული ჰქონდათ, გეგოთ, რისი სუნი იდგა ეზოში. ვიღაცამ თქვა, ეს ქერის სუნს წააგავსო. ზოგს კი იმედი გაუჩნდა, რომ პიურეს გვიმზადებენ ვახშმადო, მაგრამ მოლოდინმა ამაოდ ჩაიარა.

მომდევნო კვირას კი ცხოველებს გამოუცხადეს, რომ ამიერიდან მთელი ქერი ღორებისთვის გადაინახებოდა. ბაღის ბოლოში კიდევ დაითესათ ქერი. მალე ისიც შეიტყეს, რომ ღორებს ყოველდღიურად თითო-თითო ჭიქა ლუდი ეძლეოდათ, ნაპოლეონს კი მთელი ტოლჩა. ბელადისთვის ლუდი მუდამ ძვირფასი ჭურჭლით ინახებოდა.

ცხოველების გაჭირვებას ნაწილობრივ უმსუბუქებდა ის სიდიადე, რომლითაც ამჟამინდელი მათი ცხოვრება განსხვავდებოდა უწინდელისაგან. ახლანდელ ყოფას ამშვენებდა მეტი სიმღერა, გამოსვლები და დღესასწაულები. ნაპოლეონის განკარგულებით კვირაში ერთხელ ტარდებოდა ზეიმისმაგვარი ღონისძიება, რასაც „ნებაყოფილობით აღლუმს“ უწოდებდნენ და რომლითაც მათ ბრძოლებსა და მიღწევებს აღნიშნავდნენ.

განსაზღვრულ დროს ცხოველებს უნდა მიეტოვებინათ სამუშაო და სამხედრო ნაბიჯით, ჩაწალიკებული, წრე უნდა დაერტყათ „ცხოველების ფერმისათვის“. წინა რიგში ღორები მიდიოდნენ., შემდეგ ცხენები, ამათ ძროხები მიჰყვებოდნენ, ბოლოს კი - ცხვრები და ფრინველები. ფლანგზე ძაღლები მიაბიჯებდნენ. მსვლელობას შავი მამალი მიუძღვოდა. ბოქსერს და ქლოუერს ყოველთვის აღმართული ჰქონდათ ტრანსპარანტი, რომელზეც გამოსახული იყო ჩლიქი და რქა. ტრანსპარატზე ეწერა: „გაუმარჯოს ამხანაგ ნაპოლეონს“. მსვლელობა რომ დამთავრდებოდა იწყებოდა მინიმუსის მიერ ნაპოლეონის სადიდებლად შექმნილი პოემის დეკლამაცია. ხოლო შემდეგ სქულიერი საზოგადოებას კვების მრეწველობის დარგში ბოლო დროს მიღწეულ წარმატებებს აცნობდა. ყოველივე ეს საზეიმო გასროლით მთავრდებოდა. ყველაზე თავგამოდებული ქომაგები „ნებაყოფილობითი აღლუმებისა“ ცხვრები იყვნენ და თუ ვინმე დაიჩივლებდა (როდესაც ახლო-მახლო საეჭვო აავინ იყო), ყინვაში ამდენ ხანს დგომა დროის ფლანგვააო, ცხვრები აუცილებლად აჩუმებდნენ ომახიანი შემახილით: „ოთხი ფეხი კარგია, ორი - ცუდი“! მაგრამ ძირითადად მაინც ერთობოდნენ ცხოველები ამ დღესასწაულებზე. მათ ანუგეშებდათ კიდევ ერთხელ იმის გაგონება, რომ, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილად თავიანთი თავის ბატონ-

პატრონები იყვნენ და რომ საკუთარი თავისთვის შრომობდნენ. ასე, რომ ამ მთელი სიმღერების, რიტუალების, სქულიერის დავთრების, საზეიმო გასროლის, მამლის ყვილისა თუ დროშის ფრიალის წყალობით მათ ავიწყდებოდათ (ყოველ შემთხვევაში, გარკვეული დროით მაინც), რომ შიმშილით კუჭი უხმებოდათ.

აპრილში „ცხოველების ფერმა“ რესპუბლიკად გამოცხადდა და აუცილებელი შეიქმნა პრეზიდენტის არჩევა. კანდიდატი მხოლოდ ერთი იყო: ნაპოლეონი, რომელიც ერთხმად იქნა არჩეული. იმავე ღამეს ხმა დაირხა, რომ მიაგნეს ახალ მამხილებელ დოკუმენტს, რომელიც ასაბუთებდა კავშირს სნოუბოლსა და ჯოუნსს შორის. აღმოჩნდა, რომ სნოუბოლი არა მარტო სტრატეგიული ხრიკების საშუალებით ცდილობდა ცხოველების გაცრუებას „ბოსლის ბრძოლაში“, როგორც ეს აქამდე ეგონათ, არამედ აშკარად ჯოუნსის მხარეს იბრძოდა. ფაქტობრივად სნოუბოლი იყო ადამიანთა წინამძღოლი და სწორედ იგი გადმოვიდა იერიშზე სიტყვებით „გაუმარჯოს ადამიანთა მოდგმას“, ხოლო სნოუბოლის ჭრილობა ზურგზე, რომელიც ვიღაც-ვიღაცებს ჯერ კიდევ ჯიუტად ახსოვთ, მხოლოდ და მხოლოდ ნაპოლეონის კბილების ნაკვალევი იყო.

ზაფხულის შუა რიცხვებში „ცხოველების დასახლებაში“ მოულოდნელად კვლავ გამოჩნდა მოსე ყორანი, რომელიც რამდენიმე წელი არავის ენახა. თითქმის არ შეცვლილიყო, კვლავაც არ მუშაობდა და ადრინდელივით „შაქრის მთაზე“ ლაპარაკობდა. ჩამოჯდებოდა ხოლმე კუნძუზე, გაატყლამუნებდა ფრთებს და საათობით ემუსაიფებოდა ყველას, ვინც კი ყურს უგდებდა. „იქ, მეგობრებო, - პირქუშად დაიწყებდა ხოლმე და თავის დიდ შავ ნისკარტს ცისკენ გაიშვერდა, - აი, იქ, იმ შავი ღრუბლების მიღმა, მდებარეობს „შაქრის მთა“. ესაა ბედნიერი ქვეყანა, სადაც ჩვენნაირი ბეჩავნი საუკუნო სასუფეველს ჰპოვებენ!“ მოსე ამტკიცებდა, რომ ერთ-ერთი მისი ყველაზე მაღალი აფრენის დროს მან მიაღწია იმ ქვეყანას და საკუთარი თვალით ნახა სამყურების უკიდვანო მდებარეობები და ნამცხვრებითა და შაქრით დახუნძლული ბუჩქები. ბევრს სჯეროდა მისი ნათქვამი. ისინი თვლიდნენ, რომ რადგან ამქვეყნიურ ცხოვრებაში მათი ხვედრი შიმშილი და ჭაპანწყევტაა, განა სამართლიანი იქნებოდა, რომ სადღაც არსებულები უკეთესი ქვეყანა?

გაუგებარი იყო ღორების დამოკიდებულება მოსესადმი. სიტყვით კიდ ასცინოდნენ და აცხადებდნენ, რომ „შაქრის მშის“ ამბები მოსეს მონაჩმახიაო, მაგრამ ფერმაში დარჩენის უფლებას ძლევდნენ, მისგან მუშაობასაც არ მოითხოვდნენ და დღეში ერთ კათხა ლუდსაც ასმევდნენ.

ფეხის მორჩენის შემდეგ ბოქსერი არნახული შემართებით შეუდგა მუშაობას, თუმცა ამ წელიწადს სხვა ცხოველებიც უზომოდ მუშაობდნენ. ყოველდღიურ საქმესა და წისქვილის ხელახლა აშენებას მარტში გოჭების სკოლის მშენებლობაც დაემატა. ზოგჯერ აუტანელი იყო გრძელი სამუშაო დღეები და საკვების სიმცირე, მაგრამ ბოქსერი კვლავინდებურად წარბშეუხრელად მუშაობდა. ისე შრომობდა, რომ ვერ იტყვოდი ძელი ჯან-ლონე აღარ აქვსო. მხოლოდ გარეგნულად იყო ოდნავ მოტეხილი:

უწინდელივით აღარ უბზინავდა ბეწვი და ძლიერ გავაზე კანი რამდენადმე დაუნაოჭდა. ყველა ამბობდა, ბოქსერი უმაღლესი გამოჯანმრთელებია, როგორც კი გაზაფხულის ბალახი თავს ამოყოფსო. მაგრამ ბოქსერს გაზაფხულის მოსვლამაც ვერ შემატა წონა. ზოგჯერ, როდესაც კარიერისაკენ მიმავალი კუნთებდაძაბული ეჭიდებოდა უზარმაზარ ლოდს, ადვილად დასანახი იყო, რომ მხოლოდ თავდადებული მუშაობის წადილი აჩერებდა ფეხზე. ასეთ დროს, ხმაწასულს, მხოლოდ ტუჩების მოძრაობაზედა ეტყობოდა, რომ თავის ლოზუნგს „ვიმუშავებ უფრო მეტს“ ჩურჩულებდა. ქლოუერმა და ბენჯამენმა კიდევ ერთხელ გააფრთხილეს იგი ჯანმრთელობისათვის მიეხედა, მაგრამ ბოქსერი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ შეგონებას. ახლოვდებოდა მისი მეთორმეტე დაბადების დღე. მას არაფრისთვის არ ეცალა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ პენსიაზე გასვლამდე მოესწრო წისქვილისათვის საჭირო ქვების შეგროვება.

ზაფხულის ერთ საღამოს ხმა გავარდა, რომ ბოქსერი, რომელიც მარტო წასულიყო ლოდების სათრევად, რაღაც შემთხვეოდა. ჩანდა, რაღაც მართლა მომხდარიყო. ცოტა ხანში ორმა მტრედმა ამბავი მოიტანა: „ბოქსერი წაიქცა, გვერდზე გდია და ვეღარ დგებაო!“

ცხოველები გავარდნენ ბორცვისაკენ, სადაც წისქვილი იდგა. ბოქსერი ურმის ხელნებს შორის ეგდო. კისერი დაჭიმვოდა და თავს ვერ ამოდრავებდა. გვერდებდაოფლილი, დაბინდული მზერით იცქირებოდა და პირიდან სისხლის წვრილი ნაკადი ჩამოსდიოდა.

ქლოურეი მის გვერდზე მუხლებზე დაეცა. „ბოქსერ! რა გჭირს, როგორა ხარ?!“ - ჩასძახა აღელვებულმა.

„ფილტვებმა მიღალატა, - სუსტი ხმით უთხრა ბოქსერმა, - მაგრამ არაუშავს... დარწმუნებული ვარ, უკვე უჩემოდ შეძლებთ წისქვილის დამთავრებას. ქვები საკმაოდ მოვაგროვე... ასეა თუ ისე, ერთ თვეზე მეტი მაინც ვეღარ ვიმუშავებდი. მართალი გითხრა, ერთი სული მქონდა, სანამ პენსიაზე გავიდოდი. ჰოდა, ამასობაში თუ ბენჯამენიც გაუშვეს პენსიაში, მისმა დრომაც ხომ მოატანა, ერთად ვიქნებით“.

„სასწრაფოდ უნდა ვიღონოთ რამე, - იყვირა ქლოურემა, - ახლავე გაიქცეს ვინმე და სქუილერს ყოველივე შეატყობინოს“.

ცხოველები გავარდნენ სახლისკენ რათამომხდარი სქუილერისათვის შეეტყობინებინათ. დარჩნენ მხოლოდ ქლოურეი და ბენჯამენი, რომელიც ბოქსერის გვერდით იწვა და თავისი გრძელი კუდით უხმოდ იცავდა ბუზებისაგან. თხუთმეტ წუთში სქუილერი გამოჩნდა, ზედმიწევნით შეშფოთებული და თანამგრძნობი გამომეტყველება ჰქონდა. თქვა, ამხანაგი ნაპოლეონი დიდად შეაწუხა უერთგულესი მუშაკის ავადმყოფობამ და უკვე თადარიგიც დაეჭირა ბოქსერის უილინგდონის საავადმყოფოში მოსათავსებლადო. ამის გაგონებაზე ცხოველები შეცბენ. მოლლისა

და სწოებოლის გარდა არც ერთ ცხოველს ფეხი არ გადაუდგამს „ცხოველების ფერმიდან“ და ახლა ავადმყოფი მეგობრის ადამიანების ხელში ჩაგდება წარმოდგენილად მოეჩვენათ. მაგრამ სქუილერმა ადვილად დაარწმუნა ისინი, რომ ქირურგი-ვეტერინარი გაცილებით უკეთ უმკურნალებდა ბოქსერს, ვიდრე ამას ვინმე შეძლებდა „ცხოველთა ფერმაში“. ნახევარი საათის შემდეგ ბოქსერი მოეგო გონს. იგი წამოაყენეს და კოჭლა-კოჭლაობით მიიყვანეს თავლაში, სდაც ქლოუერსა და ბენჯამენს წინასწარ ჩალის სქელი საგები მოემზადებინათ.

უკვე ორი დღე იყო, რაც ბოქსერი თავლაში იმყოფებოდა. ღორებმა დიდი ბოთლით ვარდისფერი წამალი გამოუგზავნეს. იგი აბაზანაში ჩამოკიდებულ აფთიაქის ყუთში აღმოეჩინათ. წაალი ქლოუერს ჰქონდა ჩაბარებული და ავადმყოფს დღეში ორჯერ ასმევდა ჭამის შემდეგ. სადამოებს ბოქსერიც და ბენჯამენიც ბოქსერის თავლაში ატარებდნენ - ქლოუერი წამოწოლილი ემუსაიფებოდა, ბენჯამენი კი ბუზებს უგერიებდა. ბოქსერი მათ გამოუტყდა, რომ რაც მოხდა, დიდად არ აწუხებდა - თუ გამოჯანმრთელდებოდა, სიკვდილამდე სამი წელი მაინც ჰქონდა დარჩენილი და მოუთმენლად ელოდა იმ ბედნიერ დროს, უდრტვინველად რომ გაატარებდა პენსიონერისათვის გამოყოფილ სამოვარზე. მას განზრახული ჰქონდა ეს დარჩენილი დრო ანბანის დარჩენილი ასოების შესწავლისთვის დაეთმო.

ბენჯამენიც და ქლოუერიც სამუშაოს დამთავრების შემდეგ მიდიოდნენ ხოლმე ბოქსერთან, ფურგონი კი, რომლითაც ბოქსერი უილგდონის საავადმყოფოში უნდა წაეყვანათ, შუადღისას ჩამოვიდა. ცხოველები ამ დროს ღორებისზედამხედველობით მინდორში მუშაობდნენ. უცებ დაინახეს, როგორ მოჰქროდათ მათკენ ბენჯამენი ყვირილით. პირველად ხედავდნენ ბენჯამენს ესოდენ აღელვებულსა და ოთხით გამოჭენებულს.

„ჩქარა! ჩქარა! - ღრიალებდა იგი, - ახლავე წამოდით! ბოქსერი მიჰყავთ!“
გაოგნებულმა ცხოველებმა დაყარეს ყველაფერი და ისე, ღორების ნებართვას არც კი დალოდებიან, გავარდნენ ეზოსკენ. მართლაც, შუა ეზოში წარწერით აჭრელებული უზარმაზარი ორცხენიანი ფურგონი წამოჭიმულიყო. კოფოზე უსიამოვნო გარეგნობის კაცი იჯდა, თავზე დაბალი ცილინდრი ეხურა. ბოქსერის თავლა ცარიელი იყო. ცხოველები ფურგონს შემოეხვივნენ. „ნახვამდის, ბოქსერ! - ერთხმად ყვიროდნენ ისინი, - ნახვამდის!“

„ბრიყვებო! ბრიყვებო!“ - გაჰყვიროდა ბენჯამენი. იგი ფურგონის ირგვლივ დახტოდა და პატარა ჩლიქებს მიწაზე აბაკუნებდა. „სულელებო! ვერ ხვდებით რა აწერია?“

ცხოველები შეჩერდნენ და უცებ სიჩუმემ დაისადგურა. მურიელმა დაიწყო ასო-ასო კითხვა, მაგრამ ბენჯამენმა გვერდზე გასწია და სამარისებულ სიჩუმეში გაისმა მისი ხმა“

„აღფრედ სინოდსი. ტყავისმხდელი. უილინგდონი“. გესმით, რას ნიშნავს ეს? ბოქსერი სასაკლაოზე მიჰყავთ!“

შემრწუნებულ ცხოველებს ყვირილი აღმოხდათ. ამ დროს მეეტლემ ფურგონში შებმულ ცხენებს მათრახი გადაუტყლაშუნა და ისინი ჩორთით დაიძრნენ. ცხოველები ღრიალით გამოეკიდნენ. ქლოუერიც ცდილობდა წინ გავარდნილიყო. ფურგონმა სისწრაფეს უმატა. ქლოუერმა მთელი ძალ-ღონე მოიკრიფა და თხით გაჭენდა.

„ბოქსერ! - ჰკიოდა იგი, - ბოქსერ!“

ამ დროს ფურგონის უკან მოთავსებულ პატარა ფანჯარაში, თითქოს ქლოუერის ყვირილი გაიგონაო, ბოქსერის სახე გამოჩნდა.

„ბოქსერ! - შემზარავი ხმით ჰყვიროდა ქლოუერი, - ბოქსერ! გადმოხტი! ჩქარა გადმოხტი! დასაკლავად მიჰყავხართ!“

ქლოუერს დანარჩენებიც შეუერთდნენ „გადმოხტი, ბოქსერ! გადმოხტი! ჩქარა გადმოხტი!“ მაგრამ ფურგონი უკვე დიდი სისწრაფით მიჰქროდა და სულ უფრო და უფრო შორდებოდა მათ. ვერავინ ვერ მიხვდა ესმოდა თუ არა ბოქსერს, რას უყვიროდა ქლოუერი, რაღაც წამს მისი სახე მოსცილებოდა ფანჯარას და ფურგონში წიხლების გამაყრუებელი რახარუხი ატყდა. ბოქსერი კარის გამომტრევას ცდილობდა, მაგრამ ამოდ! მალე ძალა გამოეღია. დარტყმის ხმამ თანდათან იკლო და ცოტა ხანში მთლიანად მიწყდა. სასოწარკვეთილმა ცხოველებმა ახლა ფურგონში შებმულ ცხოველებს დაუწყეს ვედრება: „მეგობრებო! ნუ წაიყვანთ თქვენს მოძმეს სასაკლაოზე!“ მაგრამ უგუნური ცხოველები საერთოდ ვერ ხვდებოდნენ, რა ხდებოდა. მათ ყურები უკან გადაჭიმეს და უფრო სწრაფად გაქანდნენ. ბოქსერის სახე მეტად აღარ გამოჩენილა ფანჯარაში. უკვე ძალიან დაგვიანებით ვიღაცამ მოიფიქრა, წინიდან შემოვუაროთ და გზაზე მიმავალი ჭიშკარი ჩავკეტოთო, მაგრამ ზუსტად ამ დროს ფურგონი ჭიშკარს გასცდა და თვალს მიეფარა. ამისშემდეგ ბოქსერი აღარავიცს უნახავს.

სამი დღის შემდეგ ცხოველებს აცნობეს, რომ იგი უილინგდონის საავადმყოფოში გარდაიცვალა, თუმცა ყველაფერი გაკეთდა, რაც კი შეიძლებოდა ცხენისთვის გაკეთებულიყო. ეს ამბავი სქუილერმა შეატყობინა ცხოველებს. მისი ტქმით, თვითონ იყო ბოქსერის უკანასკნელი წუთების მომსწრე.

„ეს უაღრესად მძიმე სანახაობა იყო, - ჰქყვებოდა სქუილერი და თან ფლოქვით ცრემლს იწმენდდა. - ბოლო წუთამდე არ მოვცილებულვარ. უკანასკნელ წამს დასუსტებულმა ჩურჩულით მითხრა ყურში, რომ მისი მისი ერთადერთი ნატვრა იყო წისქვილის დამთავრებას მოსწრებოდა. არ შედრკეთ ამხანაგებო, რევოლუციის სახელით სულ წინ უნდა იაროთ! გაუმარჯოს „ცხოველების ფერმას!“ გაუმარჯოს ამხანაგ ნაპოლეონს! ნაპოლეონი ყოველთვის მართალია! ასეთი იყო მისი უკანასკნელი სიტყვები!.

აქ სქუილერს თითქოს ნირი ეცვალა. მან დაეჭვებული მზერა სტყორცნა ირგვლივ მყოფთ და ცოტა ხნით გაყურდა. შემდეგ კვლავ წამოიწყო: „ყური მოგვარი ჭორს, სქუილერის ბინძურ ჭორს, თითქოს ვიღაც-ვიღაცაებს შეუნიშნავთ, რომ ფურგონს, რომლითაც ბოქსერი გაგზავნეს „სასაკლაო“ ეწერა. თითქმის დაუჯერებელია, რომ რომელიმე ცხოველი შესაძლებელია ასეთი ყეყეჩი იყოს, - შესძახა აღშფოთებულმა, თან კუდი გააქიცინა, და ფეხიდან ფეხზე გადახტა, - განა ამაზე უკეთ არ იცნობენ ძვირფას ამხანაგ ნაპოლეონს? ეს ამბავი ერთობ ადვილად აიხსნება. ფურგონი ადრე ტყავისმხდელს ეკუთვნოდა, ხოლო შემდეგ ვეტერინარმა იყიდა და ჯერ არ ჰქონდა ძველი წარწერა გადაღებული. აი, რამ წარმოშვა ეს გაუგებრობა“.

ცხოველებს გულზე მოეშვათ, ხოლო როდესაც სქუილერმა ცოცხლად და დაწვრილებით აღწერა ბოქსერის სასიკვდილო სასთუმალთან გატარებული დღეები, კერძოდ, რა ყურადღებით იყო იგი გარშემორტყმული, რა ძვირფას წამლებს ასმევდნენ, რომლებშიც ამხანაგი ნაპოლეონი უყოყმანოდ იხდიდა ნებისმიერ თანხას, ცხოველებს უკანასკნელი ეჭვებიც გაუქარწყლდათ, ხოლო მეგობრის სიკვდილით გამოწვეული სევდა ოდნავ გაუნელდათ იმის შეგნებით, რომ სიკვდილი მაინც ბედნიერი ერგო წილად მათ მეგობარს.

თავად ნაპოლეონი მომდევნო კვირას გამოჩნდა კრებაზე და ბოქსერის ხსოვნის საპატივსაცემოდ საზეიმო სიტყვა წარმოსთქვა: „სამწუხაროდ, ჩვენი ძვირფასი მეგობრის ნეშტის გადმოსვენება მთელი რიგი სირთულის გამო ვერ ხერხდება, - თქვა მან, - მაგარმ უკვე შევუკვეთეთ დიდი გვირგვინი ჩენი ეზოს დაფნის ფოთლებისგან და გადავაგზავნეთ მის საფლავზე დასადებად, ხოლო რამოდენიმე დღეში ქელეხსაც გადავიხდით“. ნაპოლეონმა თავისი სიტყვა ბოქსერის საყვარელი გამოთქმით დაასრულა: „ვიმუშავე უფრო მეტს“ და „ამხანაგი ნაპოლეონი ყოველთვის მართალია“. ეს სიტყვები თითოეულმა თქვენგანმა გულის ფიცარზე უნდა დაიწეროს და გაითვასოსო.

ქელეხის დღეს უილინგდონიდან სასურსათო ფურგონით დიდი ხის კალათა ჩამოიტანეს და ღორებს გადასცეს. ამავე ღამეს ღორების სახლიდან ხმამაღალი ღრიანცელის და სიმღერის ხმა გამოდიოდა, რასაც საშინელი აყალ-მაყალი მოჰყვა. ყოველივე ეს თერთმეტ საათზე ჭიქებისმტრევით დასრულდა. მომდევნო დღეს თითქმის შუადღემდე ღორებს მკვდრებივით ეძინათ. ცხოველებში კი ხმა დაირხა, რაღაც-რაღაც გზებით ღორებმა ფული იშოვეს და ისევ ბლომად შეიძინესო ვისკი.

გადიოდა წლები. გაზაფხულს ზაფხული მოსდევდა, შემოდგომას ზამთარი. ცხოველთა რიგები დღითიდღე თხელდებოდა. მოკვდა მურიელი. ბლუბელი, ჯესი და ფინჩერიც აღარ იყვნენ ამ ქვეყნად. აღარც ჯოუნსი იყო ცოცხალი. იგი სადღაც გადაკარგულში მემთვრალეთა თავშესაფარში გარდაიცვალა. დავიწყებას მიეცა სწოუბოლი. რამდენიმე ახლობლის გარდა აღარავის ახსოვდა ბოქსერი. რევოლუციამდელი წლები ქლოუერის, ბენჯამენის მოსე ყორნისა და რამდენიმე ღორის მეხსიერებასდა შემორჩენოდა. ქლოუერი უკვე ბებერი მსუქანი ფაშატი იყო. გახევებული სახსრებითა და დაბინდებული თვალებით. ორი წელი გადასცილებოდა საპენსიო ასაკს და მაინც განაგრძობდა მუშაობას. ფაქტობრივად პენსიაზე გასვლა აღარავის ჰღირსებია, ხოლო ასაკს გადაცილებული ცხოველებისათვის განკუთვნილ მდელიოზე ლაპარაკი კარგა ხნის წინ შეწყდა. ნაპოლეონი ამ დროისათვის უზარმაზარ ქოსმენად ქცეულიყო. სქულიერი ისე იყო გასუქებული, რომ თვალებიდან ძვლივს იხედებოდა. მხოლოდ ბენჯამენს არ ეტყობოდა დიდი ცვლილება, ეგაა, ოდნავ განაცრისფრდა და ბოქსერის სიკვდილის შემდეგ პირქუში და სიტყვამუნწი გახდა.

„ცხოველების ფერმას“ ბევრი ახალი წევრი შეემატა, თუმცა ნამატი არც ისე დიდი იყო, როგორც წინა წლებში მოელოდნენ. ახალი თაობისათვის სიტყვა „რევოლუცია“ წარმოადგენდა ბუნდოვან წარსულს, რომლის ამბავიც ზეპირად გადმოეცემოდა თაობიდან თაობას, ხოლო ახლადჩამოყვანილ ცხოველებს საერთოდ არაფერი სმენოდათ მის შესახებ. „ცხოველების ფერმას“ ამჟამად ქლოუერის გარდა სამი ცხენი ჰყავდა, რომლებიც პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით და ერთგულებით გამოირჩეოდნენ, მაგრამ სამივე ნამეტარი ბრიყვი იყო. მაგალითად, ვერც ერთმა ვერ აითვისა ანბანი და, თუმცა ყურადღებით უსმენდნენ ხოლმე ყველაფერს, რასაც რევოლუციასა და ენიმალიზმის ისტორიაზე უყვებოდნენ (განსაკუთრებით ქლოუერისა სჯეროდათ, რომელიც თითქმის დედასავით უყვარდათ), ერთობ საეჭვოა, რომ რაიმე გაეგებოდათ ამ ამბებისა.

„ცხოველების ფერმა“ ახლა უფრო დოვლათიანი და უკეთ ორგანიზებული იყო. მას შეემატა ორი დიდი მინდორი, რომლებიც ნაპოლეონმა ფილქინგტონისაგან იყიდა. როგორც იქნა წარმატებით დამთავრდა წისქვილის მშენებლობა. გარდა ამისა, ცხოველებს უკვე საკუთარი საცეხველი და ზვინშიდიც ჰქონდათ. აშენდა ბევრი ახალი შენობა. უიმფერმა თავისთვის ეტლიც შეიძინა, ხოლო წისქვილი, რომელიც თავდაპირველად ელსადგურადაც იყო ჩაფიქრებული, მართალია ელექტროსადენის წყაროდ არ გამოდგა, მაგრამ მარცვლეულის საფრქვადად ხმარობდნენ და კარგ შემოსავალსაც იღებდნენ. „ელექტროენერჯის წყაროდ მეორე წისქვილი გადაიქცევა“, - გამოუცხადეს ცხოველებს. მისი გამალებული მშენებლობა დაწყებული იყო კიდევ, ხოლო იმ ფუფუნებაზე, რომელზეც სწოუბოლი ელაპარაკებოდა ოდესღაც ცხოველებს (განათებულ თავლაზე, ცხელ წყალზე, კვირაში სამჯერ დასვენებაზე), აღარც კი ოცნებობდა ვინმე. ნაპოლეონმა ასეთი იდეები ენიმალიზმის

არსისათვის შეუფერებლად გამოაცხადა. „ჭეშმარიტი ბედნიერება მდგომარეობს ბევრ შრომასა და მოკრემალეზულ ყოფაში“.

ასეა თუ ისე, „ცხოველების ფერმა“ მდიდრედებოდა, თუმცა ეს გამდიდრება არანაირად არ შეხებია მის წევრებს, თუ, რა თქმა უნდა, ღორებსა და ძაღლებს არ მივიღებთ მხედველობაში. შესაძლოა, ამის წყალობითაც იყოს, რომ ეს უკანასკნელნი ასე მომრავლდნენ. თუმცა, ვერც იმას იტყვოდი, რომ ისინი არაფერს აკეთებდნენ. „რესპუბლიკის ხელმძღვანელობა და ორგანიზაცია დაუსრულებელ შრომას მოითხოვს, - არ ბეზრდებოდა ერთსა და იმავეს გამეორება სქუილერს, - ამ სამუშაოს უდიდესი ნაწილი ისეთი ხასიათისაა, რომ სხვა ცხოველები, თავიანთი უმეცრების გამო, ვერც მოაბამენ თავს. მაგალითად, - დასძენდა იგი, - დიდ ძალისხმევას მოითხოვს ისეთი რთული საქმეების მოგვარება, როგორცაა დოსიეს შედგენა, ოქმების წარმოება, მოხსენებითი ბარათების წერა. ამისათვის უზარმაზარი ფურცლები უნდა დაიფაროს მჭიდრო ნაწერით, ხოლო მათი შევსების შემდეგ თითოეული მათგანი ღუმელში უნდა დაიწვას. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის კეთილდღეობისათვის“, - დაასკვნოდა სქუილერი. უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე არც ღორები და არც ძაღლები არანაირ საკვებს არ აწარმოებდნენ, არა და, ბლომად კი იყვნენ და მადაც ყოველთვის კარგი ჰქონდათ.

დანარჩენი ცხოველები ძველებურად ცხოვრობდნენ, კვლავაც მშვირები იყვნენ, ჩალის საგებზე ეძინათ, ისევ წყაროს წყალს სვამდნენ, დღედაღამ შრომობდნენ, ზამთარში სიცივე აწუხებდათ, ზაფხულში - რწყილები. ზოგჯერ მოხუცები გონებას ძაბავდნენ, რათა გაეხსენებინათ რევოლუციის პირველი წლები, ჯოუნსი რომ გააძევეს, და შეედარებინათ, მაინც როდის იყო ცხოვრება უკეთესი, მაშინ თუ ახლა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. ვერაფერს იხსენებდნენ და ამდენად ახლანდელ ცხოვრებასაც ვერაფერს ადარებდნენ, გარდა ციფრებით გავსებული სქუილერის დავთრებისა, რომელთა მიხედვითაც მათი ცხოვრება სულ უფრო და უფრო უმჯობესდებოდა. ასე რომ, ეს პრობლემა გადაუწყვეტელი რჩებოდათ; მით უმეტეს, რომ ასეთ რამეებზე საფიქრელად დროც არ ჰქონდათ. მხოლოდ ბენჯამინი ამტკიცებდა, რომ ახსოვდა თავისი ცხოვრების ყოველი წვრილმანი და რომ არაფერი არასდროს არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს ან ბევრად უკეთ, ან ბევრად უარასად. „შიმშილი, გაჭირვება და გულგატეხილობა ცხოვრების უცვლელ კანონებს წარმოადგენდნენ“, - ამბობდა იგი.

და მაინც ცხოველები არასდროს კარგავდნენ იმედს. უფრო მეტიც, ერთი წამითაც არ დაუკარგავთ ღირსებისა და გამორჩეულობის შეგრძნება, რომ ცხოველების რესპუბლიკის მოქალაქეები არიან. მათი რესპუბლიკა ხომ ერთადერთი ადგილი იყო, რომლის ბატონ-პატრონებიც თვითონ ცხოველები იყვნენ. ყოველთვის როდესაც საზეიმო გასროლის ხმა ესმოდათ და მწვანედ მოფრიალე დროშას შეჰყურებდნენ, გული დაუშრეტელი სიამაყის გრძნობით ევსებოდათ; ასეთ დროს ლაპარაკი წარსულის გამირულ დღეებზე ჩამოვარდებოდა ხოლმე: როგორ გააძევეს ჯოუნსი,

როგორ დაიწერა შვიდი მცნება. იხსენებდნენ განთქმულ ბრძოლებს, იმას, თუ რა კრახით დასრულდა ეს ბრძოლები ადამიანებისათვის. ყველა ძველი იმედი ჯერ კიდევ ღვიოდა მათ გულში. ჯერ კიდევ სწამდათ, რომ ჯერ კიდევ იარსებებდა მეიჯერის მიერ ნაწინასწარმეტყველები ცხოველების რესპუბლიკა, რომლის მწვანე მინდორზე ვერცერთი ადამიანი ვერ ეღირსებოდა ფეხის დადგმას. ეს აუცილებლად იქნებოდა. შეიძლება დღეს და ხვალ არა, შეიძლება თვითონ ვერ მოსწრებოდნენ ამას, მაგრამ ეს რომ ნამდვილად მოხდებოდა, ამაში ეჭვი არავისეპარებოდა. ეს კი არა, აქა-იქ „ინგლისის ცხოველებსაც“ წაიმღერებდნენ ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, ცოდნით - ყველამ იცოდა ეს ჰიმნი, თუმცა ხმამაღლა ვერ ბედავდნენ ემღერათ. კი, ნამდვილად მძიმე ცხოვრება ჰქონდათ და არც ერთს არ აუხდა ოცნება, მაგრამ სხვა ცხოველებს მაინც ხომ არ ჰგავდნენ. კი, ბატონო, შიმშილობდნენ, ბევრს მუშაობდნენ, მაგრამ, ასეა თუ ისე, თუ მუშაობდნენ თავისთვის და არა სხვისთვის და არც ვალდებულნი იყვნენ, ადამიანთა მოდგმა ერჩინათ. ორფეხა არსებები მათში არ ერია და არავის მიმათავდნენ „ბატონობით“, ყველა ცხოველი თანასწორუფლებიანი იყო.

ზაფხულის ერთ დილას სქუილერმა ცხვრებს უბრძანა, მას გაჰყოლოდნენ, და გაიყვანა ისინი კორდზე, სადაც ბლომად იყო ახლადამწვანებული არყის ხეები. ცხვრები, იქ სქუილერის ზედამხედველობით მთელი დღე ფოთლებს შეექცეოდნენ. სქუილერი სადამოს დაბრუნდა შინ, ხოლო ცხვრებს უთხრა, იქვე დარჩენილიყვნენ, მით უმეტეს ამინდიც ხელს უწყობდა, თბილოდა. ასე გაგრძელდა ერთი კვირა. ამ ხნის განმავლობაში ცხვრები თვალთ არაის უნახავს, გარდა სქუილერისა, რომელიც თითქმის მთელ დროს მათთან ერთად ატარებდა. ცხოველებს ეუბნებოდა, ახალ სიმღერას ვასწავლი ცხვრებს და ამისათვის მშვიდი პირობები მჭირდებაო.

ეს ამბავი ცხვრების დაბრუნებას დაემთხვა.

საამური სადამო იყო. ცხოველები სამუშაოდან სადგომისაკენ მიემზებოდნენ, როცა ცხენის შეშინებული ჭიხვინი შემოესმათ. ისინი შედგნენ - ქლოუერის ხმას ჰგავდა. ჭიხვინი განმეორდა და ყველანი ეზოსკენ გავარდნენ. ეზომ უკანა ფეხებზე შემდგარი სეირნობდა ღორი, რომელსაც გაოგნებული ქლოუერი მისჩერებოდა. ეს ღორი სქუილერი გახლდათ. მართალია იგი ცოტა მოუხერხებლად, თითქოს ამგვარ მდგომარეობაში სხეულის ზიდვა უჭირსო, მაგრამ საკმაოდ მტკიცე ნაბიჯით გარს უვლიდა ეზოს. ერთი წუთიც არ გასულა, რომ სახლიდან მწკრივში ჩაწყობილი დანარჩენი ღორებიც გამოლაგდნენ. ყველა უკანა ფეხებზე იდგა! ზოგს საკმაოდ ადვილადგამოსდიოდა ეს, ზოგს უფრო უჭირდა. ზოგმა ოდნავ წაიფორთხილა კიდევ და, ალბათ, ერჩინათ, ჯერ ხელჯობი ეხმარათ, მაგრამ არსებითად ღორები წარმატებით ართმევდნენ თავს სირთულეს. უცებ ძაღლებმა ატეხეს ყეფა, შავმა მამამა დაიყვილა და სახლიდან წელში მეფურად გამართული თავად იგი - ნაპოლეონი - გამობრძანდა. ფლოქში მათრახმომარჯვებულმა მედიდურად მიმოავლო თვალი იქაურობას. იგი ძაღლებით იყო გარშემორტყმული.

სამარისებული სიჩუმე იდგა. გაოგნებული, შეძრწუნებული ცხოველები ერთად შექუჩულიყვნენ. თითქოს თავზე ცა ჩამოემხოთო, გულშემოყრულნი მისჩერებოდნენ ორ ფეხზე მოსეირნე ღორებს.

როგორც კი პირველმა ელდამ გადაუარათ, მიუხედავად შიშისა და წლების განმავლობაში გამომუშავებული ჩვევისა, არაფერზე გამოეთქვათ უკმაყოფილება და თავიანთი აზრი, ცხოველები პროტესტის გამოხატვის ჟინმა შეიპყრო. მაგრამ ზუსტად ამ დროს ცხვრებმა იბღავლეს: „ოთხი ფეხი კარგია, ორი - უკეთესი!“ ბღავილმა ხუთ წუთს გასტანა, ხოლო როდესაც ცხვრები ჩაჩუმდნენ, რაიმეს თქმას უკვე აზრი აღარ ჰქონდა, ვინაიდან უკვე ამასობაში ღორებიც გაუჩინარდნენ.

ბენჯამენმა იგრძნო, როგორ შეეხო ვიღაც დრუნჩით. მოიხედა და ქლოუერი დაინახა, რომლის ბებერ თვალებს მთლიანად გადაჰკროდა ლიბრი. მან ფრთხილად მოჰქაჩა ბენჯამენს ფაფარზე და ბოსლისკენ წაიყვანა. ერთი-ორი წუთი ისინი გაშტერებული მისჩერებოდნენ ბოსლის გაფისულ კედელს.

„სულ ვეღარ ვხედავ, - სთქვა ბოლოს ქლოუერმა - არა, როდესაც კარგად ვხედავდით, არც მაშინ მეხერხებოდა კითხვა, მაგრამ რატომღაც ჩემი ბრუტიანი თვალებით მეჩვენება, რომ კედელი სხვანაირად გამოიყურება... ადგილზეა ყველა წარწერა, ბენჯამენ?“

ცხოვრებაში ერთადერთხელ ბენჯამენმა დაარღვია წესი და ქლოუერის წარწერა წაიკითხა. მხოლოდ ერთი მცნებაღა იყო დარჩენილი კედელზე:

„ყველა ცხოველი თანასწორია, მაგრამ ზოგიერთი უფრო თანასწორია“.

ამის შემდეგ აღარავის გაჰკვირვებია, მეორე დღეს ღორები სამუშაოზე წვეპლებით რომ გამოცხადდნენ სამეთვალყურეოდ. აღარც ის გაჰკვირვებიათ, რომ მათ რადიომიმღებები შეიძინეს, რომ ტელეფონის გაყვანას აპირებდნენ და რომ „ჯონ ბული“, „თიბითი“ და „დეილი მირორი“ გამოიწერეს. აღარს იმას გამოუწვევია გაოცება, რომ ბაღში პირშუ ჩიბუხგაჩრილი ნაპოლეონი იხილეს და რომ ღორებმა ბ-ნი ჯოუნსის კარადიდან ტანსაცმელი გადმოიღეს და მოირგეს. ნაპოლეონი შავ პიკაკში, ტყავის გამაშებსა და ბრიჯებში გამოეწყო, ხოლო მისი გულისწორს ქ-ნი ჯოუნსის სიფრიფანა აბრეშუმისაგან შეკერილი გამოსასვლელი კაბა ეცვა.

ერთი კვირა არ გასულა, რომ ეზოსთან რამდენიმე ეტლი გაჩერდა, საიდანაც მეზობელი ფერმერები გადმობრძანდნენ. დელეგაცია ნაპოლეონის მიერ გახლდათ მოწვეული „ცხოველების ფერმის“ დასათვალიერებლად. ფერმერებმა ყოველი კუთხე-კუნჭული მოიარეს, გულდასმით დაათვალიერეს ყველაფერი და აღფრთოვანებულები დარჩნენ ნანახით. განსაკუთრებული აღტაცება წისქვილმა გამოიწვია. სტუმრებმა ცხოველები იმ დროს მოინახულეს, როდესაც ეს უკანასკნელი ბოსტანს მარგლავდნენ. თავჩაღუნული ბეჯითად მუშაობდნენ და ვეღარ

გარკვეულიყვნენ, ვისი უფრო უნდა შინებოდათ, - ღორებისა თუ სტუმრად მოსული ადამიანების.

სადამოს ღორების სახლიდან ხორხოცისა და სიმღერის ხმა ისოდა. ამ ღრიანცელმა უცნაური ინტერესი აღუძრა ცხოველებს; ნეტა რა ხდებდა ისეთი, რომ ცხოველები და ადამიანები ერთმანეთს თანაბარ პირობებში ხვდებიანო. ჩუმად გამოვიდნენ სადგომებიდან და სახლს მიეპარნენ. ბალთან ერთი წამით შეყოვნდნენ. ვერავინ ბედავდა ჭიშკარში შესვლას. ბოლოს ქლოუერმა ითავა და პირველმა გადადგა ნაბიჯი. დანარჩენებიც შეჰყვნენ და ფეხაკრეფით მიადნენ სასტუმრო ოთახის ფანჯრებს. ოთახში გრძელი მაგიდის ირგვლივ ექვსი ფერმერი და ექვსი ყველაზე გამოჩენილი ღორი იჯდა, ხოლო თავად ნაპოლეონს სუფრის თავში გამორჩეული ადგილი ეკავა. ღორებს, როგორც ემჩნეოდათ, სულ აღარ უჭირდათ სკამებზე ჯდომა. საზოგადოება კარტის თამაშით იყო გართული. მაგრამ დროებით, უთუოდ სადღეგრძელოს წარმოსათქმელად, თამაში შეწყვიტეს. დიდი გრაფინი ჩამოატარეს და ტოლჩები შეავსეს. ფანჯრიდან მომზირალი გაოგნებული სახეები, რა თქმა უნდა, არავის შეუმჩნევია. ტოლჩით ხელში ფილქინგტონი წამოდგა. ვიდრე სასმისს შეავსებდა, ერთი-ორი სიტყვა სურდა ეთქვა ზოგიერთ საკითხზე.

„მე, ისევე, როგორც დარწმუნებული ვარ, ყველა აქ დამსწრეს, უზამაზარ კმაყოფილებას მანიჭებს, რომ დასრულდა უნდობლობისა და გაუგებრობის ხანგრძლივი პერიოდი. იყო დრო, როდესაც მეზობლად მცხოვრები ადამიანები (ამ შემთხვევაში ჩემზე არ არის ლაარაკი და არც არავისზე აქ დამსწრეთაგან) მტრულად თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ნდობის გარეშე უყურებდნენ „ცხოველების ფერმის“ ღრმადპატივცემულ მესვეურებს. ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული... ბევრი უბედური შემთხვევაც კი მოხდა. ხალხს მიაჩნდა, რომ დაუშვებელია, არანორმალურია, რომ ქვეყანას მართავდნენ, ეპატრონებოდნენ ღორები და რომ ეს სახიფათო გავლენას მოახდენდა სხვა ფერმერების ცხოველებზე. ვიდრე საკითხს შეისწავლიდა, ბევრ ფერმერს მიაჩნდა, რომ ასეთ ქვეყანაში უკანონობა და განუკითხაობა უნდა სუფევდესო. ადამიანები ნერვიულობდნენ, შიშობდნენ, რომ ეს თავაშვებულობა ცუდ გავლენას მოახდენდა არა მატო მათ ცხოველებზე, არამეს მსახურებზეც კი. მაგრამ სადღეისოდ, უნდა ვაღიაროთ, ეს ეჭვი გაიფანტა. ამჟამად ჩვენ მოვინახულეთ „ცხოველების ფერმა“, დავათვალიერეთ ყოველი კუთხე, ყოველი კუნჭული და რა ვიხილეთ? მეურნეობაში არსებული ყველაზე მოწინავე მეთოდები, რომ არაფერი ვთქვათ ისეთ დისციპლინასა და წესრიგზე, რომელიც სანიმუშო უნდა იყოს ნებისმიერი ფერმერისათვის. მე მგონი, არ შევცდები, თუ იმასაც აღვნიშნავ, რომ ცხოველები აქ გაცილებით მეტს მუშაობენ და გაცილებით ნაკლებს ჭამენ, ვიდრე ჩვენში. მერწმუნეთ, ბატონებო, ვეცდებით, აქ ნანახი რაც შეიძლება სწრაფად დავნერგოთ ჩვენთან“.

დასასრულს, ბ-ნმა ფილქინგტონმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მეგობრულ ურთიერთობას, რომელიც უკვე არსებობს და უნდა არსებობდეს კიდევ „ცხოველების

ფერმასა“ და დანარჩენ ფერმებს შორის. „ბოლოს და ბოლოს, ღორებსა და ადამიანებს შორის არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება რაიმე სერიოზული დაპირისპირება. ისინი უნდა ებრძოდნენ საერთო გასაჭირს. განა შრომის საკითხი ყველგან ერთნაირად საჭირობოროტო არ არის?“ - აქ ბ-ნი ფილქინგტონი ოდნავ შეეყოვნდა და სახეზე ეშმაკური ღიმილი აუთამაშდა. საზოგადოება მიხვდა, რომ მას რაღაც გონებამახვილური აზრი ჰქონდა გასაზიარებელი. მან კაგა ხანს ხმა ვერ ამოიღო, რადგან სიცილს ვერ იკავებდა. დაბაბი, რომელიც უამრავი ნაკეცისაგან შედგებოდა, ერთთავად გასწითლებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, წარმოსთქვა: „ბატონებო, თქვენ მდაბიო ცხოველების პრობლემა გაქვთ გადასაჭრელი, ჩვენ - დაბალი კლასების საკითხი გვაქვს მოსაგვარებელი!“ ასეთმა ენამახვილობამ საზოგადოების ხარისხი გამოიწვია. ბ-ნმა ფილქინგტონმა კიდევ ერთხელ მიულოცა ღორებს მიღწევები. შეუქო მათ ცხოველებისათვის დაწესებული შეზღუდული ულუფა, გაზრდილი სამუშაო დღე და, რაც მთავარია, ის მკაცრი დისციპლინა, რაც უდავოდ ღორების პრინციპულობის შედეგი იყო: დასასრულს ბ-ნმა ფილქინგტონმა თქვა: „ახლა კი, ბატონებო, ყველას გთხოვთ ფეხზე ავდგეთ და ტოლჩები პირთამდე შევავსოთ. ბატონებო, მე მინდა ერთი სადღეგრძელო ვთქვა: გაუმარჯოს „ცხოველების ფერმას“. გაუმარჯოს მის შემდგომ აყვავებას!“ საზოგადოება გულხურმვალედ, ფეხების ბაკუნით შეხვდა შემოთავაზებულ სადღეგრძელოს. ნაპოლეონი იმდენად სავსე იყო მადლიერების გრძნობით, რომ წამოდგა და ფილქინგტონთან მივიდა ჭიქის მისაჭახუნებლად. როდესაც საზოგადოება ცოტათი დაშოშმინდა, ნაპოლეონმა, რომელიც არ დამჯდარა, გამოაცხადა, რომ მასაც ჰქონდა ორიოდე სიტყვა სათქმელი. ნაპოლეონის ყველა სხვა გამოსვლის მსგავსად, ეს სიტყვაც მოკლე და საქმიანი იყო. მან თქვა, რომ ისიც ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ როგორც იქნა დასრულდა უნდობლობის პერიოდი. ძალიან დიდხანს არ ცხრებოდა ბოროტი ხმები, რომლებსაც, მისი ვარაუდით (მას მოეპოვება საამისო საბუთები) განზრახ ავრცელებდნენ მტრები, რომ თითქოს მისსა და მისი კოლეგების მსოფლმხედველობაში არის რაღაც დამანგრეველი და რევოლუციურიც კი, რომ თითქოს ისინი აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ მეზობელი ფერმებისცხოველებს. ამაზე მეტი სიცრუე წარმოუდგენელია! მათი ერთადერთი მიზანი იყო და არის მშვიდობიანი თანაარსებობა და ნორმალური საქმიანი კონტაქტები ყველასთან. „ცხოველების ფერმა“, რომლის მართვა-გამგებლობის პატივი მას ხვდა წილად, ერთობლივი წამოწყებაა. დოკუმენტებში ფერმის საკუთრების შესახებ ფერმის ყველა წევრ ღორის თანასწორუფებიანობაზეა მითითებული“.

„რა თქმა უნდა, - განაგრძობდა ნაპოლეონი, - ძველი ეჭვები წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ურთიერთობის განსამტკიცებლად ფერმის ცხოვრების წესებში მრავალი ცვლილება შევიტანეთ. მაგალითად, აქამდე არსებობდა სულელური ჩვევა - ცხოველები ერთმანეთს მიმართავდნენ „ამხანაგოთი“. ეს აიკრძალა. კიდევ ერთი, ასეთივე უაზრო წესი არსებობდა, რომლის წარმოშობაც გაურკვეველია, - ყოველ კვირას ცხოველებს ევალებოდათ მეიჯერის თავის ქალის წინ მარშირება. ეს წესიც გაუქმდა.“

პოსტამენტებზე ლურსმნებით მიჭედებული თავის ქალა მიწაში იქნა ჩაფლული, იქვე, ბადის ბოლოში. სტუმრებმა ალბათ შეამჩნიეს ფლაგმტოკზე მოფრიალე მწვანე დროშა. თუ ასეა, შესაძლოა, იმასაც მიაქციეს ყურადღება, რომ დროშაზე აღარ არის რქებისა და ჩლიქების გამოსახულება. ამიერიდან ეს უბრალოდ მწვანე დროშა იქნება. ხოლო ბ-ნი ფილქინგტონის ბრწყინვალე და ჭეშმარიტად კეთილმეზობლურ სიტყვასთან დაკავშირებით მას მხოლოდ ერთი შენიშვნა აქვს. ბ-ნმა ფილქინგტონმა რამდენჯერმე ახსენა „ცხოველების ფერმა“. რასაკვირველია, ბ-ნმა ფილქინგტონმა არ იცოდა, ანდა საიდან უნდა სცოდნოდა, როდესაც იგი, ნაპოლეონი, პირველად ახლა აცხადებდა ამას, რომ სახელწოდება „ცხოველების ფერმა“ გაუქმებულია და ამიერიდან აქაურობას უბრუნდება თავდაპირველი და უფრო მართებული სახელი „მამული“.

„ბატონებო, - თქვა დასასრულს ნაპოლეონმა - მე გტავაზობთ იმავე სადღეგრძელოს, ოღონდ ცოტათი სახეშეცვლილს. შევავსოთ, მეგობრებო, და გაუმარჯოს „მამულის“ აყვავებას!“

ამ სადღეგრძელოსაც ისევე გულმხურვალედ შეხვდა საზოგადოება, როგორც წინას და სასმისებიც ბოლომდე დაიცალა. მაგრამ ცხოველებს, რომლებიც გარედან ადევნებდნენ თვალყურს ყოველივეს, უცებ მოეჩვენათ, რომ ოთახში უცნაური რამ ხდებოდა. რაღაც ემართებოდათ ღორებს. სახეები ხან უქრებოდათ, ხან მთლიანად ეცვლებოდათ, ქლოუერი ხან ერთს მისჩერებოდა, ხან მეორეს და ხედავდა, როგორ უჩნდებოდა რომელიღაც ღორს უცებ ხუთი ნიკაპი, რომელიღაცას ოთხი... ვიღაცას სამი. შემდეგ ეს ყველაფერი ისევ ქრებოდა, იშლებოდა და თავიდან ჩნდებოდა.

ამასობაში აპლოდისმენტები ჩაცხრა, კომპანიამ შეწყვეტილი კარტის თამაში განაახლა და ცხოველებიც ფეხაკრებით გაეცალნენ იქაურობას. მაგრამ ოციოდე ნაბიჯის გაღაც ვერ მოასწრეს, რომ სახლიდან ხმამაღალი ყვირილი მოისმა. ცხოველები ადგილზე გაშემდნენ და მერე უკანვე გაიქცნენ ფანჯრებისაკენ. დიახ, ოთახში საშინელი აყალ-მაყალი ამტყდარიყო. ღრიალებდა ყველა, ღორებიც, ადამიანებიც, ერთმანეთს ეჭევიან მზერას ესროდნენ, მაგიდას მუშტებს ურტყამდნენ. ზოგი გაშმაგებული იმუქრებოდა, ზოგიც თავს იმართლებდა. აურზაური იმან გამოიწვია, რომ ნაპოლეონიცა და ფილქინგტონიც ერთსა და იმავე კარტს - ყვავის ტუხს - ჩამოვიდნენ.

თორმეტივე ერთად ერთ ხმაზე ღრიალებდა. ახლა კი მიხვდნენ ცხოველები, რა ემართებოდათ ღორებს, რატომ ეცვლებოდათ სახეები. ფანჯარასთან გაყურებულები ხან ღორებს აკვირდებოდნენ, ხან - ადამიანებს და ველარ არკვევდნენ, ვინ ვინ იყო, რომელი იყო ღორი და რომელი - ადამიანი.

ნოემბერი 1943 - თებერვალი 1944.

გამომცემლობა „გულანი“, 1992
ინგლისურიდან თარგმნა - მზია კეკელიძემ